დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის
10 - 16 ივლისი

N 31 1495

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ფრთხილად, კირიონის მკვლელი ცოცხალია!




„ციანიდის საქმიდან“ „დარიშხანის საქმემდე“, ანუ საპატრიარქოში კვლავ საწამლავი გამოჩნდა!







## «თაგვის წამლით» პატრიარქებსაც კლავდნენ!» 26





„არსებობს ძალიან სერიოზული ეჭვი, რომ პატრიარქი დავით მეხუთეც სწორედ საწამლავის საშუალებით მოიშორეს და მოკლეს!“ 27



29 „მეუფე შიოს გარდა, პატრიარქობის რეალური პრეტენდენტები არიან მეუფეები დანიელი და დიმიტრი!“



ლაშა ნადარეიშვილი

## მეთოთხმეტეა თუ მეათასე...

მეთოთხმეტეა თუ მეათასე,
ჩვენი ქომაგი არც ის ლუია...
უთხარ უარი ფარჩა-ატლასებს!
უფალს უთხარი — ალილუია!

მამულში ჟამი დადგა უხანო,
ცივი ცრემლები ეხება უპეს...
კვლავ გიღალატეს, საბა-სულხანო, —
შენს საქართველოს შეხე, რა უყვეს!

ნეტა, როდემდე ვიქნებით წერა
გადამთიელთა ულვთო თარეშის...
ხომ ხედავ, როგორ ამოიწვერა
რუსული ჩექმა თურქულ მთვარეში!

ხომ ხედავ, როგორ მოადგნენ ტაძარს
უზალთუნების ფასად სვავები...
ველარ ჩამოჰკრავ, იცოდე, ამ ზარს
მხოლოდ ხელების გასავსავებით!

დაე, ურჯულომ ქილიკი იწყოს,
დაე, გდევნიდეს ავის მზრახველი, —
შენ ერთმა მაინც არ დაივიწყო
მცხეთის ჯვარი და მამის სახელი!

შენ ერთმა მაინც აღიღე ჯვარი
ამ უდაბნოში ამაოების,
უმრავლე მამულს, უფალო, ჯარი
თევდორეს მსგავსი მამაოების!

მზე მიაგორებს ღრუბლების ნახირს
შორს, დარიალის ბოლო აღმართთან...
დაელოდები წყალობას შაჰის
თუ... ბახტრიონზე დროშას აღმართავ?

... ნიკოლოზია თუ ფერდინანდი,
უცხო ხელმწიფე მაინც ლუია...
სანთლიდან სხივად ჩამომდინარდი,
უფალს უთხარი — ალილუია!

## ზელენსკიმ საქართველოს ცივი ომი უკვე ოფიციალურად გამოუცხადა!




ზელენსკი საქართველოსათვის ოფიციალურად იქცა მტერენსკიდ! ერმაკი ოფიციალურად იქცა მტერმაკად! არახამია ოფიციალურად იქცა მტერახამიად! გონჩარენკო ოფიციალურად იქცა მტერჩარენკოდ! პოდოლიაკი ოფიციალურად იქცა მტერდოლიაკად!

## ვანდალები ვანიდან 19






## სააკაშვილი სტრიპტიზის მოცეკვავედ ჩამოყალიბდა!

## შვილმკვდარი მამა მოსამართლე ჩახნაშვილს ამხელს! 20

# ფრთხილად, კირიონის მკვლელი ცოცხალია!

***ე.წ. ციანიდის სკანდალიდან 6 წლის შემდეგ საქართველოს საპატრიარქოში ისევ საწამლავი გამოჩნდა. ამჯერად საუბარია საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე შიოს (ერისკაცობაში — ელიზბარ მუჯირის) დარიშხანით მოწამვლაზე.***



ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **მოსაყდრე შიოს** ორგანიზმში დარიშხანის კვალი და მძიმე მეტალების დასაშვებზე მაღალი კონცენტრაცია იქნა აღმოჩენილი, რამდენიმე დღის წინათ, კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა გაავრცელა, რასაც მალევე მოჰყვა საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, დეკანოზ **ანდრია ჯაღმაიძის** ოფიციალური განცხადება:

> ***„ნაწილობრივ შეიძლება, საფუძველი ჰქონდეს იმ ინფორმაციას, რაც გავრცელდა. ჩვენ გვაქვს ფაქტი, რომ მეუფე შიოს სისხლის ანალიზში არის გარკვეული ცვლილებები, აღმოჩნდა მძიმე მეტალების დაშვებულზე უფრო მეტი შემცველობა. სხვა დაზუსტებით რაიმეს თქმა დღეისთვის რთულია. მეუფე შიოს მდგომარეობა არის ნორმალური, მუშაობს, ყველა პროცესშია ჩართული, რაც მის ყოველდღიურ სამუშაოს უკავშირდება“.***

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, **მეუფე შიოს განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე** სისხლის სამართლის საქმე აღძრა და გამოძიება დაიწყო. იმავე დღეს, 7 ივლისს, ცნობილი გახდა, რომ **მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს საპატრიარქოს დამლაგებელი რუსუდან მაისურაძე, რომლის მოვალეობაშიც მოსაყდრე შიოს სამუშაო ოთახის დასუფთავება შედიოდა.**

ცხადია, ეს ფაქტი კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს ინფორმაციას საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრის დარიშხანით მოწამვლის შესახებ. **ძლიერდება ეჭვი, რომ შესაძლოა, მეუფე შიოს მის სამუშაო ოთახში მიმობნეული დარიშხანით ნელ-ნელა წამლავდნენ, დამლაგებელმა კი, რომელიც ოთახს ხშირ-ხშირად ასუფთავებდა და მტვრის გადაწმენდის მიზნით თითქმის ყველა ნივთს ეხებოდა, საწამლავის მომაკვდინებელი დოზა შეისუნთქა ან კანის მეშვეობით შეიწოვა.**

საერთოდ, ადამიანის ორგანიზმში დარიშხანი შეიძლება, სამი არხით მოხვდეს: **კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მეშვეობით,** ანუ მოწამლული საკვების ან სითხის მიღების შედეგად, **რესპირატორული, ანუ სასუნთქი სისტემის მეშვეობით და ფიზიკური შეხების გზით, რა დროსაც კანი საწამლავს შეიწოვს.** დარიშხანის მოლეკულების სისხლში შეღწევის შემდეგ შხამი ადამიანის ყველა შინაგან ორგანოში ხვდება და უჯრედებში გროვდება, რასაც აუცილებლად მოჰყვება სხვადასხვა მძიმე გართულება, ხოლო, თუ საწამლავი ორგანიზმში დიდი დოზით აღმოჩნდა, ლეტალური შედეგი გარდაუვალია.

**გამორიცხული არ არის, მეუფე შიოს ორგანიზმში დარიშხანი მოწამლული საკვების ან სითხის მიღების შედეგად მოხვედრილიყო, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მოსაყდრის მოწამვლას ძალიან საეჭვოდ ემთხვევა მისი ოთახის დამლაგებლის უეცარი სიკვდილი, უფრო დიდი ალბათობა არსებობს, შხამს ორგანიზმში სასუნთქი სისტემის ან კანის მეშვეობით შეეღწია, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, მეუფესა და მისი ოთახის დამლაგებელს ერთი და იგივე საკვები მიეღოთ.**

რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის დადგენა გამოძიებისა და ექსპერტიზის საქმეა. **თუ უტყუარად დადასტურდება, რომ მეუფე შიოს დარიშხანით წამლავდნენ და მისი ოთახის დამლაგებლის მოულოდნელი გარდაცვალებაც ამას უკავშირდება, მაშინ ისიც უნდა გაირკვეს, ვინ დგას ამ უმძიმესი დანაშაულის უკან და რა იყო მისი მიზანი — საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრის მკვლელობა თუ მისი ჯანმრთელობის მოშლა, რათა ქმედუუნარო გამხდარიყო და საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესრულება ვეღარ გაეგრძელებინა?**

იმედია, **„ციანიდის საქმისაგან“** განსხვავებით, **„დარიშხანის საქმეში“** მაინც არ დარჩება ბუნდოვანება და კითხვის ნიშნები.

## „ციანიდის საქმიდან“ „დარიშხანის საქმემდე“, ანუ საპატრიარქოში კვლავ საწამლავი გამოჩნდა!

**სიმართლე არამხოლოდ ბოლომდე უნდა გაირკვეს, არამედ ბოლომდე უნდა ითქვას კიდეც, რადგან საქმე რომელიმე „ჭ“ კლასის პოლიტიკურ ან არასამთავრობო ორგანიზაციას კი არა, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის უმაღლეს იერარქიას ეხება.**

**6 წლის წინათ, 2017 წლის თებერვალში, როცა ბერლინის კლინიკაში მყოფ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან მიმავალი დეკანოზი გიორგი მამალაძე თბილისის აეროპორტში დააკავეს და ბარგიდან მომწამლავი ნივთიერება — ნატრიუმის ციანიდი ამოუღეს, ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა, პრემიერ კვირიკაშვილით დაწყებული და გენპროკურორ შოთაძით დამთავრებული, ქვეყანას ამცნეს, რომ დაგეგმილი იყო „მაღალი იერარქიის სასულიერო პირის მკვლელობა“, მაგრამ ეს უმძიმესი დანაშაული და „ეკლესიის წინააღმდეგ ვერაგული თავდასხმა“ დროულად იქნა აღკვეთილი!**

ხელისუფლების პირველი პირების განცხადებებიდან გამომდინარე, საზოგადოებას სრული საფუძველი ჰქონდა, ეფიქრა, რომ საუბარი იყო **პატრიარქ ილია მეორის** მკვლელობის აღკვეთაზე. ეს ვარაუდი კიდევ უფრო გაამყარა იმ ფაქტმა, რომ პროკურატურამ, სასწრაფო წესით, პირდაპირ ბერლინიდან გამოიძახა დაკითხვაზე **პატრიარქის დაცვის მაშინდელი უფროსი სოსო ოხანაშვილი,** რომელიც **ილია მეორის ძმისშვილის, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის, მეუფე დიმიტრი შიოლაშვილის სიძე გახლავთ.**

მოკლედ, დაზაფრული საზოგადოება გაფაციცებით ელოდებოდა, რომ პროკურატურა




**იმედია, შორენა თეთრუაშვილი „დარიშხანის საქმეში“ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე შიოსაც ისევე არ „ჩაანაცვლებს“, როგორც „ციანიდის საქმეში“ მაღალი იერარქიის სასულიერო პირი „ჩაანაცვლა!“**

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*„ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი, თბილისის მერი*



მეგობრობა, ურთიერთობები ორმხრივი არსებობს, **საქართველოსთან მიმართებით ზელენსკის გადაწყვეტილება გულდასაწყვეტია,** ჩვენ გადაწყვეტილებებს ემოციებით არ ვიღებთ. „პირველი არხი“

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



**სასჯელის აღსრულება არ არის შურისძიება,** შურისძიება იყო ის, რომ **სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში პატიმრებს აბამდნენ მიცვალებულებზე** იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეთანამშრომლათ ადმინისტრაციასთან.

„იმედინიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



მარტო ერთი მილით, რომელიც უკრაინაზე გადის, **ევროკავშირი იღებს ბუნებრივ აირს და ყოველდღე 20 მილიონს უხდის რუსეთს.** ოპოზიციას ავი სიხარული აქვს — ადიდებენ სხვა ქვეყნის პრეზიდენტებს, პარლამენტის წევრებს და საკუთარი ქართული არაფრად მიაჩნიათ — **საქართველოს მოქალაქე ერთ წამში გაწირეს, თუნდაც** გაიაშვილი.

„იმედინიუსი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



„ქართული ოცნება“ **ევროკავშირში გაწევრიანებას ცდილობს,** ოპოზიცია კი დაიარება მთელ მსოფლიოში და **სურს, ხალხს დააჯეროს, რომ ქვეყანა უნდა დასანქცირდეს.**

„იმედინიუსი“

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



შევისწავლოთ ევროკავშირისგან მხარდაჭერილი **მოლდოვას გამოცდილება,** სადაც ოპოზიციური პარტია აკრძალეს — **ნაცმოძრაობამ ერთხელ და სამუდამოდ დაასრულოს არსებობა!** „იმედინიუსი“

## ლაშა ნადარეიშვილი

**მზეს ღრუბელს მიუტანს**
**ადრე თუ გვიან ქარბორია...**
**ფრთხილად! —**
**ეს იუდას**
**ძველისძველი ამბორია!!!**

**ტაძრისკენ სავალი მრევლს**
**ნუთუ გზებიც არევია?!**
**ფრთხილად! —**
**აქ მრავალი შაჰის და**
**ყაენის ჰარემია!!!**

მარტყოფის ველი
წითლად ანთებული მოცხარია...

# ფრთხილად! – კირიონის მკვლელი ცოცხალია!!!

**„მაღალი იერარქიის სასულიერო პირის“** მკვლელობის მომზადების საქმეს გახსნიდა, მაგრამ **დეკანოზ მამალაძეს** ბრალი არა პატრიარქის ან სხვა რომელიმე „მაღალი სასულიერო იერარქის“, არამედ **პატრიარქის მდივან-რეფერენტ შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მცდელობისათვის** წაუყენეს, რისთვისაც ახლა სასჯელს იხდის.

ცხადი გახდა, რომ „ციანიდის საქმეში“ ყველაფერი რიგზე ვერ იყო — ან თავიდანვე ცრუობდნენ ხელისუფლების მაღალჩინოსნები, რომლებიც „მაღალი **იერარქიის სასულიერო პირის**“ მკვლელობისა და **„ეკლესიის წინააღმდეგ ვერაგული თავდასხმის“** აღკვეთაზე საუბრობდნენ, ან ვიღაცამ თუ რაღაცამ ხელი შეუშალა სიმართლის ბოლომდე გამოაშკა-**„ჩაანაცვლა!“**

**იმედია,** საზოგადოებას არ ეტყვიან, რომ ორგანიზმი, რომელშიც დარიშხანისა და მძიმე მეტალების კვალი იქნა აღმოჩენილი, **მეუფე შიოს** კი არა, **შორენა თეთრუაშვილს** ეკუთვნის!

### ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ „დარიშხანის საქმე“ „ციანიდის საქმის“ პირდაპირი გამოძახილი და გაგრძელებაა!

ღრმად გვწამს და გვჯერა ისიც, რომ **„ციანიდის საქმეზე“** სიმართლის ბოლომდე **ტისა და ძალაუფლებისათვის არანაკლებ სასტიკი და ბინძური მეთოდებით იბრძვიან, ვიდრე პოლიტიკოსები!**

ეს ბრძოლა დღემდე რომ გრძელდება, ამას საქართველოს საპატრიარქოში ახლა უკვე დარიშხანის გამოჩენა და **ტახტის მოსაყდრე შიოს** შესაძლო მკვლელობის მცდელობა ცხადყოფს!

ალბათ, ისიც სიმბოლურია, რომ საქართველოს **საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, მიტროპოლიტ შიოს** დარიშხანით მოწამვლა **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორის მკვლელობიდან ზუსტად 105 წლისთავზე მოხდა!**

დიახ, **1918 წლის 27 ივნისი იდგა,** როცა ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი პატრიარქი **კირიონ მეორე,** ერისკაცობაში — **გიორგი საძაგლიშვილი,** მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში, საკუთარ საწოლში ტყვიით განგმირული ნახეს!

**კირიონის მკვლელი, ვითარცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის დაუძინებელი მტრის კრებსითი სახე, როგორც ჩანს, ისევ არ ისვენებს და ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე გველივით დაძვრება!**

როგორც ჩანს, ქართველობას კიდევ დიდხანს მოუწევს, ყური ათხოვოს **პოეტ ლაშა ნადარეიშვილის** შემაგონებელ და შემაფხიზლებელ შეძახილს: **„ფრთხილად, კირიონის მკვლელი ცოცხალია!“**

## „ციანიდის საქმეზე“ სიმართლე ბოლომდე რომ თქმულიყო, „დარიშხანის საქმე“ არ იქნებოდა!

რავებასა და თქმას, რის გამოც **„მაღალი იერარქიის სასულიერო პირი“** მდივან-რეფერენტ **შორენა თეთრუაშვილით** იქნა „ჩანაცვლებული“.

**იმედია, შორენა თეთრუაშვილი „დარიშხანის საქმეში“ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე შიოსაც ისევე არ „ჩაანაცვლებს“, როგორც „ციანიდის საქმეში“ მაღალი იერარქიის სასულიერო პირი** გამჟღავნების შემთხვევაში, **„დარიშხანის საქმე“** არ იქნებოდა და საქართველოს საპატრიარქოში კვლავ საწამლავი არ გამოჩნდებოდა!

**6 წლის წინათ „ციანიდის საქმემ“ სააშკარაოზე გამოიტანა საქართველოს საპატრიარქოში წლების მანძილზე დაგროვილი მანკიერებანი და საზოგადოებას დაანახა, რომ სასულიერო იერარქები ტახ-**




**დარიშხანს, რომლის კვალიც საქართველოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, მეუფე შიოს ორგანიზმში იქნა აღმოჩენილი, მეორენაირად, ანუ ხალხურ ენაზე, „თაგვის წამალს“ეძახიან, რადგან მისგან თაგვებისა და ვირთხების საწინააღმდეგო საწამლავი მზადდება.**

**მიტროპოლიტ შიოს** დარიშხანით მოწამვლის კვალდაკვალ, ცხადი გახდა, რომ **დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე ჯერ კიდევ 27 წლის წინათ, 1996 წელს, გამოქვეყნებულ წერილს — „თაგვის წამლით პატრიარქებსაც კლავდნენ!“ — რომლის ხელახლა ან სულაც პირველად წაკითხვის საშუალებასაც მკითხველს ამავე ნომერში ვაძლევთ.**

***ჯაბა ხუბუა***



საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, მეუფე შიოს ორგანიზმში დარიშხანის აღმოჩენის კვალდაკვალ, მოულოდნელად გარდაიცვალა მისი სამუშაო ოთახის დამლაგებელი რუსუდან მაისურაძე!

## კვირგვინოსნები

### დავით ზალკალიანი
*ექსპრემიერ-მინისტრი*



საქართველოში პოლიტიკური ძალები ახერხებენ, **შეცდომაში შეიყვანონ პარტნიორები,** სანქციებთან დაკავშირებით დავეყრდნოთ ოფიციალურ კომუნიკაციას, **საქართველომ დაიმსახურა მადლობა.**

„პირველი არხი“

### არჩილ თალაკვაძე
*პარლამენტარი*



**სააკაშვილი** არის დებატებში საკუთარ ქვეყანასა და საკუთარ თავთან, **ჩვენ მასთან არაფერი გვაქვს სადებატო.**

„რეზონანსი“

### „ასავალ-დასავალის“ არქივიდან


შეთქმულება მიტროპოლიტის წინააღმდეგ?
რა მოხდა საქართველოს საპატრიარქოში 1978 წელს?



НЕТ ЧЕЛОВЕКА - НЕТ ПРОБЛЕМ!
И.В. СТАЛИН
ასავალ დასავალი
1996 წლის 8 - 14 ოქტომბერი № 21 (113) ფასი 50 თეთრი


„თაგვის წამლით“ პატრიარქებსაც კლავდნენ!“
ანუ „კირიონის მკვლელობის გახსნით ნათელი მოეფინება გაიოზ კერატიშვილის ტრაგედიასაც!“

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 1996 წლის 21-ე ნომერში დაბეჭდილმა წერილმა — „შეთქმულება მიტროპოლიტის წინააღმდეგ?“ საზოგადოების უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მასში სრულიად საქართველო... ეფრემ მეორ... ყველაზე და... მიტროპოლი... სემინარიის ... კალენდრები... დღეს კი პატ... კერატიშვილი 1978 წელს საქართველოს საპატრიარქოში დატრიალებული ამბების შესახებ საუბრობდა.

რედაქციაში არ წყდება სატელეფონო ზარები; მოდიან ადამიანები, ვინც სხვებზე ერთი მისხლით მეტად იცის საეკლესიო ცხოვრების მაშინდელი ასავალ-დასავალი.

...ქალბატონმა ჟუჟუნა ვარძელაშვილმა რამდენიმე დღის წინ დამირეკა და მოკრძალებით მთხოვა შეხვედრა...

საოცრად სიმპათიურმა ქალბატონმა ამბის თხ-

დვილად არ მსურდა და უცებ, თავში გამიელვა — თუ არა ბატონ დავითს, როგორც რელიგიის ფილოსოფიის მკვლევარს, — დანამდვილებით სხვას ვის უნდა სცოდნოდა საზოგადოებაში გავრცელებული ... საქართველოს ბევრი პა... ... ყოს მოკლუ... ...ხელები მრავ... ...უდული ხმით ...ცი, არაფერი ...და სიტყვები ...თაგვის წამალძა“, როგორც ბინძურ მკვლელობათა კოდურმა სახელწოდებამ, თხემით ტერფამდე შეძრა უხვად ინფორმირებული თანამოსაუბრე.

ამის შემდეგ, მცდელობის მიუხედავად, ფილოსოფოსთან საუბარი ვერაფრით ავაწყვე და ხელმეორე შეხვედრის იმედით დავემშვიდობე...

ჩვენი მეორე შეხვედრა თავად ბატონ დავით გეგეშიძის სურვილით მოხდა... ამჯერად საუბარი იმით დაიწყო, რომ იგი სხვებზე უკეთ იცნობს საქართველოს პატრიარქთა მოღვაწეობის ამსახველ მასალებს, მათ შორის ბურუსით მოსილ ის-

გაგრძელება მე-4-5 გვერდებზე


ღამემ გაიარაო — ამაგმა ჩაიარაო...
ქართული ანდაზა
ასავალ დასავალი
1996 წლის 29 ოქტომბერი - 4 ნოემბერი № 24 (116) ფასი 50 თეთრი

დასაწყისი მე-3 გვერდზე

**უკვე მერამდენე ათეული წელია, საქართველოს საპატრიარქოში თაგვის წამლის, ციანიდისა თუ დარიშხანის სახელი ჰგიებს. საწამლავი, რომლის მიღმაც უაღრესად მძიმე და ტრაგიკული მოვლენები იმალება, ნებსით თუ უნებლიეთ, შეგვახსენებს „ასავალ-დასავალის“ 27 წლის წინანდელ რამდენიმე პუბლიკაციას რუბრიკით – „ხვალ იყო გუშინ“.**


შეთქმულებ

ზი გიორგი ჩაჩუა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართული ეკლესიის მშვენება — პროტოდიაკონი ამბროსი ახობაძე. მან ყველა ლიტურგია ზეპირად იცოდა და საოცრად მშვენიერი ხმაც ჰქონდა. დღემდე ჩამესმის მის მიერ განკრძალვით და ღრმა სასოებით წარმოთქმული კვერექსები. ასე დავუახლოვდი თბილისის სამღვდელოებას. არქიმანდრიტ ევაგრი დიასამიძის მეშვეობით გავიცანი ეფრემ II, რომელმაც ნება დამრთო მესარგებლა საპატრიარქოს ბიბლიოთეკით. ეს პატივი წილად მხვდა გაზეთებში ისტორიულ-რელიგიურ თემებზე გამოქვეყნებული წერილების გამო, რამაც ეფრემ მეორის ყურადღება მიიპყრო.

გავეცანი აგრეთვე ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარს და ურ-

კურთხეთ კიდეც, მაგრ... ამით არ დამთავრებულ... თავებელი საჩივრების... ლურ კომიტეტში, უში... სტრთა საბჭოსა და შინ... მინისტროში. როგორც... ხრეს, პირადად მე წა... ბრალდებები: ეფრემი... ლაშვილზე დაწერილი... დგურე, დავითი უკანონ... და მოითხოვდნენ მის... საჩივრები იმითაც გაამ... თქოსდა გაიძარცვა სა... პატრიარქო (ჩემთან ერ... ულში სხვა სამღვდელ... რებსაც სდებდნენ ბრალ... მდეც მიიყვანეს, რომ ცე... მიტეტმა ეფრემის ანდე... რებული საკითხების...

1972 წელი. ეპისკოპოსი გაიოზი კურთხევის შემდეგ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებთან — ეფრემ მეორესა და დავით მეხუთესთან ყველაზე დაახლოებული პირი გაიოზ კერატიშვილი

НЕТ ЧЕЛОВЕКА - НЕТ ПРОБЛЕМ! И.В. СТАЛИН

ასავალ დასავალი

1996 წლის 8 - 14 ოქტომბერი № 21 (113) ფასი 50 თეთრი

# შეთქმულება მიტროპოლიტის წინააღმდეგ?

**„ასავალ-დასავალის“ არქივიდან. 1996 წლის 8-14 ოქტომბერი, №21 (113)**

***სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებთან — ეფრემ მეორესა და დავით მეხუთესთან ყველაზე დაახლოებული პირი გაიოზ კერატიშვილი, რომელიც თავის დროზე მიტროპოლიტი, ქორეპისკოპოსი, სასულიერო სემინარიის რექტორი და საეკლესიო კალენდრების შემდგენელ-რედაქტორი გახლდათ, ეკლესიიდან ციხეში აღმოჩნდა. მას თბილისის ქალაქის სასამართლომ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია მიუსაჯა. დევნილი და პატივაყრილი მაღალმეუფე გაიოზი, რომელმაც 11 წელიწადი დაღესტნის შრომა-გასწორების კოლონიებში გაატარა, დღეს ჩვენი ნომრის სტუმარია.***

საგარეჯოს რაიონის პატარა, ლამაზ, უძველეს სოფელ წყაროსთავში დავიბადე, მორწმუნე ქრისტიანის ოჯახში. რელიგიურობით განსაკუთრებით დედაჩემი გამოირჩეოდა — ნინოწმინდის საკათედრო ტაძრის მახლობლად მცხოვრებ ვასილ ლაღიძის ოჯახში დაბადებულ-აღზრდილი. პაპისაგან გამიგონია, რომ ჩვენს წინაპრებს ამ ტაძრის აღდგენა-რესტავრაციაში მიუღიათ მონაწილეობა. გარდა ამისა, ჩემს რელიგიურობაში დიდი როლი ითამაშა უგანათლებულესმა ქალმა, საგარეჯოს საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელმა **ნადია ცაგარეიშვილმა.**

იმხანად საგარეჯოში მოღვაწეობდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში ნაკურთხი არქიმანდრიტი **ევაგრი დიასამიძე** — ჭეშმარიტი ბერი და ჭეშმარიტი საეკლესიო მოღვაწე, რომელსაც მოსწავლეობის პერიოდიდანვე დავუახლოვდი და გაკვეთილების დამთავრებისთანავე მასთან ვაგრძელებდი რელიგიისა და ღვთისმსახურების შესწავლას. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩავირიცხე. პარალელურად ვმუშაობდი საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მეცნიერ-მუშაკად, ხოლო შემდეგ — პატარძეულში, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში.

სკოლაში სწავლის პერიოდში ხშირად ჩამოვდიოდი თბილისში, ვესწრებოდი წირვა-ლოცვას სიონის საკათედრო ტაძარში და საღმრთო ზიარებასაც ვიღებდი. იმხანად სიონში მოღვაწეობდნენ პროტოპრესვიტერი **ალექსანდრე ბაბუნია, პახუმ ოზოლაძე,** აგრეთვე დეკანოზი **გიორგი ჩაჩუა.** განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართული ეკლესიის მშვენება — პროტოდიაკონი **ამბროსი ახობაძე.** მან ყველა ლიტურგია ზეპირად იცოდა და საოცრად მშვენიერი ხმა ჰქონდა. დღემდე ჩამესმის მის მიერ განკრძალვით და ღრმა სასოებით წარმოთქმული კვერექსები. ასე დავუახლოვდი თბილისის სამღვდელოებას. არქიმანდრიტ **ევაგრი დიასამიძის** მეშვეობით გავიცანი **ეფრემ II,** რომელმაც ნება დამრთო, მესარგებლა საპატრიარქოს ბიბლიოთეკით. ეს პატივი წილად მხვდა გაზეთებში ისტორიულ-რელიგიურ თემებზე გამოქვეყნებული წერილების გამო, რამაც **ეფრემ მეორის** ყურადღება მიიპყრო.

გავეცანი აგრეთვე ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარს და ურბნისის მიტროპოლიტს **დავით დევდარიანს,** რომელსაც შემდგომ ძალიან დავუახლოვდი. მისგან ნაჩუქარი ხატი წარწერით კარგახანს ინახებოდა ჩემს კელიაში. ეფრემ მეორის ლოცვა-კურთხევით სწავლა დავიწყე მცხეთის სასულიერო სემინარიაში. მივატოვე უნივერსიტეტი და მუზეუმი. **სემინარიაში აღმოჩნდნენ პირები, რომლებმაც ეჭვი შეიტანეს ჩემს ფსიქიკურ მდგომარეობაში და ჯანმრთელობის ცნობა მომთხოვეს. ამის შესახებ მოვახსენე ეფრემ მეორეს, რომელმაც ძლიერ განიცადა ეს ცილისწამება და თბილისში, საპატრიარქოში, საქმის მწარმოებლად გადმომიყვანა.** ამ დღიდან სიონის საკათედრო ტაძარში პატრიარქისა და ზემოხსენებული დეკანოზების ხელშეწყობით დავიწყე საეკლესიო ცოდნის გაღრმავება. 1971 წელს **ეფრემ მეორემ** ბერად აღმკვეცა და მღვდლად კურთხევის შემდეგ ჩემი ეპისკოპოსის ხარისხში აყვანა განიზრახა. **თუმცა, მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რელიგიის საქმეთა საბჭომ ჩემი ასაკის გამო** (მაშინ 26 წლის ვიყავი) **უარი უთხრა. ეფრემ მეორემ რელიგიის საქმეთა საბჭოს დაუკითხავად შეადგინა სათანადო დოკუმენტი და მაშინდელ ხელისუფლებას აცნობა:** *„სიბერე-მოხუცებულობისა გამო მესაჭიროება ქორეპისკოპოსი და ცნობად მიიღეთ, რომ მღვდელმონაზონი გაიოზი ამყავს მღვდელმთავრის ხარისხში“.* მანვე სინოდის წევრებს მოსთხოვა სათანადო წერილობითი დასტური. **მიტროპოლიტმა დავითმა** შემოუთვალა: *„თქვენი ყოველი ნაბიჯი და გადაწყვეტილება იყო გონივრული და საჭირო საქართველოს ეკლესიისათვის. გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ!“*

დაინიშნა კურთხევის დღე. კურთხევა მოხდა 1972 წლის ბზობის წინა კვირას. უამრავი ხალხი დაესწრო. **ეფრემ მეორემ** თავისი სიტყვა ასე დაიწყო: *„დღეს სასიხარულო დღეა საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში. ჩვენს ეკლესიას მოციქულთა მადლის მატარებელი კიდევ ერთი მღვდელმთავარი შემოემატა“,* მერე კი მე მომმართა: *„არ გეგონოს, რომ მღვდელმთავრული მოღვაწეობის პერიოდში ვინმე მადლიერი გეყოლება. ეს გზა ეკლიანია და უნდა იარო ამ ეკლიანი გზით!“*

მალე **ეფრემ მეორე** გარდაიცვალა და ახალი კათოლიკოსის არჩევასთან დაკავშირებით საეკლესიო საქმეები აირია. გარდაცვალების წინ **ეფრემ მეორის** სურვილი იყო, მოსაყდრედ **დავითი** ყოფილიყო, როგორც უხუცესი მღვდელმთავარი. ამავე დროს არსებობდა მეორე კანდიდატიც, რომელიც რახანია ემზადებოდა პატრიარქობისთვის. ეს გახლდათ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი **ილია შიოლაშვილი. დაიწყო პატრიარქობისთვის ბრძოლა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ეკლესია გაიყო დავითისა და ილიას მომხრეებად. სინოდის ყველა წევრმა დავითს დაუჭირა მხარი**. მოვიწვიეთ საეკლესიო კრება, ავირჩიეთ და ვაკურთხეთ კიდეც, მაგრამ უთანხმოება ამით არ დამთავრებულა. **დაიწყეს გაუთავებელი საჩივრების წერა ცენტრალურ კომიტეტში, უშიშროებაში, მინისტრთა საბჭოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში.** როგორც დავითის მომხრეს, პირადად მე წამიყენეს შემდეგი ბრალდებები: **ეფრემი მოვწამლე, შიოლაშვილზე დაწერილი ანდერძი გავანადგურე, დავითი უკანონო პატრიარქიაო და მოითხოვდნენ მის გადაყენებას.** ეს საჩივრები იმითაც გაამაგრეს, რომ **თითქოსდა გაიძარცვა საქართველოს საპატრიარქო** (ჩემთან ერთად ამ დანაშაულში სხვა სამღვდელო და საერო პირებსაც სდებდნენ ბრალს) და საქმე იქამდეც მიიყვანეს, რომ **ცენტრალურმა კომიტეტმა ეფრემის ანდერძთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა უშიშროების სამსახურს დაავალა.** დავითი ერთი წლის არჩეული იყო. მიხმო თავისთან, სადაც უშიშროების მაღალი ჩინის მუშაკები დამხვდნენ. დაკითხვა დამიწყეს. მოკლედ მოვახსენე: **გაახლებთ ერთ დოკუმენტს მთლიანად ეფრემ მეორის ხელით დაწერილს-მეთქი.** მართლაც წარვადგინე: **გაეცანით და დარწმუნდით, რომ ამ დოკუმენტის შემქმნელი ანდერძს ილიაზე არ დატოვებდა.** ეს იყო ილია შიოლაშვილის დახასიათება... (მოვტყუვდი, რომ მისი ასლი არ შევინახე, უშიშროებას ხელთ ისე ჩავუგდე). **ის, ეტყობა, ზემდგომ ორგანოებს წარუდგინეს და მის შემდეგ ხელისუფლების მხრიდან დავითის უკანონო არჩევაზე ლაპარაკიც შეწყდა.** სამაგიეროდ, მე შევრჩი მათ ხელში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ **ეფრემ II და დავით V ილიას უკმაყოფილონი იმითაც იყვნენ, რომ ორგანოებში მომუშავე მისი ნათესაობა არასასურველ გავლენას ახდენდა ეკლესიის შინაურ ცხოვრებაზე. საჩივრებს საჩივრები ემატებოდა. ჩემ წინააღმდეგ**

მცხეთა, სვეტიცხოველი, 1977 წლის 25 დეკემბერი. **ილია მეორის ინტრონიზაცია. ფოტოზე მარცხნიდან მარჯვნივ:** რუსეთის პატრიარქი **პიმენი,** საქართველოს პატრიარქი **ილია მეორე,** მიტროპოლიტი **გაიოზი**



## კვირგვინოსნები

**ლევან ხაბეიშვილი**
*პარლამენტარი*



**„ოჩოპინტრე“ ვაშაძე** და მისი წარმომადგენლები აჟიტირებულები იყვნენ: **„აი, ახლა იქნება სანქციები, აპოკალიფსი“** და გაწბილებულები დარჩნენ — ესენი არიან **პრიგოჟინის პარტიის წევრები,** სიაში პირველ ნომრად შეიყვანენ.

„ინტერპრესნიუსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი*



პრეზიდენტი თავს წარმოაჩენს **„უფრო მეტ კათოლიკედ, ვიდრე რომის პაპია“...** რას ჰქვია **სტრატეგიული მოთმინება** არ არის დათმობა? აბა, უნდა წავყვეთ **გიჟურ წინადადებას,** რომ სჯობს, თავზე ბომბები გვეყრებოდეს?

„ინტერპრესნიუსი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**ზელენსკიმ** მორიგი დავალება მიიღო და **იმ ქვეყნის ელჩს ატოვებინებს უკრაინას, სადაც ომისგან განადგურებულ უკრაინელებს მფარველობენ.** რა ჰქვია ამას? ამას, შესაძლოა, მხოლოდ ერთადერთი სახელი მივუსადაგოთ — **უმადურობა.**

„რეზონანსი“

**ნანა კაკაბაძე**
*არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



**ირაკლი კობახიძემ და მიშა სააკაშვილმაც** უცხოეთში ისწავლეს, თუმცა, ერთმა განათლება ევროპული ღირებულებების დამცველი **კონსტიტუციის შექმნას** მოახმარა, მეორემ კი — **კონსტიტუციის დამახინჯებას** და საკუთარ ტანზე მორგებას.

„იმედინიუსი“

# რა მოხდა საქართველოს საპატრიარქოში 1978 წელს?

**1977 წელი, სიონის საკათედრო ტაძარი.** მე-12 ადგილობრივი საეკლესიო კრების პრეზიდიუმი, პატრიარქი პიმენი, მიტროპოლიტი ილია, მიტროპოლიტი იუვენალი. **მიტროპოლიტი გაიოზი აქვეყნებს კრების დეკლარაციას კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის არჩევის შესახებ.**



**აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. დაიკითხა ყველა და ქალაქის პროკურატურამ გამოძიების შემდეგ დანაშაულის ფაქტების არარსებობის გამო საქმე წარმოებით შეწყვიტა.**

გაუთავებელი დავა ორ წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. როგორც **ეფრემ მეორემ** მიწინასწარმეტყველა, ჩემი მოღვაწეობა მართლაც ეკლიანი გზით წარიმართა. ამის მიუხედავად, დღე და ღამე ვშრომობდი, სემინარიაში ლექციებს ვკითხულობდი, საეკლესიო კალენდრის შედგენაზე მარტოდმარტო ვმუშაობდი. სამწუხაროდ, 10 ფორმაზე მეტის გამოცემის უფლებას მოსკოვი არ იძლეოდა.

ეფრემ მეორის გარდაცვალების შემდეგ კი ეს უფლებაც კინაღამ დავკარგეთ. **1976 წელს ჩემ მიერ შედგენილი 30-ფორმიანი საეკლესიო კალენდარი საქართველოს მორწმუნე ერის საყვარელ გამოცემად იქცა. ამ კრებულში მკითხველი პირველად გაეცნო მრავალ საყურადღებო მასალას, მათ შორის, უძველეს კოდიფიცირებულ ძეგლს — მოციქულთა კანონებს, კათოლიკოსის ხელდასხმის წესს და ინფორმაციებს მსოფლიო საეკლესიო კრებების შესახებ.**

დღესაც სიამოვნებას მგვრის ის ფაქტი, რომ საეკლესიო კალენდარში პირველად მე შევიტანე შოთა რუსთაველის ხსენება, ვითარცა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის განმაახლებლისა. ვატიკანიდან რომის პაპმა **პავლე მეექვსემ** მადლობის წერილი გამომიგზავნა, ხოლო ცნობილმა ქართველოლოგმა **დავით ლანგმა** „ლონდონ თაიმსის" ფურცლებზე ვრცელი რეცენზია უძღვნა ჩვენს გამოცემას და მიდეპეშა: **„გილოცავთ ბრწყინვალე საგამომცემლო საქმიანობას".**

რით მოიპოვა პოპულარობა ამ გამოცემამ? **იმ პერიოდში უკვე შეინიშნებოდა ქართული ენის არასახელმწიფოებრივ ენად გამოცხადების საშიშროება.** ამ წიგნში თავი მოვუყარე ქართული ენის შესახებ უნიკალურ მასალებს (მე-10 საუკუნიდან მოყოლებული). მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია კომუნისტების მიერ ტაბუდადებული — **იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის პასუხი გიორგი მუხრან ბატონისადმი მცირე ერთა ენების შესახებ.** ამ წერილმა ქართული ენის გადარჩენის საქმეში 1976-1977 წლებში უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, ვიდრე 1872 წელს, როცა იგი დაიწერა.

**ამ საკლესიო კალენდარში დაიბეჭდა 1917 წლიდან მოყოლებული ყველა კათოლიკოს-პატრიარქის ფოტოსურათი. ჩემდა გასაოცრად, ეს არ მოსწონებიათ ცენტრალურ კომიტეტში და მითითება მოგვცეს, რომ მომავალი წლის კალენდარში აღარ დაგვებეჭდა მსგავსი ფოტოები.** მიზეზს ღრმა ფესვები აქვს. მოსკოვის ზოგიერთ სახელმწიფო დოკუმენტში საქართველოს ეკლესია მოიხსენიებოდა არა როგორც დამოუკიდებელი, არამედ როგორც რიგითი ეპარქია. იყო ეჭვიც, რომ იმდროინდელ იდეოლოგებს გამიზნული ჰქონდათ ავტოკეფალიის დაყვანა რიგით ეპარქიამდე. ამის სარეალიზაციოდ მაშინდელი იდეოლოგია თუ ვინმეს ებრძოდა ქართულ ეკლესიაში, უპირველესად, ებრძოდა შავ სამღვდელოებას, ანუ საბერო ინსტიტუტს, რაც ეკლესიის დამოუკიდებლობის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენდა. **იქნებ ამიტომაც მომრავლდნენ ბოლო დროს განუქორწინებლად ცოლოსანი ეპისკოპოსები, რაც ათეისტური იდეოლოგიის მზაკვრულ მიზანს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა.** დაუფარავად უნდა ითქვას, ეს ფაქტი მსოფლიო საეკლესიო კანონების უხეში დარღვევაა.

1976-1977 წლების კალენდარი სპეციალისტთა მიერ მიჩნეულ იქნა ქართულ ეკლესიაში **კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს** დროინდელი სამეცნიერო ტრადიციების აღდგენად. ამ გამოცემებმა მრავალი მტერიც გამიჩინა. მოხდა პარადოქსი. 1978 წლის კალენდრის გამოცემაზე თვით **დავით მეხუთემ** განმიცხადა უარი. **აშკარა იყო ეს აკრძალვა ხელისუფლებისგან მოდიოდა, რადგან 1977 წლის კალენდარში მკითხველს ვაუწყებდი, რომ მომავალი წლის კალენდარში გამოვაქვეყნებდი მასალებს საქართველოს ეკლესიის 1917 წლის ავტოკეფალიაზე.**

დამოუკიდებელი ქართული ეკლესიის არსებობაზე ლაპარაკი ხელს არ აძლევდა კრემლის იდეოლოგებს, რადგან იგი ეროვნულ ცნობიერებას აღვიძებდა.

**კათალიკოს-პატრიარქი, რომელმაც ერთი წლის წინათ კეთილსინდისიერი სამსახურისათვის წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენით დამაჯილდოვა და ნაყოფიერი საეკლესიო მოღვაწეობისათვის მიტროპოლიტის ხარისხში ამიყვანა, საკუთარი სურვილით ეროვნულ საქმეში ხელს არ შემიშლიდა.**

თანდათან ვგრძნობდი, ჩემი და **დავით მეხუთის** ურთიერთობაში სერიოზული ბზარი ჩნდებოდა. გამომწვევნი კი ხელისუფლების ის წარმომადგენლები იყვნენ, ვისზეც თავის დროზე თავად პატრიარქი მაფრთხილებდა: **„უფრთხილდი, შეჭმას გიპირებენო..."**

**დავით V** გარდაიცვალა და კვლავ დადგა ახალი კათოლიკოსის არჩევის საკითხი. **დავითმა მოსაყდრედ არავინ დატოვა, თუმცა, არსებობდა მიმანიშნებელი დოკუმენტი, რომელშიც იგი მიტროპოლიტთა შორის პირველ ადგილზე ბათუმ-შემოქმედელ მიტროპოლიტ რომანოზ პეტრიაშვილს ასახელებდა** (ოდესის უნივერსიტეტის პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის ძმისშვილი). იგი, მართალია, ხანდაზმული, მაგრამ განათლებული და ენერგიული მღვდელმთავარი ბრძანდებოდა. ჩვენ გვაინტერესებდა ხელისუფლების პოზიცია. **ვიქტორია სირაძეს** ეთქვა: **რა საჭიროა მაგის არჩევა, მოხუცია და მალე გარდაიცვლება, ეკლესიას დაკრძალვის ხარჯები დაედებაო...**

მალე სურათი გამოიკვეთა: **ბინაზე, ჭოროხის №7-ში, სახელმწიფო უშიშროების ორი მაღალჩინოსანი მომადგა და სიტყვასიტყვით ასე განმიცხადა: მოსკოვიდან დარეკეს, პატრიარქი შიოლაშვილი იქნებაო.** მთხოვეს, მისთვის დამეჭირა მხარი. რამდენად მართალი იყო ზარი მოსკოვიდან, ჩემთვის უცნობია, მაგრამ თავს ზევით ძალა არ მქონდა.

კრება ჩატარდა. **ორმა მღვდელმთავარმა ილიას პატრიარქად კურთხევაში არ მიიღო მონაწილეობა. კურთხევის მთავარი ლოცვები სვეტიცხოველში მე წავუკითხე, მგონი, გვირგვინიც მე დავადგი თავზე** (ფირი არსებობს). **თავის მაკურთხეველს კი რითიც გადამიხადა სამაგიერო, ყველამ იცის...**

ინტრონიზაციის (1977 წლის 25 დეკემბერი. რედ.) შემდეგ, ნათლისღების დღეს, ჯერ ტერაქტი მომიწყვეს და სასწაულმა გადამარჩინა (ორი ჭრილობა მივიღე თავის არეში), ხოლო შემდეგ დამაპატიმრეს კიდეც. **ეს იყო წლების მანძილზე ორგანიზებული შეთქმულება ჩემ წინააღმდეგ, რომლის თავი და თავი ჯერ კიდევ 1972 წელს პატრიარქის არჩევნებში ჩემი განსხვავებული პოზიცია იყო.** იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ და ვისგან მზადდებოდა შეთქმულება, მომაქვს ამონარიდი სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის (ამჟამად განკვეთილის) **ნიკოლოზ მახარაძის** მოხსენებითი ბარათიდან რელიგიის საქმეთა საბჭოს მაშინდელი რწმუნებულის **თ. ონოფრიშვილის** სახელზე. იგი ჩემ დაპატიმრებამდე ერთი წლით ადრე დაიწერა: **„მიტროპოლიტი გაიოზი არ მალავდა აშკარა ზიზღს რუსი ხალხის მიმართ, არაერთხელ თავს ესხმოდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას, ლანძღავდა და ამცირებდა მას..."**

„ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩვენ პირადად ვთვლით, რომ ისეთი პირები, როგორიც მიტროპოლიტი გაიოზია, საერთოდ არ არიან ღირსნი, იყვნენ ეკლესიის მსახურნი და, მით უმეტეს, ატარებდნენ ასეთ მაღალ საეკლესიო ხარისხს".

სწორედ ასეთი პასკვილების მსხვერპლი გავხდი და, ბოლოს, პატრიარქმაც არათუ ცრუმოწმეები დამახვია თავს ათეისტურ სამსჯავროზე, თავადაც ყალბი ჩვენება გამოუგზავნა სასამართლოს. წარმოუდგენელია! რა არ ხდება ამ ცოდვილ ქვეყანაზე: **ერის სულიერი მამა და მოძღვარი სასამართლოზე ჯერ მოწმედ თავისი მღვდელმთავრის წინააღმდეგ და მერე ისიც — ყალბი ჩვენებით!**

მწარედ მახსენდება **1978 წლის 25 მაისი,** როცა შეთქმულებამ თავის აპოთეოზს მიაღწია. **სავალუტო ოპერაციათა წესების დარღვევის ბრალდებით** (რაც იმხანად არასასურველი პირების მოსაცილებლად ძალზე გავრცელებული „მეთოდი" იყო) **დამაკავეს და უშიშროების იზოლატორში მომათავსეს, რადგან ბრალდება ფრიად უსუსური იყო, ექვსი თვის შემდეგ $96^1$ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დამდეს ბრალი — თითქოს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონება დავიტაცე: — ამაში გულისხმობდნენ იმ სამღვდელმთავრო რეგალიებს** (საცეცხლური, მანტია, პანაღიები, კვერთხები, ხატები), **რომლებიც, როგორც მღვდელმთავარს, ზოგი — შეძენილი, ზოგიც ნაბოძები მქონდა პატრიარქებისაგან და სხვა სასულიერო პირთაგან.**

ვინც ღრმად ჩახედავს ჩემს „საქმეს", დარწმუნდება, რომ ეს პროცესი დაკვეთილი იყო და რომ განაჩენი დაპატიმრებამდე მქონდა გამოტანილი. **ბრალდებად იმ ხატის მოტაცებაც კი წამომიყენეს, რომელიც მხატვარს თავად დავახატვინე, მაგრამ ჩემი დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, იგი არ დაუკითხავთ.** ასევე არ დაჰკითხეს **მიტროპოლიტი რომანოზი,** რომელსაც უხდებოდა საეკლესიო ქონების აღწერა-აღრიცხვა **ეფრემ მეორისა და დავით მეხუთის** პატრიარქობის დროს. დანაშაულის გამომრიცხველი გარემოება, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა, იყო ის, რომ არცერთი ნივთი ეკლესიისა და საპატრიარქოს ქონების აღწერის სიებში არ იხსენიებოდა. გარდა ამისა, **ეფრემ მეორის გარდაცვალებისთანავე მოწვეულ იქნა სინოდის სხდომა, დაილუქა საპატრიარქოს ოთახები, გასაღებები ჩაბარდა მოსაყდრეს და დიდი სურვილიც რომ მქონოდა, იქიდან ვერაფერს მივითვისებდი.**

თუ ეკლესია მართლა ბრალს მდებდა საეკლესიო ქონების მიტაცებაში, არსებობდა საეკლესიო კანონები, რომელთა თანახმად უნდა განესაჯათ ჩემი ქმედება, მაგრამ **შიოლაშვილსა და მის გარემოცვას** ნივთები არ აინტერესებდათ, **მათთვის მთავარი იყო ჩემი ხანგრძლივი იზოლაცია, რაც შეიძლებოდა სიცოცხლის ფასადაც კი დამჯდომოდა** (სხვათაშორის, კოლონიაშიც იყო ჩემი ლიკვიდაციის მცდელობა).

ამაზრზენია, რომ ის უმაღლესი საეკლესიო პირები, რომლებიც სასამართლო კულისებში ჩემ დახვრეტას მოითხოვდნენ, დღეს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ იმაღლებენ ხმას. **შეთქმულების მასშტაბზე მეტყველებდა პუბლიკაციები გაზეთ „კომუნისტში" ყოფილი პარტიული ფუნქციონერის ბ. ბედინეიშვილის რედაქტორობის დროს.**

ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც დამკვეთმა ინება.

**ეკლესიას ჩამომაცილეს. თავისუფლება აღმიკვეთეს, ბინა გამიყიდეს, ქუჩაში დამტოვეს, ყველაფერი წამართვეს, სულის გარდა!**

შორიდან ვუყურებ ეკლესიას, მისი ავითა და კარგით ისე ვეღარ ვცხოვრობ. გული მტკივა, რომ შეინიშნება ქართული ეკლესიის რღვევისა და დაშლის პროცესი.

**ჩემი აზრით, წერტილი უნდა დაესვას კათოლიკოს-პატრიარქის ერთპიროვნულ მართვას, რამაც ქართულ ეკლესიას ბოლო პერიოდში დიდი ზიანი მოუტანა და, ალბათ, კვლავაც მოუტანს, ვიდრე არ გადაისინჯება 1937 წელს მაშინდელი ხელისუფლების ზეწოლით საეკლესიო კრების მიერ სინოდის რეორგანიზაციისა და კათოლიკოს-პატრიარქის ერთპიროვნული მარ-**

*გაგრძელება 26-27-ე გვერდებზე*

1977 წელი, სიონი, პატრიარქი დავით V მწირველ სამღვდელოებასთან ერთად. **მარცხნიდან:** ***ეპისკოპოსი გიორგი ღონღაძე, არქიმანდრიტი პართენ აფციაური, მიტროპოლიტი გაიოზი, პროტოპრესვიტერი პახუმ ობოლაძე, ალავერდელი ეპისკოპოსი გიორგი ცერცვაძე, პატრიარქი დავითV, მიტროპოლიტი ზინობი***



## კვირგვინოსნები

**ალი ბაბაევი**
*„საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის" თავმჯდომარე*



კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ **პატრიოტი პრემიერ-მინისტრი** გვყავს, რომელსაც ნამდვილად ადარდებს საქართველოს ბედი, ნამდვილად ფიქრობს ქვეყნისა და ხალხის მომავალზე. დღეს რომ **მართლმადიდებლობის და პატრიარქის წინააღმდეგ გამოდიან ეს „ენჯეოებისგან" დაფინანსებული ლიბერალები, მე ისლამის წარმომადგენელი ვარ და ჩემს ინტერესებს ვინღა დაიცავს,** როცა თავიანთ ტრადიციულ სარწმუნოებას შეურაცხყოფენ? როგორც მართლმადიდებლობას შეუტევენ, ისე შემოგვიტევენ მუსლიმებსაც!

„საერთო გაზეთი"

**მამუკა გიორგაძე**
*სახალხო პარტიის თავმჯდომარე*



„ქართულ ოცნებას" და ნაცმოძრაობას **თავიანთ უაზრო დრამატურგიაში** ავიწყდებათ ქვეყანა, მისი მომავალი, ილიას შეგონებები.

„ახალი თაობა"




# სააკაშვილი სტრიპტიზის პროფესიონალ მოცეკვავედ ჩამოყალიბდა!



***მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — „უკრაინის პრეზიდენტად" წოდებული ჯამბაზის ვოლოდიმირ ზელენსკის ხროვამ, რომელიც საქართველოს დაუძინებელი მტერია და კიევში დასავლეთის ბნელი ძალების რეზიდენტურას წარმოადგენს, ოფიციალურ თბილისთან დიპლომატიური ურთიერთობა, ფაქტობრივად, გაწყვიტა და ჩვენი ელჩი ქვეყნიდან გამოაძევა — აქაოდა, 48 საათში თბილისში ჩადი და შენს ხელისუფლებას სააკაშვილზე მოელაპარაკე, უკრაინის მოქალაქე მიხეილოს რად გვიკლავენო?!***

დღეის იქით, **ტიტლიკანა და ტუტრუცანა ზელენსკის** მიერ თბილისში გამოძევებული ჩვენი ელჩი საქართველომ უკრაინაში აღარ უნდა მიაბრუნოს! თავად ელჩიც — **გიორგი ზაქარაშვილი,** თუ თავმოყვარეობა და ღირსება აქვს, ამ უღირსი, უმადური პოლიტიკური ვირთხების ბუნაგში — კიევში — აღარ უნდა დაბრუნდეს! არადა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ გიორგი ზაქარაშვილს ღმერთმა ყველაფერი ბლომად მისცა — ღირსებაც, ვაჟკაცობაც და ერთგულებაც! 2022 წლის თებერვალში, როცა რუსის ჯარი უკრაინაში შეიჭრა და პუტინმა კიევზე იერიში მიიტანა, იგი საქართველოს საელჩოსა და გენერალური საკონსულოს ყველა თანამშრომელთან ერთად კაცურად იდგა და ომის ქარცეცხლში გახვეული ქვეყნიდან ფეხი არ მოუცვლია მაშინ, როცა ნატოს წევრმა ბევრმა ქვეყანამ უკანალზე იპწკინა და უკრაინიდან გაიქცა...

**მოკლედ, ღმერთმა ყველაფერი ისე მოაწყო, რომ, რაც საქართველოს ხელისუფლებას ჯერ კიდევ 2014 წელს უნდა გაეკეთებინა და ვერ გააკეთა, ცნობილი მასხარისა და შიშველი მეგიტარის ვოლოდიმირ ზელცმანის ხელით სწორედ ახლა გაკეთდა.** მართლაც, **ჩვენ რომ თავმოყვარეობა გვქონოდა, უკრაინიდან ელჩი ჯერ კიდევ ამ ცხრა წლის წინათ, 2014 წელს უნდა გამოგვეხმო და კიევთან დიპლომატიური ურთიერთობაც გაგვეწყვიტა,** რადგან უკრაინის ხელისუფლებაში მოსულმა ფაშისტებმა ქართველ ერს სახეში შეაფურთხეს, როცა ეს მართლაცდა ფურთხით გაკეთებული პოლიტიკური გვამი — **კაცების გაუპატიურებასა და წამებაში მხილებული სააკაშვილი,** ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშნეს! სამწუხაროდ, მაშინ ეს არ მოხდა, რადგან საქართველოს ხელისუფლება უკრაინასთან ურთიერთობის დაძაბვასა და გამწვავებას მოერიდა... თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ დათმობას უარესი შედეგი მოჰყვა და **ხატია დეკანოიძით** დაწყებული, ციხის ცნობილი ჯალათით **ალექსანდრე მუხაძით** დამთავრებული, **სააკაშვილის მთელი საძაღლეთი** უკრაინაში ჩაათრიეს, დააბინავეს და დაასაქმეს. ასე აღმოჩნდნენ უკრაინაში: **სააკაშვილის მარტინ ბორმანი** — ნაცპროკურორი **ზურაბ ადეიშვილი, ლაფანყურის სისხლიანი სპეცოპერაციის „გმირი" გია ლორთქიფანიძე, უკანალით ბოთლში „პასტის" ჩამგდები გია გეწაძე, „ქართუ-ბანკის" გამკოტრებელი გიზო უგლავა და სხვა მრავალი.** არადა, ამერიკელების ცნობილი „ძაღლიშვილი" **ვოლოდიმირ ზელენსკი,** რომელმაც აყვავებული უკრაინა მიწასთან გაასწორა და 350 ათასი კაცი პუტინის არმადას უკვე გააჟუჟინა, თურმე, ძალიან შეშფოთებულია იმით, რომ **„სწორედ ახლა რუსეთი საქართველოს ხელისუფლების ხელით კლავს უკრაინის მოქალაქე მიხაილო სააკაშვილს!"**

ცნობისათვის, ამერიკელებმა თავიანთ „ძაღლიშვილ" ზელენსკისა და მის ხროვას მორიგი ფარათი 2023 წლის 3 ივლისს დაუკვეთეს, როცა კლინიკა „ვივამედში" წამოკოტრიალებული საქართველოს ნაპრეზიდენტალი და უკრაინის მოქალაქე 2007 წლის 7 ნოემბრის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ დისტანციურად დაჰკითხა. **მიხაილომ, რომელმაც ურცხვად განაცხადა, რომ უკრაინის მოქალაქეა, სასამართლოს უკრაინულად მიმართა და შემდეგ სტრიპტიზის ცეკვა დაიწყო, რადგან პროფესიონალი მეძავივით მაისური აიხადა და ქალბატონ მოსამართლე ელიეშვილსა და მთელ მსოფლიოს დამჭკნარი და ბანჯგვლიანი ძუძუები უჩვენა.**

მოკლედ, სააკაშვილი სტრიპტიზის პროფესიონალ მოცეკვავედ ჩამოყალიბდა და **პირდაპირ ეთერში მაისური უკვე მერამდენედ „აიხადა". იმისათვის, რომ მეტი ფურორი მოახდინოს, მიხაილოს ვურჩევთ, ამდენი „ახდის" შემდეგ ერთხელ მაინც ჩაიხადოს და სხვა თუ არაფერი, პარლამენტში მოკალათებული თავისი ხარჭები და ზელენსკის ქართველი გოშია — დავით არახამია მაინც გაახაროს!**

**ერთი სიტყვით, 3 ივლისს სააკაშვილმა პირდაპირ ეთერში სტრიპტიზი იცეკვა და იმისათვის, რომ თავისი სიგამხდრე და განსაკუთრებით „შეგდებული" მუცელი კარგად წარმოეჩინა, ღონივრადაც შეისუნთქა.** პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, სააკაშვილის გატიტვლება **კუჭის რეზექციის** რეკლამა იყო, ხოლო უკრაინის გამაუბედურებელმა და ამომყლეტმა **ვოლოდიმირ ზელცმან-ზელენსკიმ** ეს ყველაფერი ხელზე დაიხვია და მიხაილოს სტრიპტიზის შემდეგ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **გიორგი ზაქარაშვილი** საქართველოში გამოისტუმრა.

მოკლედ, ასე გვექცევა იმ ქვეყნის ე.წ. პრეზიდენტი, რომელსაც გაჭირვებულმა და ტერიტორიებმორღვეულმა საქართველომ ყველაზე მეტი ჰუმანიტარული დახმარება გაუგზავნა, საერთაშორისო პლატფორმებზე ყველგან უპირობო მხარდაჭერა გამოუცხადა, 30 ათასი უკრაინელი დევნილი საქართველოში მიიღო, დააბინავა, ფინანსურად დაეხმარა და ყოველთვიურად დღესაც ეხმარება.

**აი, ამით გადაგვიხადეს, რადგან ჩვენი პატარა ქვეყანა ამერიკელ ვამპირებსა და პუტინის გენერლებს არ ვაჯიჯგნინეთ ისე, როგორც ეს სააკაშვილმა გააკეთა 2008 წლის აგვისტოში.**

მასხარა **ზელენსკი-ზელც-**



**გიორგი ზაქარაშვილი, თუ თავმოყვარეობა და ღირსება აქვს, ამ უღირსი, უმადური პოლიტიკური ვირთხების ბუნაგში — კიევში — აღარ უნდა დაბრუნდეს!**

## კვირგვინოსნები

### ნინო ჯღარკავა
*ჟურნალისტი*



ჩემი **მიხო** ძლივს არ დამსგავსებია პატიმარს? **გაუკრეჭია, გაუპარსია და რა ტანზე დგას?** გიულას ნივრიანი პურების კვალობაზე კია **ბრედ პიტი,** ისემც მეხი თხლეშია.

„ფეისბუქი"

### ლევან ლორთქიფანიძე
*პოლიტოლოგი*



ყველამ იცის, რომ **სააკაშვილს არც აწამებენ და არც კლავენ** — საქმე გვაქვს პოლიტიკურ სპეკულაციასთან, **პროვოკაციულ თვითდაზიანებასთან და მეგალომანიით დაავადებული ადამიანის ახირებასთან,** რომელსაც ციხეში ყოფნა არ სურს.

„იმედინიუსი"

### თამარ ჩერგოლეიშვილი
*„ტაბულას" დამფუძნებელი*



2016 წელს, არჩევნების წინ, „რუსთავი-2" უკვეთდა კვლევას და მალავდა იმ ნაწილს, სადაც ჩანდა, რომ **არათუ ზოგადად ამომრჩევლის, არამედ ნაცმოძრაობის ამომრჩევლის ნახევარსაც კი არ უნდა მიშა პრემიერად,** ანუ რეალობა, რომ **მიშა თავისი პარტიის ამომრჩევლის ნახევარსაც კი არ უნდა ქვეყნის სათავეში** — იმალებოდა. ახლა რეალობის მთავარი გამყალბებელი **ციხიდან ნეკნებს გვათვლევინებს** — პუტინმა დამატყვევაო. **პუტინმა კი არა, საკუთარმა თავმა და რეალობის გაყალბებამ დაგატყვევა.**

„აიპრესი"

### მამუკა გამყრელიძე
*ნაცმოძრაობის ყოფილი მაჟორიტარი*



**სააკაშვილი არის ვაჭრობის თემა** და მეტი არაფერი. თვითონ **სააკაშვილიც** ცდილობს, რომ თავი შეაცოდოს საერთაშორისო საზოგადოებას. ამაში ცუდი არაფერია. **ეს სავაჭრო თემაა ბიძინასთვისაც.** საზოგადოების დიდი ნაწილისთვის **მიშას გაშვება იქნება წითელი ნაჭრის აფრიალების ტოლფასი.** ამან შეიძლება სერიოზული რყევები გამოიწვიოს არჩევნების წინ. სჭირდება ახლა ეს ხელისუფლებას? რა თქმა უნდა, არა!

„ახალი თაობა"

## ტიტლიკანა და ტუტრუცანა ზელენსკის მიერ თბილისში გამოძევებული ჩვენი ელჩი საქართველოდ უკრაინაში აღარ უნდა მიაბრუნოს!




**მანი,** რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომიდან ერთი თვის თავზე „კომედი-შოუში" საქართველოსა და ქართველებს დასცინოდა და ცხინვალში, შინდისსა და თამარაშენში ცოცხლად დამწვარ გმირებზე ღლიცინებდა, როგორც ჩანს, საბოლოოდ გატიტვლდა და ყველაფერი აღიარა. მართლაც, **საქართველოს მიმართ ამ ბოლო დროს გაკეთებული სამარცხვინო, ცილისმწამებლური და პროვოკაციული განცხადებებით ზელენსკიმ ერთხელ და სამუდამოდ დაადასტურა, რომ 2021 წლის ოქტომბერში არაჟნის კონტეინერით სააკაშვილის საქართველოში შემოპარების უკან სწვებთან ერთადს სწორედ ის იდგა.** ხოლო ახლა, როცა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სააკაშვილის გათავისუფლებისა და ე.წ. „სამკურნალოდ გადაყვანის" ყოველგვარი იმედი ჩაკვდა, იმის შიშით, მიხაილომ კიევური ხროვისკენ ხელი არ გამოიშვიროს და არ თქვას — **კონტეინერში მხოლოდ** ᲒᲘᲐ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔᲛ **კი არა, პრეზიდენტმა** ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲛᲐᲪ **ჩამსვა და საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად გამომგზავნაო!** — სულგაყიდულმა ვოლოდიმირმა „ვივამედში" გამომწყვდეული ამ მართლაცდა **პოლიტიკური ლეშის** გასათავისუფლებლად მორიგი ბინძური კამპანია წამოიწყო!

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲙᲘᲔᲕᲣᲠ ᲑᲐᲜᲓᲐᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘᲗ ᲨᲔᲣᲗᲕᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲔᲮᲡᲣᲡᲢ ᲛᲐᲛᲘᲓᲐᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲔᲚᲩᲗᲐᲜ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ!**

როგორც ეტყობა, ვოლოდიმირ ზელცმან-ზელენსკის ბინძური ხროვა საცოდავ უკრაინელებს კიდევ ბევრ მოყვარეს გადაჰკიდებს და მოამდურებს!

**გული მიგრძნობს, შორს არ არის ის დრო, როცა უკრაინელი ხალხის მეგობარი და მოყვარული საქართველოს მოღალატე ზელენსკის ბუნაგში ზუსტად ისე დაიწყებენ კალიუმციანიდის ამპულების ჩამორიგებას, როგორც ამას 1945 წლის აპრილის მიწურულს ჰიტლერის ბუნკერში ფიურერის რაიხსმარშლები და რეფერენტები სჩადიოდნენ!**

***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ



**ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ**
*უფლებადამცველი*

პრეზიდენტი თავად გახდა **ახალი დაპირისპირების წყარო და ინსპირატორი.** ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ შეწყალებით პრეზიდენტმა დაშლის პირას მისული ნაცმოძრაობის **პოლიტიკური ხრწნის პროცესი** შეაჩერა.

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ"



**ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ**
*პოლიტოლოგი*

**ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ** თუ რამე შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, **ომი ჯერ არ გამოუცხადებია, მაგრამ შეიძლება, ესეც გააკეთოს** — სააკაშვილს ითხოვენ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ უნდათ, დასაყვედრებელი თემა სჭირდებათ.

„ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲜᲘᲣᲡᲘ"



# ᲡᲐᲜᲓᲣᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲜᲓᲝ ᲑᲝᲓᲕᲔᲑᲘ,

## ᲐᲜᲣ ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲪ ᲙᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲐᲕᲡ!






***კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო! — სწორედ ასეა მოლდოვის ხელისუფლების საქმე, რომელიც, უკრაინის ხელისუფლების მსგავსად, საქართველოს თითს უქნევს და ნოტაციებს უკითხავს.***

საქმე ის არის, რომ **კლინიკა „ვივამედის" ლუქს-პალატაში მოკოტრიალე მსჯავრდებულმა სააკაშვილმა გასულ კვირას ძველი საცირკო ნომერი გაიმეორა და სასამართლო პროცესზე „სკაიპით" ჩართვისას მაისური აიწია, აქაოდა — შემომხედეთ, როგორი გამხდარი ვარ, პუტინის დავალებით რა დღეში ჩამაგდო „ქოცების" რუსულმა რეჟიმმაო!**

სააკაშვილის ამ ტრიუკს, რასაც „ქართული ოცნების" თავმჯდომარე **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ „კუჭის რეზექციის რეკლამა"** უწოდა, ნუ იტყვით და, ლამის შოკში ჩაუგდია მოლდოვის პრეზიდენტი **ᲛᲐᲘᲐ ᲡᲐᲜᲓᲣ,** რომელმაც განაცხადა:

> ***„მიხეილ სააკაშვილის კადრების ჩვენებამ ღრმად აღმაშფოთა. გავრცელებული კადრები მოწმობს იმაზე, რომ ციხეში ყოფნის პერიოდში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სერიოზულად გაუარესდა. მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, მის მდგომარეობას პრიორიტეტული ყურადღება მიაქციოს და სასწრაფოდ უზრუნველყოს საზღვარგარეთ სამედიცინო მკურნალობა".***

ჯერ ის ვთქვათ, რომ „ღრმად აღშფოთებული" **ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲡᲐᲜᲓᲣ** ღრმად ცრუობს, რადგან სააკაშვილი ციხეში არ იმყოფება და უკვე თითქმის წელიწადნახევარია, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო კერძო კლინიკის ოროთახიან აპარტამენტში ცხოვრობს. რაც შეეხება სრულიად **არასანდო სანდოუს** მოწოდებას — **საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ უზრუნველყოს სააკაშვილის საზღვარგარეთ მკურნალობაო** — ეს, უბრალოდ, სასაცილოა, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სულ ცოტა ხნის წინათ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სააკაშვილი საზღვარგარეთ მკურნალობას არ საჭიროებს, რადგან კლინიკა „ვივამედში" სრულფასოვანი პირობები აქვს შექმნილი მკურნალობისა და გამოჯანმრთელებისათვის!

**ცხადია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲜᲓᲝᲐ, ვიდრე მოლდოვის პრეზიდენტი სანდუ!**

თავისთავად ის ფაქტი, რომ **სრულიად არასანდო სანდუ** დღეისათვის ყველაზე **ᲡᲐᲜᲓᲝ** და ავტორიტეტიანი ევროპული ინსტიტუტის — სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას არად აგდებს, ერთ რამეზე მეტყველებს: მოლდოვის პრეზიდენტი ისეთივე უტიფარი და უსირცხვილოა, როგორც უკრაინის მოქმედი პრეზიდენტი **ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ** და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ!**

საკუთარ პრეზიდენტს უტიფრობაში არც მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრი **ᲜᲘᲙᲣ ᲞᲝᲞᲔᲡᲙᲣ** ჩამორჩა, რომელმაც განაცხადა:

> ***„გამოვხატავ ღრმა შეშფოთებას საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის გამო. მიუღებელია, ვინმეს პოლიტიკური დევნა. მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ზომები მისი ჯანმრთელობის დასაცავად და უზრუნველყოს, რომ სამართლიანობა პოლიტიკურ ინტერესებზე მაღლა დააყენოს".***

როგორც ხედავთ,

### ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲞᲝᲞᲔᲡᲙᲣᲛ ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲖᲛᲨᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲡᲐᲜᲓᲣᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲘ ᲣᲬᲝᲓᲐ!

**არასანდო სანდუ და პოპულისტი პოპესკუ** ისე ლაპარაკობენ, გეგონება, მოლდოვის კი არა, ევროპის რომელიმე სუპერსახელმწიფოს ხელისუფალნი ბრძანდებიან, რომლებმაც თავიანთ ქვეყანაში დემოკრატიისა და სამართლიანობის ყველა პრობლემა მოაგვარეს და ახლა იმისათვის სცალიათ, რომ საქართველოსნაირ „ჩამორჩენილ" ქვეყნებს დაარიგონ ჭკუა.

არადა, საქართველო დემოკრატიის დონითაც, სამართლითაც და არაერთი სხვა პარამეტრითაც მოლდოვაზე ბევრად წინ არის, რაც ავტორიტეტიანი საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური მონაცემებით დასტურდება. მაგალითად, კორუფციის აღქმის ინდექსით საქართველო მსოფლიოში 41-ე ადგილს იკავებს და მთელი 50 ადგილით უსწრებს 91-ე პოზიციაზე მყოფ მოლდოვას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში კორუფციის დონე შეუდარებლად უფრო დაბალია, ვიდრე მოლდოვაში და საქართველოს ხელისუფლება კორუფციას გაცილებით უფრო ეფექტიანად ებრძვის, ვიდრე მოლდოვის ხელისუფლება.

კიდევ ერთი მაგალითი შედარებისათვის: **ევროპის ანტიკორუფციული და სახელმწიფო აღმშენებლობის კვლევების ცენტრმა ახლახან გამოაქვეყნა სახელმწიფოს კეთილსინდისიერების ინდექსის მიხედვით შედგენილი რეიტინგი, რომელშიც საქართველო მსოფლიოში 32-ე ადგილს იკავებს და პირველ ადგილზეა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, მოლდოვა კი ამავე რეიტინგში მე-60 პოზიციაზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო მოლდოვის სახელმწიფოზე ორჯერ უფრო კეთილსინდისიერია.**

### ᲥᲐᲚᲝ, ᲯᲔᲠ „ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲓᲐᲜ" ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲛᲝᲔᲗᲠᲘᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲒᲕᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔ!

ყოველივე ამის ფონზე, მოლდოვის პრეზიდენტ **ᲡᲐᲜᲓᲣᲡ** მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის ყურიდან ენის გამოყოფა და ჭკუის სწავლება **ᲐᲠᲐᲡᲐᲜᲓᲝ** პოლიტიკური ბოდვაა და მეტი არაფერი!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოლდოვის ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოს „პოლიტიკური დევნის დაუშვებლობაზე" არ უნდა ელაპარაკებოდნენ მაშინ, როცა თავად ახორციელებენ პოლიტიკურ დევნას მოლდოვის ყოფილი პრეზიდენტის **ᲘᲒᲝᲠ ᲓᲝᲓᲝᲜᲘᲡ** მიმართ, რომელსაც, სახელმწიფო ღალატით დაწყებული და ქრთამის აღებით დამთავრებული, ტონობით ბრალდება აქვს წაყენებული.

გარდა ამისა, მოლდოვა, რომლის პრეზიდენტიც საქართველოს დემოკრატიაზე უკითხავს ლექციას, ის ქვეყანაა, სადაც სანდუს ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ოპოზიციური პარტია საკონსტიტუციო სასამართლომ კანონგარეშედ გამოაცხადა და ოფიციალურად აკრძალა!

**იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ მოლდოვა დღემდე რჩება საბჭოთა კავშირის მინი-პროვოკაციად წოდებული ორგანიზაციის — „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის", ანუ „ესენგეს" წევრად!**

დიდი ალბათობით, საქართველოს ხელისუფლება, პოლიტიკური და დიპლომატიური ეთიკიდან გამომდინარე, თავს შეიკავებს, საკადრისი პასუხი გასცეს **ᲛᲐᲘᲐ ᲡᲐᲜᲓᲣᲡ** არასანდო ბოდვებს, მაგრამ ჩვენ ამ უტიფრობის თმენის ვალდებულება ნამდვილად არ გაგვაჩნია და ვფიქრობთ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის პოზიციასაც გამოვხატავთ, თუ მოლდოვის პრეზიდენტს ვეტყვით: **ქალო, ჯერ „ესენგედან" მაინც გამოეთრიე და მერე გველაპარაკე!**

სულ ესაა ჩვენი კომენტარი სანდუს არასანდო ბოდვებზე!

***ᲯᲐᲑᲐ ᲮᲣᲑᲣᲐ***

# ზელენსკიმ საქართველოს ცივი ომი უკვე ოფიციალურად გამოუცხადა!

***სირაქლემის პოზაში ნუ ჩავდგებით და პირდაპირ ვთქვათ: ზელენსკის ხელისუფლების მიერ საქართველოს ელჩის თბილისში გამოშვება, რათა მან პატიმარ სააკაშვილის უკრაინისათვის გადაცემის შესახებ მთავრობასთან კონსულტაციები გამართოს, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა უკრაინული სახელმწიფოს მიერ საქართველოს ელჩის დემონსტრაციულ და უაპელაციო გაძევებას!***

შესაბამისად, **ზელენსკის ხელისუფლების** მიერ საქართველოს ელჩის დემონსტრაციული და უაპელაციო გაძევება პირდაპირ ნიშნავს უკრაინული სახელმწიფოს მიერ საქართველოსათვის **ცივი ომის** გამოცხადებას!

უკეთ რომ ვთქვათ, **ეს არის ცივი ომის ოფიციალურად გამოცხადება, თორემ არაოფიციალურად უკვე დიდი ხანია, უკრაინის სახელმწიფოს საქართველოსათვის ცივი ომი აქვს გამოცხადებული.**

უკრაინის სახელმწიფომ საქართველოს ცივი ომი ჯერ კიდევ პოროშენკოს პრეზიდენტობის დროს გამოუცხადა, როცა ქართული მართლმსაჯულების მიერ ბრალდებული და ძებნილი სისხლის სამართლის დამნაშავეები, სააკაშვილის თამადობით, საკუთარი კალთის ქვეშ შეიფარა და მაღალი თანამდებობებით დაასაჩუქრა.

**თვით გლდანის ციხის ყოფილი დირექტორი და პირსისხლიანი ჯალათი ალექსანდრე მუხაძეც კი, რომელიც ქართულ მართლმსაჯულებას პატიმრების წამებისა და გაუპატიურებისათვის ჰყავს გასამართლებული, ზელენსკის ხელისუფლებამ პოლიტიკურ დევნილად შერაცხა და პოლიტიკური თავშესაფრით უზრუნველყო,**

რაც უკრაინის სახელმწიფოს მიერ საქართველოსათვის ცივი ომის არაოფიციალურად გამოცხადების ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ნიშანი იყო.

**ზელენსკის ხელისუფლებამ საქართველოს წინააღმდეგ არაოფიციალურად გამოცხადებული ცივი ომის გაოფიციალურებისაკენ ყველაზე დიდი ნაბიჯი მაშინ გადადგა, როცა უკრაინაში რუსული სამხედრო ინტერვენციის დაწყებიდან რამდენიმე დღეში საქართველოდან საკუთარი ელჩი გაიწვია, რადგან ქართულმა სახელმწიფომ ომში ჩართვის ტოლფასი ნაბიჯი არ გადადგა და ორგანიზება არ გაუწია ე.წ. მოხალისე ბოევიკების გაგზავნას უკრაინის ფრონტზე.**

ამის შემდეგ უკრაინის სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები და **ზელენსკის პოლიტიკური გარემოცვის წარმომადგენლები** პერმანენტულად დგამდნენ ნაბიჯებს, რომლებითაც საქართველოს წინააღმდეგ არაოფიციალურად გამოცხადებულ ცივ ომს ნელ-ნელა აძლევდნენ ოფიციალურ სახეს — ღია მოწოდებები მეორე ფრონტის გახსნისაკენ, უსაბუთო ბრალდებები იმის შესახებ, თითქოს საქართველო რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში ეხმარება, პირდაპირი ჩართვები კიევიდან თბილისში ნაცმოძრაობის საპროტესტო აქციებზე და განცხადებები, რომ ივანიშვილის „რუსული რეჟიმი“ უნდა შეიცვალოს...



**ზელენსკი საქართველოსათვის ოფიციალურად იქცა მტერენსკიდ! ერმაკი ოფიციალურად იქცა მტერმაკად! არახამია ოფიციალურად იქცა მტერახამიად! გონჩარენკო ოფიციალურად იქცა მტერჩარენკოდ! პოდოლიაკი ოფიციალურად იქცა მტერდოლიაკად!**

**უკრაინის სახელმწიფოს მიერ საქართველოსათვის ცივი ომის ოფიციალურად გამოცხადებას ბევრი რომ არაფერი აკლდა, ეს ყველაზე კარგად მაშინ გამოჩნდა, როცა ზელენსკის ხელისუფლებამ საგარეო დაზვერვის უფროსის პირველ მოადგილედ დანიშნა ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი ბია ლორთქიფანიძე, იგივე „ბოროტა“, რომელიც არაჟნებით სავსე ტრაილერში სააკაშვილის ჩადებისა და საქართველოში შემოპარების ერთ-ერთი ორგანიზატორ-შემსრულებელი იყო.**

ლორთქიფანიძის მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე გამწესება, ყველაფერთან ერთად, იმის ფაქტობრივ დადასტურებასაც ნიშნავდა, რომ სააკაშვილის უკრაინიდან გამოპარებისა და საქართველოში შემოპარების ოპერაციის უკან სწორედ ზელენსკის ხელისუფლება იდგა!

მოკლედ, დარჩენილი იყო ერთადერთი ნაბიჯი, რომელიც უკრაინის სახელმწიფოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ ცივი ომის გამოცხადებას საბოლოოდ მისცემდა ოფიციალურ სახეს — **ზელენსკის უკრაინიდან საქართველოს ელჩი უნდა გაეძევებინა და ქართულ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის უკანასკნელი ფორმალური ძაფიც გაეწყვიტა!**

და ზელენსკიმ ესეც გააკეთა!

და ზელენსკი საქართველოსათვის უკვე ოფიციალურად იქცა **მტერ**ენსკიდ!

ერმაკი ოფიციალურად იქცა **მტერ**მაკად!

არახამია ოფიციალურად იქცა **მტერ**ახამიად!

გონჩარენკო ოფიციალურად იქცა **მტერ**ჩარენკოდ!

პოდოლიაკი ოფიციალურად იქცა **მტერ**დოლიაკად!

და ასე შემდეგ!

**მტერენსკის, მტერმაკს, მტერახამიას, მტერჩარენკოს, მტერდოლიაკსა** და უკრაინის ხელისუფლებაში მოკალათებულ საქართველოს სხვა მტრებს შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, მხოლოდ ცივ ომს არ დასჯერდებოდნენ და ცხელ ომსაც აუცილებლად გამოგვიცხადებდნენ!

მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ — **არ ვაპირებთ, ზელენსკის ხელისუფლების არამეგობრულ ნაბიჯებს ავყვეთ და უკრაინასთან ცალმხრივი მეგობრობის რეჟიმში ვრჩებითო!** ეს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კეთილშობილებისა და ღირსების, გონიერებისა და პრაგმატიზმის გამოვლინებაზე მეტად თავის მოტყუებას, წყლის ნაყვასა და მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავს, რადგან ყოვლად შეუძლებელია, „ცალმხრივად იმეგობრო“ მტერთან, რომელმაც ცივი ომი უკვე ოფიციალურად გამოგიცხადა და რომ შეეძლოს, ქვეყანაში ჯარითა და ტანკებითაც შემოგივარდებოდა!

**მტერენსკის, მტერმაკს, მტერახამიას, მტერჩარენკოს, მტერდოლიაკსა და უკრაინის ხელისუფლებაში მოკალათებულ საქართველოს სხვა მტრებს შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, მხოლოდ ცივ ომს არ დასჯერდებოდნენ და ცხელ ომსაც აუცილებლად გამოგვიცხადებდნენ!**

**ვფიქრობთ, უკრაინის სახელმწიფოს სათავეში მყოფი კოლექტიური მტერენსკის მხრიდან საქართველოს მიმართ ასეთი უპატივცემულო, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი დამოკიდებულება დიდწილად სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მთელი ამ ხნის განმავლობაში „ცალმხრივ მეგობრობას“ იჩემებს, თავზე ნაცარს იყრის და ბევრ ისეთ რამეს ითმენს, რისი მოთმენაც, უბრალოდ, სახელმწიფოებრივი და ეროვნული თავმოყვარეობის ფეხქვეშ გათელვის ტოლფასია!**

მაგალითად, ქართულ სახელმწიფოს უკრაინული სახელმწიფოსათვის დღემდე არ მოუთხოვია უკრაინის ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებზე გამწესებული **ქართველი სისხლის სამართლის დამნაშავეების** გადმოცემა, აქაოდა — ქვეყანა ომშია და ახლა ამის დრო არ არისო, მაგრამ სწორედ ამ დროს სწორედ ის ომში მყოფი ქვეყანა საქართველოსაგან დაჟინებით ითხოვს დამნაშავე სააკაშვილის გადაცემას!

ახლა მაინც, **ზელენსკი-მტერენსკის** მიერ ოფიციალურად გამოცხადებული ცივი ომის პასუხად, ქართულმა სახელმწიფომ უკრაინის სახელმწიფოს

# ხელისუფლებამ სასწრაფოდ მოსთხოვოს უკრაინის ელჩისნაცვალ კასიანოვს ქვეყნის დატოვება და საკუთარ მთავრობასთან კონსულტაციების გამართვა ზურაბ ადეიშვილისა და გია ლორთქიფანიძის საქართველოსათვის გადმოცემის საკითხზე!





**ქართულმა სახელმწიფომ უკრაინის სახელმწიფოს ოფიციალურად და კატეგორიულად უნდა მოსთხოვოს ზურაბ ადეიშვილისა და გია ლორთქიფანიძის გადმოცემა!**

ოფიციალურად და კატეგორიულად უნდა მოსთხოვოს, მინიმუმ, ორი ძებნილი დამნაშავის — **უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩევლის ზურაბ ადეიშვილისა და უკრაინის საგარეო დაზვერვის უფროსის პირველი მოადგილის გია ლორთქიფანიძის გადმოცემა!**

აკი, თქვა კიდეც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა** — სააკაშვილის უკრაინისათვის გადაცემასთან დაკავშირებით ვერანაირი კონსულტაციები ვერ იქნება, ერთადერთი, რაზეც კონსულტაციები შეიძლება, გაიმართოს, უკრაინის მიერ საქართველოსათვის ადეიშვილისა და ლორთქიფანიძის გადმოცემა არისო!

**მაგრამ, თქმა ერთია და საქმე — მეორე!**

**ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი, რომელიც ზელენსკი-მტერენსკის მიერ საქართველოს ელჩის გაძევებით უკიდურესად შეურაცხყოფილი და აღშფოთებულია, სწორედ საქმეს ელოდება — ხელისუფლებამ სასწრაფოდ მოსთხოვოს უკრაინის ელჩისნაცვალ კასიანოვს ქვეყნის დატოვება და საკუთარ მთავრობასთან კონსულტაციების გამართვა ზურაბ ადეიშვილისა და გია ლორთქიფანიძის საქართველოსათვის გადმოცემის საკითხზე!**

თუ საქართველოს ხელისუფლება ამას დღეს არ გააკეთებს, ხვალ **ზელენსკი-მტერენსკის** მომდევნო ნაბიჯი საქართველოსათვის ცხელი ომის გამოცხადება იქნება!

*ჯაბა ხუბუა*




*საზოგადოებისათვის ცნობილია და „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზეც ვწერდით იმის შესახებ, რომ თბილისსა და საქართველოს სხვა რამდენიმე ქალაქში არსებობს რესტორნები თუ კაფე-ბარები, სადაც რუსეთის მოქალაქეებისათვის ე.წ. სავიზო ანკეტები აქვთ შემოღებული.*

# ვკითხოთ! გვიპასუხონ!

პრინციპი ასეთია: **კონკრეტულ კვების ობიექტში, მაგალითად, თბილისში მდებარე „დედაენის ბარში“ მისულმა რუსეთის მოქალაქეებმა, სანამ მათ სუფრას გაუშლიან და მოემსახურებიან, სპეციალური ანკეტა უნდა შეავსონ და უპასუხონ კითხვებს:** ეთანხმებიან თუ არა, რომ უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიები რუსეთის მიერ არის ოკუპირებული? მიაჩნიათ თუ არა, რომ პუტინი დიქტატორია? და ა.შ.

**რუსეთის მოქალაქეს, რომელიც ამ ანკეტის შევსებაზე უარს განაცხადებს ან საკუთარი პასუხებით რუსეთის ოკუპანტობასა და პუტინის დიქტატორობას არ დაადასტურებს, კვების ობიექტში არ მოემსახურებიან, უკეთეს შემთხვევაში, თავაზიანად მოსთხოვენ ტერიტორიის დატოვებას და, უარეს შემთხვევაში, რუსულ სამხედრო გემთან დაკავშირებული ცნობილი ფრაზის აკომპანემენტით გააძევებენ.**

საქართველოში ასეთი კვების ობიექტების მეპატრონეები, როგორც წესი, **რადიკალი ნეოლიბერალები ან სექტანტი მიშმადიდებლები** არიან, რომლებსაც არავითარი პრობლემა არა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რომ, მაგალითად, **„კაგებეს“ კადრების სამჭედლოში — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში გამოზრდილ ელენე ხოშტარიას რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით რუბლი ერიცხება,** მაგრამ ეჭვისა და ზიზღის თვალით უყურებენ რუსეთის ყველა მოქალაქეს, ვინც საკუთარი სამშობლოსა და ხელისუფლების ლანძღვა-გინებისაგან თუნდაც შიშის გამო იკავებს თავს.

პარტიული თუ იდეოლოგიური ნაცლიბერალების კუთვნილ კვების ობიექტებში რუსეთის მოქალაქეთათვის დაწესებული **„სავიზო რეჟიმი“,** რაც პატრიოტობას კი არა, **ფაშისტობასა და ადამიანთა ეთნიკური ნიშნით სეგრეგაციას** უფრო ჰგავს, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მორალურად მიუღებელია, თუმცა, გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ჯდება და კანონით დასჯად ქმედებას არ წარმოადგენს.

ჰოდა, უკვე რამდენიმე დღეა, სოციალურ ქსელებში აქტიურად გაისმის მოწოდებები იმის შესახებ, რომ მსგავსი **„სავიზო რეჟიმი“** საქართველოში მრავლად მყოფი **უკრაინის მოქალაქეებისთვისაც** იქნას დაწესებული. ეს ხდება მას შემდეგ, რაც **ზელენსკის ხელისუფლებამ** უკრაინიდან საქართველოს ელჩი გააძევა — **წადი, შენს მთავრობას გადაეცი, რომ მსჯავრდებული სააკაშვილი გაათავისუფლოს და კიევში გამოუშვასო!**

უკრაინის ხელისუფლების ამ ქმედებას საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა სრულიად სამართლიანად მიიჩნევს ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის შეურაცხყოფად. განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ერთი ციცქნა საქართველო უკრაინაში გაგზავნილი ჰუმანიტარული დახმარების მოცულობით ევროპის უდიდეს სახელმწიფოებსაც კი უსწრებს, ხოლო ომს გამოქცეული ასიათასობით უკრაინელისათვის ჩვენი ქვეყანა მეორე სახლად იქცა, **ზელენსკის საქციელი უკიდურესი უმადურობის გამოვლინებად აღიქმება.**

კაცმა რომ თქვას, **სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია, ქართველ საზოგადოებას აინტერესებდეს, თუ რას ფიქრობენ საქართველოში მყოფი უკრაინელი ლტოლვილები მათი ხელისუფლების მიერ საქართველოს ელჩის გაძევებასა და სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნაზე?**

ქართველ საზოგადოებას ყველანაირი უფლება აქვს, იცოდეს, **ეთანხმებიან თუ არა საქართველოში მყოფი უკრაინელი ლტოლვილები საქართველოსადმი ზელენსკის ხელისუფლების უმადურ, დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას?**

**მიუხედავად იმისა,** რომ უკრაინის ხელისუფლება უკვე დიდი ხანია, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დისკრედიტაციით არის დაკავებული; **მიუხედავად იმისა,** რომ ზელენსკი და მისი ბანდა უკრაინაში ომის დაწყების პირველი დღიდანვე ცდილობენ, საქართველო რუსეთის მოკავშირედ წარმოაჩინონ; **მიუხედავად იმისა,** რომ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართული საქართველოში ე.წ. მაიდნისა და ხელისუფლების გადატრიალების ორგანიზებაში, **დღემდე არ ყოფილა ერთი შემთხვევაც კი, საქართველოში თავშეფარებული ასიათასობით უკრაინელიდან თუნდაც მცირე ჯგუფს დაეგმოს საკუთარი ხელისუფლების საქციელი, თუნდაც თითო-ოროლა მათგანს მაინც ეთქვას ან დაეწეროს ზელენსკისა და ზელენსკელთა გასაგონად — რას ერჩით საქართველოს, რომელმაც კარი ფართოდ გაგვიღო, გულში ჩაგვიკრა, ლუკმას გვიყოფს და ჩვენი მდგომარეობის შესამსუბუქებლად ყველაფერს აკეთებსო?** სამაგიეროდ, იყო შემთხვევები, როცა უკრაინიდან ომს გამოქცეული და საქართველოში თბილად მცხოვრები უკრაინელი ჯეელები ნაცების აქციებზე ვიხილეთ ტრანსპარანტებით ხელში — **საქართველო უკრაინას იარაღით დაეხმაროსო!**




მოკლედ, სულაც არ იქნება გასაკვირი, დღეს-ხვალ არაერთ ქართულ რესტორანსა და კაფე-ბარში უკრაინის მოქალაქეებისათვის სპეციალური „სავიზო ანკეტა“ იქნას შემოღებული, რომლის მეშვეობითაც კვების ობიექტების მეპატრონეები დაადგენენ, **ვის სურს მათ დაწესებულებაში ქეიფი ან, უბრალოდ, სადილობა — უკრაინის მოქალაქეს, რომელიც საქართველოსადმი უკრაინის ხელისუფლების შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას იზიარებს თუ უკრაინის მოქალაქეს, რომელიც უკრაინის ხელისუფლების მიერ საქართველოს შეურაცხყოფას გმობს და ემიჯნება?**

ვფიქრობთ, უკრაინის მოქალაქეებისათვის განკუთვნილ „სავიზო ანკეტაში“ სულ 3 კითხვა უნდა იყოს დასმული:

1. **გმობთ თუ არა უკრაინის ხელისუფლების მიერ** საქართველოს ელჩის გაძევებას და მიგაჩნიათ თუ არა ეს ქართული სახელმწიფოს შეურაცხყოფად?
2. **ეთანხმებით თუ არა უკრაინის ხელისუფლებას,** რომ მიხეილ სააკაშვილი უკანონო პატიმარია, რომელიც უნდა გათავისუფლდეს და გადაეცეს უკრაინულ სახელმწიფოს?
3. **ეთანხმებით თუ არა უკრაინის ხელისუფლებას,** რომ საქართველო უკრაინის წინააღმდეგ ომში რუსეთის მოკავშირეა და მიგაჩნიათ თუ არა, რომ ქვეყანას, რომელმაც რუსეთის აგრესიის გამო ლტოლვილად ქცეული უამრავი უკრაინელი შეიფარა, **„რუსული რეჟიმი“** მართავს?

ეს არის 3 მთავარი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გასცეს ომის კვალდაკვალ საქართველოში ჩამოსახლებულმა უკრაინის ყველა მოქალაქემ!

ქართველი ხალხი უფლებამოსილია, იცოდეს, **ვის მასპინძლობს, ვის პატრონობს და ვის ატარებს ხელისგულზე — უკრაინის მოქალაქეს, რომელიც საქართველოსადმი უკრაინის ხელისუფლების შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას იზიარებს თუ უკრაინის მოქალაქეს, რომელიც უკრაინის ხელისუფლების მიერ საქართველოს შეურაცხყოფას გმობს და ემიჯნება?**

ამის გარკვევის შემდეგ ქართველები თავად გადაწყვეტენ, როგორ უნდა მოექცნენ უკრაინის მოქალაქეთა ორივე კატეგორიას — იმასაც, ვინც საქართველოსადმი უკრაინის ხელისუფლების შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას იზიარებს და იმასაც, ვინც უკრაინის ხელისუფლების მიერ საქართველოს შეურაცხყოფას გმობს და ემიჯნება!

**ქართული მორალის, ქართული ღირსებისა და ქართული სტუმარმასპინძლობის ფარგლებში, ქართველებს საქციელი არც ერთთან შეეშლებათ და არც — მეორესთან!**

*ჯაბა ხუბუა*

# 3 მთავარი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გასცეს ომის ფონზე საქართველოში მცხოვრებმა უკრაინის ყველა მოქალაქემ!

# „2014 წლის მერე უკრაინის ხელისუფლების ყველა თაობა საქართველოს და ქართველი ხალხის მტერია!“



უკრაინის ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტები – პეტრო პოროშენკო და ვოლოდიმირ ზელენსკი



ოლეგ იაძე:

# ხელისუფლებამ უკრაინის ელჩს სასწრაფოდ უნდა ამოუსვას ნიშადური და საქართველოდან გააპანჩუროს!

***— იმის მიუხედავად, რომ უკრაინისათვის მიწოდებული ჰუმანიტარული ტვირთის რაოდენობით ჩვენს ქვეყანას მოწინავე ადგილი უკავია და საქართველომ ათასობით დევნილი შეიფარა, უკრაინის უმადური, ფაშისტური რეჟიმი მაინც დაგვემტერა. ჯერ იყო და, თავიანთი ელჩი გაიწვიეს, ახლა კი ჩვენიც გამოაბუნძულეს. ესეც არ გვაკმარეს და, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება ომით დაგვემუქრა. დაუშვებელია, ყოველივე ამის შემდეგ უკრაინა კვლავ პარტნიორ და მეგობარ ქვეყნად მივვაჩნდეს! — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, სამბოში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ოლეგ იაძემ:***

— დღითი დღე ვრწმუნდები, რომ **„ბოროტების იმპერია“ უკვე დიდი ხნის წინ დაშლილი „საბჭოთა კავშირი“ კი არა, ამერიკა და ევროკავშირი ყოფილა!**

ფაქტია, ყოველგვარი თავისუფლება წაგვართვეს და თან სასაცილოდ აგვიგდეს! ჯერ ქართველებს მოახვიეს თავს შლეგი და დამთხვეული, რომელიც „დემოკრატიის შუქურად“ მონათლეს, თუმცა, სისხლის კალო ალეწვინეს; ახლა 50-მილიონიან უკრაინას მოახვიეს თავს პროფესიით კლოუნი, რომელსაც რუსეთთან ომი დააწყებინეს. ახლა რომ თავი გამოიდო სააკაშვილის საქომაგოდ, გაიხსენეთ, როგორ ახარხარებდა ეს მასხარა ზელენსკი რუს მაყურებელს 2008 წლის აგვისტოს ომის ტრაგედიაზე, როგორ ათანაბრებდა ქართველ ხალხთან სააკაშვილის სიმხდალეს. ამჯერად იგი დასავლელი პატრონების კარნახით, „ვივამედში“ წამოგორებული სისხლიანი ჯალათის უკრაინისთვის გადაცემას მოითხოვს, რაც ქართველი ხალხისა და საქართველოს ხელისუფლების მწვავე შეურაცხყოფაა.

**— ამ მოვლენის მერე უკრაინა ისევ საქართველოს მეგობარ და პარტნიორ ქვეყნად მიგაჩნიათ?**

— უკრაინელი ხალხი რჩება ქართველების მეგობრად, მაგრამ პირდაპირ გეუბნებით — **2014 წლის მერე უკრაინის ხელისუფლების ყველა თაობა საქართველოს და ქართველი ხალხის მტერია!** სწორედ უკრაინის ხელისუფლებამ შეიფარა და სააკაშვილის ჩათვლით მაღალ თანამდებობებზე დაასაქმა სისხლიანი ჯალათები, რომლებმაც სააკაშვილის რეჟიმის დროს უამრავი ადამიანი გააუბედურეს.



საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ანდრეი კასიანოვი

## პერიოდულად, უკრაინის ხელისუფლება გვიგზავნის საგანგებოდ დატრენინგებულ ზონდერებს, „მაიდნის“ მოვლენების თბილისში გამეორებისა და საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების გადატრიალების მიზნით.

„მეგობარმა და პარტნიორმა“ უკრაინამ გადააგზავნა საქართველოში დასასანქცირებელი პიროვნებებისა და კომპანიების სია, რომლის სათავეშიც წერია **ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი.** მათი პოზიციაა — თუ არ გადაცემთ სააკაშვილს, საქართველოს არ უნდა მიეცეს კანდიდატის სტატუსი. რა გამოდის? — უკრაინის გადასაწყვეტია ჩემი ქვეყნის ბედი? არც ის დამვიწყებია, **არესტოვიჩი და არახამია** როგორ გვემუქრებოდნენ, რომ მილიონამდე უკრაინელი მეომარი საქართველოში შემოიჭრებოდა და ხელისუფლებას შეცვლიდა!

**— ახლახან უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ უცერემონიოდ გვითხრა — ჯერ რუსს დავამარცხებ, მერე ქართველებს მოგადგებითო.**

— ხელისუფლებისთვის უფრო დიდი შეურაცხყოფა არ არსებობს, ვიდრე კულებამ და ზელენსკიმ საქართველოს მიაყენეს, მაგრამ სინამდვილეში მათი პირით დასავლეთი გველაპარაკება! **„თუ საქართველოს ხელისუფლება სააკაშვილს საშინაო პოლიტიკისთვის საფრთხედ მიიჩნევს, მისცენ უფლება, დატოვოს საქართველო, დაე, მშვიდად იცხოვროს უკრაინაში ან მსოფლიოს სხვა ქვეყანაში, თქვენ კი განაგრძეთ რუსეთთან დაახლოება!“** — უტიფრად მოგვახალა უკრაი-

## კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



**„პრიგოჟინიადა“** იყო რეალური **ჯანყი სპექტაკლის ელემენტებით,** კინო ჯერ კიდევ წინ არის!

„კვირის პალიტრა“

**სვიმონ მასხარაშვილი**
*ისტორიკოსი*



**პრიგოჟინ-ვაგნერის** ლაშქრობას სამართლებრივად **დეზერტირთა ამბოხება და ომის დროს სახელმწიფო გადატრიალების ცდა ჰქვია,** რაც უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაულია. რით აღუდგა ამ დანაშაულს უმაღლესი მთავარსარდალი **პუტინი?** — სასამართლოს გარეშე შეიწყალა და **პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა მეამბოხე დეზერტირები.** აქედან დასკვნა: **პუტინს ან სხვა გზა არ ჰქონდა, ან მიზანმიმართულად ანგრევს თავის სახელმწიფოს,** რადგან ომის დროს დეზერტირობისა და ამბოხების მიტევება მწვანე შუქის ანთებაა კრიმინალთათვის.

„კვირის პალიტრა“

**დავით კუხალაშვილი**
*ექსპერტი*



ჯერ კიდევ **შევარდნაძის** მმართველობის დროს სწორედ **უცხოელები იყვნენ ნარკოტიკების ქსელის ყველაზე დიდი რეალიზატორები.** აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს ნაკადები, რომლებიც ქვეყანაში შემოდის. ესენი შეიძლება იყვნენ **ტურისტებად შემოსული პირები ან უცხოელი სტუდენტები,** რომლებიც აქაურ სასწავლებლებში სწავლობენ. ქვეყანაში **ნარკოტიკების მოხმარების მაღალი დონეა,** იმდენად მაღალი, **არ არის გამორიცხული ჩვენთანაც მზადდებოდეს.**

„კვირის პალიტრა“

**თენგიზ ფხალაძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი*



თუ **რადიკალიზაცია გადავიდა ქუჩაში,** მისი მართვა შეუძლებელი იქნება. შეიძლება მივიღოთ **იმ ტიპის სამოქალაქო დაპირისპირება,** რაც სახელმწიფოს დაგვინგრევს.

„კვირის პალიტრა“

ნის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

**— რა პასუხი შეიძლება გაეცეს ასეთ შეურაცხყოფას?**

— ანალოგიური! ხელისუფლებამ უკრაინის ელჩს სასწრაფოდ უნდა ამოუსვას ნიშადური და საქართველოდან გააპანჩუროს! სად იყვნენ კულება და ზელენსკი, როცა უკრაინის მოქალაქე სააკაშვილი საქართველოში რევოლუციის მოსაწყობად არაჟნის ქილებით შემოიპარა?! ნუთუ მართლა ეგონათ, რომ სააკაშვილს ხალხი ხელში აიტაცებდა?

**ხელისუფლებას მივმართავ – მოაცილეთ ჩვენ მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნის ლურჯ-ყვითელი დროშები! დახმარება შეუწყვიტეთ და უკრაინაში გააბრუნეთ სამშობლოდან ომს გამოქცეული საღ-სალამათი ვაჟკაცები, რომლებიც საქართველოს ბიუჯეტს ტვირთად აწვებიან!**

# «ზელენსკის რომ ვუცქერ, ასე მგონია, ფაშისტი სტეპან ბანდერა იარაღს მიმიზნებს!»





სტეპან ბანდერა



ალექსანდრე ჯაფარიძე

**„ფაშიზმი უნდა განადგურდეს... ვენაცვალე ბოგდან სტაშინსკის მარჯვენას, რომელმაც ბანდერა გააგორა! ზელენსკისაც, ალბათ, რომელიმე თანამედროვე „სტაშინსკი“ გამოუყვანს წირვას!“**

სხვათაშორის, უკრაინელი დეზერტირების **სწორედ ეს კასტა** უვსებს ნაცებს გამეჩხერებულ რიგებს იმ სასაცილო მიტინგებზე, რასაც სააკაშვილის გათავისუფლების თუ სხვა მოთხოვნებით აწყობენ! **სწორედ ეს კასტა** მოითხოვს, საქართველომ რუსეთს მეორე ფრონტი გაუხსნას, ქართველი ახალგაზრდები რუსებს შეაკვდნენ... საკუთარ სამშობლოში ომს გამოექცნენ ეს კუნთმაგარი ვაჟები და ჩვენ გვამუნათებენ — იომეთ და გაწყდითო! რომ არა ჩვენი ხელისუფლების და პირადად პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ საკითხის სწორად შეფასება, ვინ იცის, აქამდე თბილისი უკვე ემგვანებოდა მიწასთან გასწორებულ ბახმუტს და ბუჩას!

გავხსნათ ფრჩხილები — მსოფლიოში ხდება ფაშიზმის რეანიმაცია! ფაშიზმის წინააღმდეგ 700 ათასმა ქართველმა, ჩვენმა ღირსეულმა პაპებმა იომეს, აქედან ნახევარი შეეწირა კაცობრიობის ამ ულმობელი სენის დამარცხებას და ახლა ისტორია მეორდება — ფაშისტების შთამომავლები რევანშს ცდილობენ. ზელენსკის რომ ვუცქერ ეკრანზე, ასე მგონია, ფაშისტი სტეპან ბანდერა იარაღს მიმიზნებს. როლში შესული სოციოპათი კახოვკის კაშხლის მერე უკვე ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის აფეთქების ვარიანტს განიხილავს ჩაფლავებული „უკრაინული კონტრშეტევის“ საკომპენსაციოდ, რაც მთელ მსოფლიოს გამოუსწორებელ პრობლემებს დაატეხს თავს, ხოლო რადიაციული დაბინძურების არე ევროპის მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად საქართველოსაც მოიცავს!

ფაშიზმი უნდა განადგურდეს... **ვენაცვალე ბოგდან სტაშინსკის მარჯვენას,** რომელმაც ბანდერა გააგორა! ზელენსკისაც, ალბათ, რომელიმე თანამედროვე „სტაშინსკი“ გამოუყვანს წირვას!

**— თქვენი პროგნოზით, ომი რა შედეგით დასრულდება?**

**– რუსეთი უკრაინიდან არ გამოვა, ვიდრე ხარკოვს და ოდესას ოფიციალურად არ გაიფორმებს. თუ დასავლეთი არ მოისვენებს, შეიძლება კიევზეც გაიწიოს და უფრო მეტიც – ომის ქარცეცხლმა ევროპის შუაგულში გადაინაცვლოს.**



**„რომ არა ჩვენი ხელისუფლების და პირადად პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ საკითხის სწორად შეფასება, ვინ იცის, აქამდე თბილისი უკვე ემგვანებოდა მიწასთან გასწორებულ ბახმუტს და ბუჩას!“**

ხომ ხედავთ, როგორი გაჭირვებაა გერმანიაში; საფრანგეთში უკვე ტყვიაც გავარდა! **საქმეს იმითი პირი უჩანს, პუტინი ევროპელ ლიდერებს ჭკუაზე მოიყვანს, ამერიკელებს კი ევროპიდან ფეხს ამოაკვეთინებს! ამ ომის შემდეგ მსოფლიო ისე შეიცვლება, ვეღარ იცნობთ.** იმედი ვიქონიოთ, საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი განსაცდელი გვერდს აუვლის!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

## კვირგვინოსნები



**ნიკა გვარამია**
*„მთავარი არხის“ დამფუძნებელი*

საქართველოს ელჩი უკრაინაში **უკან არ დაიშვება,** ვიდრე უკრაინას არ დაუბრუნებენ მის მოქალაქეს **მიხეილ სააკაშვილს!**

„აიპრესი“



**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*

**სააკაშვილს** უნდა მიეცეს შესაძლებლობა, **ხალხს შეხვდეს, თუ საჭიროა, საარჩევნო კამპანიაშიც ჩაერთოს.**

„აიპრესი“



**ვახტანგ მაისაია**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში*

**პრიგოჟინის** ამბოხი **დადგმული სპექტაკლი არ იყო,** რეალური დაპირისპირების კონკრეტული კონტურები იკვეთებოდა.

„ახალი თაობა“



**დავით არახამია**
*უკრაინის რადას ფრაქცია „ხალხის მსახურის“ ლიდერი*

ვიცით, რომ **აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიებია** და ესეც მოსაგვარებელია, ეს უნდა გააკეთოს **ახალმა ხელისუფლებამ საქართველოში.**

„მთავარი არხი“



**ბექა ლილუაშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი, პარლამენტარი*

**სააკაშვილის** როლი პოლიტიკაში არის **პოლარიზაციის გამაღრმავებელი** — ქვეყანაში **„ნაც-ქოცური“** კარუსელი უნდა დასრულდეს.

„პალიტრანიუსი“



**გიორგი კახიანი**
*პარლამენტარი*

მაშინ, როცა **სტრასბურგის სასამართლოც ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილის უფლებები არ ირღვევა,** კიდევ უფრო უცნაურად ჩანს უკრაინის პრეზიდენტის გადაწყვეტილება.

„პირველი არხი“

# «სააკაშვილისნაირები მიწას

***„რუსეთი საქართველოს ხელისუფლების ხელით კლავს უკრაინის მოქალაქე მიხაილო სააკაშვილს, მას საქართველოში ყოველდღიურად აწამებენ!“ — ურცხვად განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა და საქართველოს ელჩი თავისი ქვეყნიდან უცერემონიოდ გამოაძევა! შეიძლება თუ არა, წამებად შეფასდეს სააკაშვილის მდგომარეობა? — ამ თემაზე სასაუბროდ ნაციონალური რეჟიმის ყოფილ უკანონო პატიმარს დავით გაიხარაშვილს დავუკავშირდით, რომელიც საკაშისტებისაგან მიყენებულ ტრავმებს დღემდე გერმანიაში იშუშებს:***

— იმ დაწესებულებაში გატარებული დრო, სადაც ამჟამად სააკაშვილი იმყოფება, თუ შეიძლება პატიმრობად შეფასდეს, მაშინ ისმის ობიექტური კითხვა — საერთოდ, რა არის ციხე და რას ნიშნავს პატიმრობა? პირადად მე თითოეულ ტუსაღს ვუსურვებდი, ანალოგიურ „ტანჯვაში“ გაეტარებინოთ პატიმრობა. ხომ წარმოგიდგენიათ, დესპოტური რეჟიმის შემქმნელი ევრორემონტიან, ოროთახიან აპარტამენტში იხდის სასჯელს, აქვს ტელევიზორი, მაცივარი, კომუნიკაციის საშუალებები, ყოველდღიურად ხვდება ათობით ვიზიტორს... ამასწინათ ახლახან შეწყალებით გათავისუფლებულ თაღლითს **ნიკა გვარამიასაც** კი შეახვედრეს! რაც მთავარია, შეზღუდვის გარეშე აქვს ინტიმური ურთიერთობები და „წამების“ პერიოდში ცილისმწამებლურ განცხადებებთან ერთად, შვილებსაც აკეთებს!

**— ერთადერთი, რაც მას აკლია, ეს არის თავისუფალი გადაადგილების უფლება...**

— მხოლოდ ამ შეზღუდვის გამო ჰქვია მას პატიმარი და სასტუმროში გატარებული დრო რატომღაც პატიმრობაში ეთვლება! **არადა, პატიმარი უნდა იყოს ციხეში, რეჟიმის ქვეშ და იმავე პირობებში, როგორშიც იმყოფებიან სხვა მსჯავრდებულები!**

**— მოდით, გაიხსენეთ, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს თქვენ რა პირობებში იხდიდით სასჯელს?**

— ქალებს და სასმელს, მაცივარს და ტელეფონს ვინ დაეძებდა... რამდენიმე დღის განმავლობაში სასმელ წყალს გვიკეტავდნენ! რკინის ნარებზე მორიგეობით გვეძინა, ხშირ შემთხვევაში ლეიბსაც არ გვაძლევდნენ! ზამთარში სიცივით ვიყინებოდით, ზაფხულში სიცხე და უჰაერობა გვახრჩობდა. ვინც დაჩივლებას გაბედავდა, ძვლებში ლეწავდნენ...

**უკრაინის პრეზიდენტს ვოლოდიმირ ზელენსკის მოვუწოდებ, კეთილი ინებოს და ჩამოეთრიოს ჩემთან, გერმანიის ქალაქ ეუსკირხენში, მარტო ერთხელ შემომხედოს და ესეც საკმარისი იქნება...** მაგრამ, თუ მაინც ეჭვი შეეპარება, დაწვრილებით მოვუყვები, რას ნიშნავს ადამიანის წამება და რა დღეში იყვნენ, ფაქტობრივად, უდანაშაულო ადამიანები იმ ნაძირალა მძორის პრეზიდენტობის დროს, რომელსაც ახლა უნამუსოდ ექომაგება!

ციხეში ტუსაღი 24 საათის განმავლობაში წუთით ვერ მოისვენებდა, გამუდმებით ისმოდა ნაწამები ადამიანების ოხვრაგოდება ან იმ პატიმრების სასოწარკვეთილი ყვირილი, რომლებსაც მოცემულ მომენტში დენზე აერთებდნენ ან ძვლებში ლეწავდნენ!

პატიმრები საცემრად მარტო იმიტომ გაჰყავდათ, რომ ბადრაგი ხველის ან ლოცვის ხმამ შეაწუხა ან საწოლის თავთან გაკრული ხატი აღმოუჩინა! **ისეც მომხდარა, 5 წუთით ჩაძინებულ პატიმარს ძილში წამოუყვირია და ამის გამო შემოვარდნილ ბადრაგებს საკანში მყოფი ყველა პატიმარი წიხლებქვეშ გაუგდიათ!** ცემაში გალაწუნებას არ ვგულისხმობ! გონების დაკარგვამდე ურტყამდნენ, ვიდრე მსხვერპლი სისხლს არ ამოანთხევდა და ამის მერეც აგრძელებდნენ გონდაკარგულ ტუსაღზე გადავლას. არავინ უწყის, რამდენი ადამიანი შემოაკვდათ, არც იმის სტატისტიკა არსებობს, რამდენ პატიმარს განუვითარდა ცემის გამო სათესლე ჯირკვლების კიბო და თვეების მერე დაიღუპა!

ცემაში თუ პატიმარი შემოაკვდებოდათ, გგონიათ, დიდხანს დარდობდნენ? სამედიცინო ნაწილში გააფორმებდნენ, თითქოს გულის უკმარისობით დაიღუპა, მერე ჭირისუფალს ორგანოებამოცლილ ცხედარს მიუგდებდნენ, რომ ექსპერტიზა ვერ ჩაეტარებინა და სიკვდილის ნამდვილი მიზეზები ვერ დაედგინა!

**ჩვენ შევეჩვიეთ, რომ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში მხოლოდ დალუპული პატიმრები ვითვალოთ...** მაგრამ სადმე არსებობს სტატისტიკა, რამდენმა პატიმარმა ვერ გაუძლო არაადამიანურ მოპყრობას და ჭკუიდან გადავიდა? ბევრმა მარტო იმის გამო დაასრულა თვითმკვლელობით სიცოცხლე, რომ გააუპატიურეს! ურცხვად რომ ამტკიცებენ, წამების შედეგად წონაში დაიკლოო, **მუცელქორობის გამო კუჭს თუ დაიპატარავებს, ყველა ადამიანი გახდება და წამება რა შუაშია!** ეს არის წამების ილუზიის შექმნა, საზოგადოების შეცდომაში შეყვანა!

## ია მეტრეველის და ოჯახ-ამოწყვეტილი გირგვლიანების ცოდვა მოიკითხოს!

**— წამების მდგომარეობაში მყოფი ადამიანი შეიძლება, ბავშვებს აკეთებდეს?**

— პატიმართან მოკლევადიან პაემანზე მისასვლელად ოჯახის წევრს ათასი დამცირება უნდა გადაეტანა, შეხვედრა კი შუშის ტიხარს მიღმა ხდებოდა... თუ აწამებენ, შვილი როდისღა გააკეთა? ან რატომ აქვს უფლება პატიმარს, დღეში ათობით მნახველს უმასპინძლოს? ჩვენ ფანჯრიდან ხელის გაყოფას და დაყვირებას კი არა, ჩურჩულსაც არავინ გვაპატიებდა! ჰაერი თუ სამყოფად შემოდიოდა — ეგ გვიხაროდა!

**— შეახსენეთ ქართველ საზოგადოებას — ციხეში როგორ აღმოჩნდით და რის შედეგად დაინვალიდდით?**

— იყო დრო, ბედნიერი ადამიანი ვიყავი. ოჯახის წევრები ერთმანეთს შევხაროდით. მერე 2 ძმა მიყოლებით მომიკლეს და საქმე თაროზე შემოდეს. მკვლელების ვინაობა დამოუკიდებლად დავადგინე და ნაცების ხელისუფლებასთან მჭიდრო ალიანსში მყოფმა მათმა მფარველებმა მეც დამიჭირეს აბსურდული, არარეალური ბრალდებით. ჯანმრთელობა სამუდამოდ ციხის ბუნტად ცნობილი მოვლენების დროს დავკარგე. სიმწრით მახსენდება, როგორ შემოყო საკანში ავტომატი სპეცრაზმელმა და ცეცხლი გახსნა. ჩემ მახლობლად მყოფი ცოცხალმკვდარი ახალგაზრდა კაცი **ბერდია ფიცხელაური** ხელში ავიყვანე და სპეცრაზმელებით სავსე კორიდორით ციხის ეზოში მდგარ სასწრაფო დახმარების მანქანასთან მივედი. გზად ავტომატის კონდახებით და ხელკეტებით მცემდნენ, მერე გრძნობა დავკარგე, ხოლო ცემის შედეგად ბარძაყის, მუხლისა და მენჯის ძვლები დამემსხვრა. კისრის ფუძე ორ ადგილზე დამიზიანდა. ხელებზე მყესები დამიწყვიტეს... დედაჩემმა **ქეთევან ბიგაურმა,** რომელსაც უკანასკნელი, მესამე შვილიც უკვდებოდა — ყველაფერი გაყიდა, რათა გადავერჩინე. ციხიდან იმიტომ გამათავისუფლეს, ეგონათ, ცოცხალი ვერ გადავრჩებოდი. მე და



## დავით გაიხარაშვილი:

# სააკაშვილს თუ სადმე გადავეყრები, ყველა საშუალებით ვეცდები, ჩავაძაღლო!

## მის ყველა ქომაგსაც იმავეს დავმართებ!

**ზელენსკიმ, აბა, ერთი, ძმამოკლული ლია კრიალაშვილის ტკივილი გაიაზროს! შვილმოკლული ჯამბულ გამცემლიძის,**

# «აი, რატომ მძულს ნაცებთან

### კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



ხომ გახსოვთ, ნაციონალებმა **სააკაშვილის საქმეზე სტრასბურგში საჩივრის გაგზავნა რომ გააჭიანურეს?** იცოდნენ, რა შედეგსაც მიიღებდნენ და იმიტომ. **კაცს ორმოცზე მეტი დაავადება ჭირდა და როგორც კი სტრასბურგის გადაწყვეტილება მოვიდა, უკრაინის გადასარჩენად გაიწია.** როგორ შეიძლება ეს „ქართულმა ოცნებამ“ არ წამოაძახოს?! ყოველთვის წამოაძახებს, იმიტომ, რომ ასე გაიხადეს საქმე!

„კვირის პალიტრა“

**ვასილ მაღლაფერიძე**
*საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე*



შეუძლებელია, უკრაინაში არ გაეთვალათ, რომ **ზელენსკის** ამ ულტიმატუმმა **დაასრულა ყოველგვარი მითქმა-მოთქმა სააკაშვილის კანონის გვერდის ავლით გათავისუფლებაზე ან შეწყალებაზე.**

„ტვიტერი“

**ირაკლი ლეჟავა**
*ანალიტიკოსი*



ჩვენი ხელისუფლების **ზედმეტად დემოკრატიულობის ბრალია,** ამდენს რომ გვიბედავენ. **გადაათრიონ სააკაშვილი იქ, სადაც ყველა პატიმარია** და ასევე ყველა იმ ექიმს, რომლებიც ლამის ორი წლის განმავლობაში ქვეყანას აჯანჯღარებდნენ და **ყალბ სამედიცინო დასკვნებს აქვეყნებდნენ, ჩამოერთვათ ლიცენზია და მიეცნენ პასუხისგებაში.**

„რეზონანსი“

**ალეკო ელისაშვილი**
*პარტია „მოქალაქეების“ ლიდერი*



**ზელენსკის** გადაწყვეტილებაზე ძალიან გავბრაზდი. ჩემთვის ძალიან მიუღებელი გადაწყვეტილებაა. **ქვეყნიდან ელჩის გამოგდება რას ნიშნავს?** როგორც ჩანს, **არახამიაა** მისი ერთადერთი მრჩეველი საქართველოსთან მიმართებაში.

„ახალი თაობა“

# არ უნდა ამძიმებდნენ!»

დედაჩემი დავრჩით ღია ცის ქვეშ, უპოვრები, 6 კვადრატულ მეტრ ჯურღმულში ვცხოვრობდით და თვიდან თვემდე ბინის ქირას კეთილი ადამიანები გვიკოწიწებდნენ.

**— ზელენსკიმ სააკაშვილზე თქვა — ოსვენციმის ტყვესავით გამოიყურებაო...**

— ოსვენციმი მაგას არ უნახავს... ახლა გამოგონილი დაავადებების გამო საავადმყოფოში რომ წამოპლაკულა, იცით, რომ მისი რეჟიმის პირობებში საავადმყოფოში მოსახვედრად პატიმრები კოვზებს ყლაპავდნენ და თავს „იშტირავდნენ?!“ სხვაგვარად გარდაუვალი სიკვდილი ელოდათ!

**ზელენსკი, შე ნაძირალა! სააკაშვილს ხომ არ დასჭირვებია კოვზის გადაყლაპვა საავადმყოფოში მოსახვედრად?! აქვე ხელისუფლებამ აგვიხსნას — რატომ არის კლინიკაში სააკაშვილი და არ არიან იქ თუნდაც მის ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი სხვა პატიმრები?!** ციხეში სააკაშვილს სხვა პატიმრები დახვდებიან და შეახსენებენ, რაც აქვს დაშავებული!

**— გერმანიაში როგორ აღმოჩნდი?**

— ხელისუფლებაში უკვე „ქართული ოცნება“ იყო, სხვათაშორის, ნაცების მთავარ ჯალათებს — **ბაჩო ახალაიას და მეგის ქარდავას** ჩემს ჩვენებაზე დაყრდნობით გამოუტანეს განაჩენი. თავის დროზე დედაჩემმა თავი გადადო ციხეში მყოფი შვილის დასაცავად, პატიმრების დედების მოძრაობას ჩაუდგა სათავეში. თავგანწირული მოქალაქეების მშვიდობიანი ბრძოლის შედეგად რეჟიმი დამარცხდა და ახალი ხელისუფლება მოვიდა, მაგრამ კოჰაბიტაცია გაჩაღდა და **ხელისუფლებასთან დაახლოებული ნაცები დედაჩემს და მე სიკვდილით გვემუქრებოდნენ.** ისედაც არანაირი საარსებო რესურსი არ გვქონდა, როცა ხელისუფლებას ვთხოვე — მიმკურნალეთ-მეთქი, ერთმა არამზადამ ასე მიპასუხა — **შენს მკურნალობას ბიუჯეტი არ ეყოფაო.** მოკლედ, სახელმწიფოს მიერ რეპრესირებული და ჯანმრთელობაგანადგურებული უგულოდ გამწირეს სასიკვდილოდ! ბედად, კეთილი ადამიანები დამეხმარნენ — **ცოტნე გამსახურდიამ** თვითმფრინავის ბილეთების ფული ფეისბუქით შემიგროვა, ცოტა ნათესავებმაც შემიკოწიწეს. მე და დედაჩემი გერმანიაში გავემგზავრეთ.

**გერმანიამ მე მომცა ყველაფერი — თავშესაფარი, დახმარება, მკურნალობა, რაც, წესით და კანონით, ჩემს სახელმწიფოს უნდა მოეცა! ცოცხალი რომ ვარ, გერმანიას ვუმადლი. უფასოდ მომცეს ძვირადღირებული წამლები და, რაც მთავარია, წამების მსხვერპლად მაღიარეს!** არსებობს უტყუარი სამედიცინო დასკვნები, სადაც დაზუსტებით არის დაფიქსირებული, რომ უმძიმესი დაზიანებები მიღებული მაქვს დაუნდობელი წამების შედეგად! **მე და დედაჩემი საქართველოდან სიკვდილს გავექეცით, საკუთარი ნებით არ წავსულვართ!**

საქართველოს სახელმწიფომ წაგვართვა თავისუფლება, საცხოვრებელი, ჯანმრთელობა, სამართალი და სანაცვლოდ არაფერიც არ დაგვიბრუნა!

**წერილს წერილზე ვუგზავნიდით „ქართული ოცნების“ ჩინოვნიკებს, სადმე პატარა ფართი მოეცათ ჩვენთვის, რათა სამშობლოში დასაბრუნებლად თავზე ჭერი გვქონოდა, მაგრამ გულთან არავინ ახლოს არ მიიტანა.**

დედაჩემს ისე ამოხდა სული, შვილების საფლავებზე სანთლის დანთებას ვერ ეღირსა! აი, რატომ მძულს ნაცებთან ერთად „ქართული ოცნებაც!“

**— არანაირი კომპენსაცია არ მოგცეს?**

— გერმანიის სამედიცინო დასკვნა არ გაითვალისწინა და ქართულმა სასამართლომ მხოლოდ 10 ათასი ლარის ოდენობის კომპენსაცია დამიდგინა. ეს მწარე დაცინვაა, რადგან 2 თვის განმავლობაშიც ვერ დაფარავს იმ წამლების ღირებულებას, რასაც გერმანია მაძლევს! **საქართველოს სახელმწიფოს მიერ წართმეულ ჯანმრთელობას ბოლომდე ვერასოდეს აღვიდგენ, მაგრამ იმისთვის, რომ ვიცოცხლო, მილიონნახევარი ევროს ღირებულების ოპერაცია მესაჭიროება,** რის მოძიებაზეც ამჟამად გერმანია ზრუნავს, საქართველოს სახელმწიფო კი ყურს იყრუებს! სამაგიეროდ, ბიუჯეტიდან უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ თაღლით სააკაშვილზე, რაც მას საერთოდ არ სჭირდება!

**— სააკაშვილს სადმე რომ გადააწყდეთ, რას მოიმოქმედებთ?**

— **ყველა საშუალებით ვეცდები, რომ ჩავაძაღლო, იმის გამო, რაც ჩემს ოჯახს დამართა.** სააკაშვილისნაირები მიწას არ უნდა ამძიმებდნენ! ბედის ირონიას ხედავთ? სააკაშვილი ამ მომენტშიც კი ჩემზე ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია, გინდ — ჯანმრთელობით, გინდ — საცხოვრებელი პირობებით, მაგრამ ნაძირალა ზელენსკი „წამებულად“ აცხადებს! **სააკაშვილმა და დღევანდელმა ხელისუფლებამაც მე ბევრჯერ მომკლეს... მომკლეს, როცა ძმები დამიხოცეს! მომკლეს, როცა უსამართლოდ დამაპატიმრეს, რადგან ძმების მკვლელების ვინაობა დავადგინე!**

**მომკლეს, როცა** ციხეში დაუნდობლად მაწამეს! **მომკლეს, როცა** უმწეო მდგომარეობაში მყოფს სამშობლოს დატოვება მაიძულეს! **მომკლეს, როცა** უცხოეთში გადახვეწა არ მაკმარეს და საქართველოში ერთადერთი შვილი დამიპატიმრეს! **მომკლეს, როცა** მომაკვდავი დედის უკანასკნელი სურვილის დაკმაყოფილებისთვის ჩემს მოწიწებულ თხოვნას წაუყრუეს...

**მომკლეს, როცა** უცხოეთში ჩამტოვეს და თითს თითზე არ აკარებენ ჩემს დასაბრუნებლად, ჩემ მიმართ სამართლიანობის აღსადგენად! **ახლაც მკლავენ, როცა** სააკაშვილზე ხელისუფლება ზრუნავს, ზელენსკი კი საუბრობს, როგორც წამებულზე. რა გამოდის? —

**საქართველოს სახელმწიფო ამ მძორს თვალისჩინივით უფრთხილდება, რეალურად წამებულებს კი არ გვამჩნევენ!**

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**



**„ბედის ირონიას ხედავთ? სააკაშვილი ამ მომენტშიც კი ჩემზე ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია, გინდ - ჯანმრთელობით, გინდ - საცხოვრებელი პირობებით, მაგრამ ნაძირალა ზელენსკი „წამებულად“ აცხადებს!“**

**„ზელენსკი, შე ნაძირალა! სააკაშვილს ხომ არ დასჭირვებია კოვზის გადაყლაპვა საავადმყოფოში მოსახვედრად?! აქვე ხელისუფლებამ აგვიხსნას — რატომ არის კლინიკაში სააკაშვილი და არ არიან იქ თუნდაც მის ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი სხვა პატიმრები?!“**

# ერთად «ქართული ოცნებაც»!

## კვირგვინოსნები

### ანდრია გვიდიანი
*ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში*



ბატონ **ზელენსკის** არ გააჩნია დიდი პოლიტიკური გამოცდილება **— ასეთი ტონით საუბარი არის თავხედობა!** თავად კეთილი ინებონ უკრაინის მაღალჩინოსნებმა და აქეთ გადმოგვცენ **საერთაშორისო ძებნილები — კოლექტიური მასტერები, ქილერები, ადეიშვილები** და სხვა დამნაშავეები. რაც შეეხება სააკაშვილს, ის არის **თანამედროვე საქართველოს ისტორიის ყველაზე დიდი დამნაშავე.**

„აიპრესი“

### თამაზ გაიაშვილი
*ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ დამფუძნებელი*



**უკრაინის მიერ სანქცირებულთა სიაში ჩემი ან ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ შეყვანა აბსურდი და უსამართლობაა.** რუსეთში ფრენებს ახორციელებენ **თურქეთის, არაბული სახელმწიფოების, ისრაელის, სომხეთის, აზერბაიჯანის, მთელი აზიისა და შუა აზიის** ავიაკომპანიებიც, რომლებიც ასობით რეისს ასრულებენ, მაგრამ მათ სანქციების დაწესებას ვერ კადრებენ.

„ახალი თაობა“

### პეტრე მამრაძე
*ყოფილი პარლამენტარი*



გაიხსენეთ სააკაშვილის ცნობილი მოწოდება **ნიკა გვარამიას** მიმართ, **„უნდა მოკვდეს ქალი“**, შემდეგ პაუზაა და სააკაშვილი აგრძელებს, **„სასურველია, ორსული იყოს“.** ეს ქართველ ქალს ეხებოდა, ზოგადად, ვიღაც ქართველ ქალს, მოძებნეთ, მოკალით და აჩვენეთ ტელევიზიით, რომ მთავრობამ მოკლაო. ახლა რომ გაილახნენ **მიშა მშვილდაძე, ლევან ბერძენიშვილი** და სხვები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, **მე ამაში პირდაპირ დავინახე მერაბიშვილის ხელწერა.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

### ფრიდონ ინჯია
*„ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარე, პარლამენტარი*



ბოლო პერიოდში იცემა **მშვილდაძე, ბერძენიშვილი, ჯაფარიძე, ქუთელია** და ამ სიას პარლამენტის წევრები შეიძლება შეემატონ. თუ იქნება ასეთი კანონი, რომელიც **შეურაცხყოფას და ცილისწამებას აკრძალავს,** თუნდაც უწმინდესის მიმართ, შეიძლება ეს სია შემცირდეს და საერთოდ არ იყოს.

„საქართველოს რესპუბლიკა“



# „პატარა პრიგოჟინები“ საქართველოს ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდებიან!“



ევგენი პრიგოჟინი

## ლევან ნიკოლეიშვილი: უკრაინელებმაც და ქართველებმაც ერთად უნდა შევსთხოვოთ უფალს, რომ ეს ავაზაკები რაც შეიძლება მალე ჩამოსცილდნენ უკრაინის ხელისუფლებას!

*საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, ისტორიკოსი და ანალიტიკოსი* **ლევან ნიკოლეიშვილი** *უკრაინიდან საქართველოს ელჩის გამოძევებასა და სააკაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით ზელენსკის ხელისუფლების მიერ წამოყენებულ ულტიმატუმს ეხმიანება:*

— უკრაინიდან საქართველოს ელჩის გამოშვება ზელენსკის ხელისუფლების მიერ გადადგმული მორიგი არამეგობრული ნაბიჯია! ადამიანური თვალსაზრისით, ეს არის უმადურობის გამოხატულება, ხოლო პოლიტიკური კუთხით — უვიცობა და ტუტუცობა!

**— უკრაინის ხელისუფლება იმაზე აკეთებს აქცენტს, რომ სააკაშვილი მათი ქვეყნის მოქალაქეა და ვალდებული არიან, განსაცდელში არ მიატოვონ!**

— კი მაგრამ, სად იყო უკრაინის ხელისუფლება, როცა მათი მოქალაქე სააკაშვილი კიევში სახელმწიფო თანამდებობაზე ყოფნისას, საქართველოში რევოლუციით იმუქრებოდა? რატომ არ უზღუდავდა საქართველოს შიდა პოლიტიკურ საქმეებში ასეთ უხეშ და უტიფარ ჩარევას? გარდა ამისა, უკრაინის ხელისუფლების არცერთი წარმომადგენლისაგან დღემდე არ მოგვისმენია არათუ ბოდიში, ცალყბა სინანულიც კი იმის გამო, რომ მათი მოქალაქე ტრაილერში დაიმალა და საქართველოში უკანონოდ შემოიპარა არაჟნებთან ერთად!

**— და მაინც, რატომ დასჭირდა ომის ქარცეცხლში გახვეული უკრაინის ხელისუფლებას სააკაშვილის გათავისუფლების საკითხის ასე კატეგორიულად წამოჭრა?**

— როგორც ჩანს, ზელენსკიმ თავისი პატრონებისაგან მიიღო დავალება, თანაც უკრაინის ხელისუფლებისაგან არარაფერი უნდა გაგვიკვირდეს მას შემდეგ, რაც მათმა თავდაცვის მინისტრმა **რეზნიკოვმა** რამდენიმე დღის წინათ განაცხადა — **უკრაინა შესანიშნავი პოლიგონია იმისათვის, რომ დასავლეთის ქვეყნებმა თავიანთი შეიარაღება გამოსცადონო!**

უკრაინელ ხალხს მთელი გულით თანავუგრძნობ, რომ ასეთ უმძიმეს დროს არაადეკვატური ხელისუფლება ჰყავს! ვფიქრობ, უკრაინელებმაც და ქართველებმაც ერთად უნდა შევსთხოვოთ უფალს, რომ ეს ავაზაკები რაც შეიძლება მალე ჩამოსცილდნენ ხელისუფლებას!

**— ეთანხმებით თუ არა გავრცელებულ მოსაზრებას, რომ უკრაინის ხელისუფლების მიერ სააკაშვილის თემის გააქტიურება ე.წ. მეორე ფრონტისა და საქართველოს ომში ჩათრევის გეგმის ნაწილია?**

— საქართველოს ომში ჩათრევის ერთადერთი გზა ქვეყანაში გადატრიალების მოწყობა და ხელისუფლების დამხობაა, რაც უკრაინის ხელისუფლებასაც და გლობალური ომის პარტიის ბოსებსაც, როგორც ჩანს, სააკაშვილის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ, რადგან კარგად დაინახეს, რომ ნაცებსა და მათ მოკავშირე სხვა რადიკალებს არაფრის თავი არ აღმოაჩნდათ!

**— მუსირებს ვერსია, რომ უკრაინის ხელისუფლებას სააკაშვილის ალაპარაკების ეშინია და ამიტომაც დაფაცურდა ასე ძალიან პატიმრობიდან მის გამოსახსნელად...**

— ამ ვერსიას არსებობის საფუძველი ნამდვილად გააჩნია და პირადად მეც დიდი ეჭვი მაქვს, რომ სააკაშვილი ერთ დღესაც პირს მოაღებს და დაასახელებს იმ ადამიანებს უკრაინის ხელისუფლებიდან, რომლებმაც საქართველოში მისი შემოპარება დაგეგმეს! **არ გამოვრიცხავ, სააკაშვილი ზელენსკისა და მის გარემოცვას სწორედ ამით აშანტაჟებდეს — დროზე დამიხსენით პატიმრობიდან, თორემ ყველაფერს დავფქვავო!**

**— თუნდაც იმ შემთხვევაში, სააკაშვილის გათავისუფლებასაც რომ მიაღწიონ, ე.წ. ნაცოპოზიციას რამდენად აქვს ხელისუფლების დამხობისა და ქვეყნის სათავეში დაბრუნების რესურსი?**

— პროვოკაციების მცდელობები, რა თქმა უნდა ექნებათ! ახლა იმას ელოდებიან, რომ წლის ბოლოს საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს არ მისცემენ და ამაზე აქვთ აწყობილი არეულობისა და რევოლუციის მთელი გეგმა, მაგრამ ქართველი ხალხი, რომელმაც მშვიდობის ფასი ძალიან კარგად იცის, საქართველოში **„პატარა პრიგოჟინების“** რევანშს არასოდეს დაუშვებს!

**— „პატარა პრიგოჟინებში“ ვის გულისხმობთ?**

— ნაცები და მათი მოკავშირე ე.წ. ლიბერალები **„პატარა პრიგოჟინები“** არიან! რომ ჰკითხო, უკრაინას გულშემატკივრობენ, მაგრამ ლექსები და ხოტბა-დიდება მიუძღვნეს პრიგოჟინს, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც მიწასთან გასწორდა უკრაინის რამდენიმე ქალაქი და დაიღუპა ათეულათასობით უკრაინელი. თანაც, ნაცების მიერ პრიგოჟინისათვის ოდების მიძღვნამდე სულ რამდენიმე დღით ადრე საქართველოში ჩამოასვენეს ქართველი მებრძოლი, რომელიც უკრაინაში სწორედ პრიგოჟინის „ვაგნერთან“ შეტაკებისას დაიღუპა! **ახლა ვეკითხები ამ ამორალურ სულიერებს — რა განსხვავებაა, პრიგოჟინს მიუძღვნით სადიდებელ ლექსებს თუ პუტინს?**

მოკლედ, დარწმუნებული ვარ, „პატარა პრიგოჟინები“ საქართველოს ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდებიან!

**— დაბოლოს: რამდენიმე დღის წინათ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა პარლამენტში წარადგინა ანგარიში, რომელშიც ნათქვამია, რომ 2022 წელს აღკვეთილი იქნა თავდასხმა საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე. როგორ ფიქრობთ, ვინ შეიძლებოდა, ყოფილიყო სამიზნე და ვის შეეძლო, დაეგეგმა საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნის ლიკვიდაცია?**

— როცა მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირის ლიკვიდაცია იგეგმება, მიზანი ყოველთვის არის დესტაბილიზაცია, სახელმწიფოს სისტემის ჩამოშლა და ხელისუფლების შეცვლა! შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნის ლიკვიდაცია, რაზეც სუს-ი საუბრობს, ქვეყნის გარედან იყო დაგეგმილი იმ ძალების მიერ, რომლებიც საქართველოში ხელისუფლების შეცვლით არიან დაინტერესებული!

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***



**„სააკაშვილი ერთ დღესაც პირს მოაღებს და დაასახელებს იმ ადამიანებს უკრაინის ხელისუფლებიდან, რომლებმაც საქართველოში მისი შემოპარება დაგეგმეს!“**



უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლექსეი რეზნიკოვი



**„ზელენსკის საქციელი, ადამიანური თვალსაზრისით, არის უმადურობის გამოხატულება, ხოლო პოლიტიკური კუთხით — უვიცობა და ტუტუცობა!“**

**„უკრაინის ხელისუფლებისაგან არარაფერი უნდა გაგვიკვირდეს მას შემდეგ, რაც მათმა თავდაცვის მინისტრმა რეზნიკოვმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა — უკრაინა შესანიშნავი პოლიგონია იმისათვის, რომ დასავლეთის ქვეყნებმა თავიანთი შეიარაღება გამოსცადონო!“**

# გენერალისიმუსი

№37 (205) ★ 2023 წლის 10 ივლისი ★ გამოდის 2003 წლიდან

პროფესორის სიტყვა



# ომარ გოცაძე: პუტინი ამერიკასთან მართალია!

***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ომარ გოცაძე უკრაინაში დატრიალებულ ცოდვის კალოს, რომელსაც ასეულათასები შეეწირნენ, სრულიად განსხვავებული რაკურსით წარმოგვიდგენს და იმ მიზეზებზე საუბრობს, რომელმაც გლობალური დასავლეთი და რუსეთი ერთმანეთს საბედისწერო ომში შეახეთქა:***

— ბევრს შესაძლოა, ჩემი პოზიცია არ მოეწონოს, მაგრამ საზოგადოება კარგად დაუფიქრდეს იმ ფაქტებს, რომლებსაც საგაზეთო ინტერვიუში გავახმაურებ და რუსეთ-უკრაინის ომზე სრულიად განსხვავებულ სიმართლეს მოგახსენებთ! ჩემი სიმართლე კი ასეთია: **ამერიკა-ევროკავშირი გასული საუკუნის 90-იან წლებში დაუნდობლად და გულმოდგინედ ძარცვავდა რუსეთს. ელცინს დაათრობდნენ, ვაშინგტონში „კალინკას" აცეკვებდნენ, აქებდნენ და მოწონების ნიშნად მხრებზე ხელს უთათუნებდნენ, ხოლო ევროპაში ყოველ ნაბიჯზე ატყუებდნენ, სათვალავში არ აგდებდნენ და ანგარიშს არაფერში უწევდნენ.**

ევროპელები და ამერიკელები ყოველ წუთში არღვევდნენ გერმანიის გაერთიანების სანაცვლოდ საბჭოთა კავშირისათვის მიცემულ პირობას — **„აღმოსავლეთით ნატო ერთი გოჯითაც არ გაფართოვდება!"** ამით ისინი რუსეთის უსაფრთხოებას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ, ელცინს კი იმის თავიც არ ჰქონდა, პროტესტი გამოეთქვა და თავისი პრინციპული პოზიცია დაეფიქსირებინა. მოსკოვის უსიტყვო მორჩილებას დასავლეთი ისე მიეჩვია, რომ რუსეთი უკვე აღარაფრად მიაჩნდათ და თავიანთი ქვეყნებისათვის იაფი ნედლეულით მომარაგების კოლონიად თვლიდნენ. სტალინი არ ცდებოდა, როცა დასავლეთზე ამბობდა — **„ისინი რუსეთს ჯერ კიდევ ბარბაროსულ ქვეყნად და ნედლეულის ბეღლად მიიჩნევენ!"**

**— მონასტერი როდის აირია და უკრაინაში ომი ვინ გააჩაღა?**

— პუტინის ხელისუფლებაში მოსვლას ამ დასუსტებული, გაძარცული, ეკონომიკურად დაუძლურებული და დაშლის პირას მიყვანილი რუსეთის აღორძინება და გაძლიერება მოჰყვა. ამას დასავლეთშიც კარგად ხედავდნენ და ემზადებოდნენ... ჯერ იყო და, რუსეთის მეზობელი დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყანა ნატოში მიიღეს და ამით რუსეთის უსაფრთხოება საკმაოდ შეასუსტეს. ამასაც აღარ დასჯერდნენ, მის წინააღმდეგ ახალი მზაკვრული გეგმა ჩაიფიქრეს და რუსეთის მონათესავე და მართლმადიდებელი ძმური სახელმწიფო — უკრაინა ამოიღეს მიზანში. **დამოუკიდებელი უკრაინის ხელისუფლებას ისეთი პოლიტიკა გაატარებინეს, რომ ისტორიულად ეს ორი მოძმე და მონათესავე მართლმადიდებელი ერი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდეს.**

უკრაინაში საკანონმდებლო დონეზე დაიწყო რუსების დისკრიმინაცია. რუს ერს აუკრძალეს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი, სიმღერა, განათლების მიღება, გააუქმეს რუსულენოვანი სკოლები, უმაღლეს სასწავლებლებში — ფაკულტეტები, ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს 14 მილიონზე მეტი რუსულენოვანი წიგნი... უფრო მეტიც, **დაიწყეს ფაშისტებისაგან უკრაინის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული რუსი ჯარისკაცების მემორიალებისა და გენერლების ძეგლების დანგრევა; ქუჩებისა და პროსპექტებისათვის სახელების გადარქმევა და მათი ბანდერელების სახელით ჩანაცვლება...** რუსების მიმართ გატარებული ასეთი ნაცისტური პოლიტიკის გამო, რუსების მიერ გამოთქმული პროტესტი ყოველთვის სასტიკად იხშობოდა ამ მოფაშისტო ბანდერელების მიერ.

**— მაინც როგორ იხშობოდა?**

— 2014 წლის 2 მაისს ოდესაში, პროფკავშირების სასახლეში, შეკრებილი ანტიმაიდნელები და სახელმწიფო გადატრიალებით უკმაყოფილო რუსები შეიკრიბნენ, რომლებიც „მოლოტოვის კოქტეილებით" ცოცხლად დაწვეს. ასეთი რამ თვით ჰიტლერსაც კი არ გაუკეთებია. მსხვერპლი საკმარისზე მეტი იყო, ოფიციალური მონაცემებით, ამ ამბავს 52 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მაგრამ, როგორც ამბობენ, სინამდვილეში ბევრად მეტია დაღუპული.

ყველაფერ ამას **ფაშისტი ბანდერელები** ქუჩიდან მშვიდად უყურებდნენ. მსხვერპლი რომ უფრო გაზრდილიყო, სახანძრო და სასწრაფო დახმარებაც კი არ გამოიძახეს. დასავლეთში ამის გამო პროტესტი არავის გამოუთქვამს! **იცით თუ არა, რომ უკრაინელებმა 2015 წლის მინსკის შეთანხმების არცერთი პირობა არ შეასრულეს და ლუგანსკისა და დონეცკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების მაცხოვრებლების მიმართ დაიწყეს საშინელი დისკრიმინაციული ღონისძიებების გატარება?**

**— მაინც რა ქნეს?**

— უკრაინელებმა დონეცკისა და ლუგანსკის მაცხოვრებლებს შეუწყვიტეს პენსიებით უზრუნველყოფა, რითიც, ფაქტობრივად, უარი თქვეს ამ თვითგამოცხადებული რესპუბლიკების მოსახლეობაზე, რომლებსაც უკრაინის მოქალაქეებად აღარ თვლიდნენ. უფრო მეტიც, ისინი უკრაინის მტრებად შერაცხეს და მათ მიმართ **ბანდერელი მოფაშისტო უკრაინული სამხედრო დანაყოფების,** BCY-ს, „აიდარის", „აზოვის", „მემარჯვენე სექტორისა" და მათი მსგავსი უკრაინული ბანდფორმირების გამოყენება დაიწყეს.

დონეცკსა და ლუგანსკში სისტემატურად ხორციელდებოდა მცირემასშტაბიანი საომარი მოქმედებები პროვოკაციული წერტილოვანი საარტილერიო დარტყმების საშუალებით. ყოველივე ამას თვითგამოცხადებულ დონეცკსა და ლუგანსკში 8 წლის განმავლობაში მხოლოდ მშვიდობიან მოსახლეობაში 15 000-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის, 500-მდე ბავშვის. **ეს 500 ბავშვი რა, უკრაინაში მცხოვრები ბავშვები არ იყვნენ? რატომ მათი დახოცვა არავინ გააპროტესტა და მათ დასაცავად ხმა არავინ აღიმაღლა?**

ამის შემდეგ რუსეთმა გადაწყვიტა ამ თვითაღიარებული რესპუბლიკების მოსახლეობის დაცვა, რაც საომარ მოქმედებებში გადაიზარდა და მივიღეთ ის, რაც დღეს ხდება.

## ახლა რომ განწირული ხმით გაჰკივიან, უკრაინაში ბავშვები იღუპებიანო, კი მაგრამ, დონბას-ლუგანსკის მსგავსად, იუგოსლავიაში, ლიბიაში, ერაყსა და სირიაში დაღუპული ბავშვები ბავშვები არ იყვნენ?

მათ დასაცავად ხომ ჩვენი დასავლელი „უფლებადამცველებიდან" პროტესტი არავის გამოუთქვამს და მათ გადასარჩენად არავითარი ღონისძიებები არ გაუტარებიათ. **მაგრამ ესენი ხომ უკრაინელი ბანდერელებისა და ამერიკელი ჯარისკაცების ხელით დაღუპული ბავშვები იყვნენ?** ამდენად, მათი გაკრიტიკება და მათ მიერ ჩადენილი ბარბაროსული ქმედებების დაგმობა როგორ შეიძლება? ისინი ხომ ყველაფერში მართლები არიან. ისინი ხომ „სიმართლისათვის" მებრძოლი ანგელოზები არიან, ყველგან „დემოკრატიის" პრინციპებს რომ იცავენ. უკრაინაში კი ბავშვებს მხოლოდ „ბარბაროსი" რუსი სამხედროები ხოცავენ! **აი, ასეთია მათი სამართალი და ორმაგი სტანდარტები.**

**— მაშინ რა გამოდის, პუტინი უკრაინელებთან მართალია?**

— **უკრაინას არავინ არაფერს ეკითხება, რადგან უკრაინელები არიან საზარბაზნე ხორცი.** პუტინი ამერიკასთან მართალია! ვერ გეტყვით, საბოლოოდ რა ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ფაქტია, რომ ფორმალურად მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა ომი არ დაწყებულიყო. **პუტინმა თავისი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის წერილობით დადასტურებული**

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*



**„დასავლეთს რუსეთის ბუნებრივ რესურსებზე ექსკლუზიური უფლების მოპოვება სურს, რაც არ გამოსდის! სწორედ ამის მიზეზია უკრაინის ომი!"**



# ომარ გოცაძე: ამერიკა-ევროპის მესვეურებს უკრაინაში ომის გახანგრძლივება სურთ მოძველებული იარაღის გასასაღებლად!

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

**გარანტიები მოითხოვა დასავლეთისაგან და განაცხადა, რომ, პირველ რიგში, თავი შეეკავებინათ საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანებისგან.**

ყველამ კარგად დავინახეთ, რუსეთის ამ მოთხოვნას როგორი იგნორირება გაუკეთეს, პუტინიც ელცინივით არაფრად ჩააგდეს და აბუჩად აიგდეს. ნაცვლად იმისა, რომ კონფლიქტური სიტუაცია მოლაპარაკების გზით მოეგვარებინათ და დასავლეთი რუსეთის მიმართ რამე დათმობაზე წასულიყო, ცეცხლზე ნავთი დაასხეს და მოლაპარაკების ნაცვლად, უკრაინისთვის საბრძოლო იარაღის ინტენსიური მიწოდება დაიწყეს. ამის შედეგად რა დღეშიც არის უკრაინა, ვხედავთ!

**— მაინც რაში მდგომარეობს დასავლეთისა და რუსეთის მტრობის არსი?**

— გვახსოვდეს, რომ **ამერიკა-ევროპის მაღალი ცხოვრების დონე მეტწილად არა მათი მუხლჩაუხრელი შრომის წყალობით, არამედ მსოფლიოს ჩამორჩენილი კოლონიური ქვეყნების ძარცვა-გლეჯისა და მათი მოსახლეობის მონური შრომის გამოყენების ხარჯზეა მიღწეული.** ახლახან გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, **გასული საუკუნის 40-იან წლებში მარტო ინდოეთიდან ინგლისში 45 ტრილიონი დოლარის ღირებულების სიმდიდრე იქნა გატანილი, მათ შორის, ხორბალი, რამაც ინდოეთში საშინელი შიმშილი გამოიწვია და 29 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამით ჩერჩილმა, ფაქტობრივად, ინდოელ ხალხს „გოლოდომორი“ მოუწყო.** როცა ამ მსხვერპლის შესახებ ჩერჩილს მოახსენეს, მან დანანებით შენიშნა — კარგი იქნებოდა, მათ შორის **მაჰათმა განდიც** ყოფილიყო!

ასეთია ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ ლოგიკა, მორალი და ზნეობა, რომელსაც არასდროს ღალატობენ და ბოლომდე მისი ერთგულნი რჩებიან. აქედან გამომდინარე, თქვენი კითხვის პასუხიც ეს არის — **დასავლეთს რუსეთის ბუნებრივ რესურსებზე ექსკლუზიური უფლების მოპოვება სურს, რაც არ გამოსდის! სწორედ ამის მიზეზია უკრაინის ომი...**

**— უკრაინის ომს სხვა დანიშნულება არა აქვს?**

— აქვს და თან ძალიან მნიშვნელოვანი! საქმე ის არის, რომ მეორე მსოფლიო ომისაგან განსხვავებით, ამერიკა-ევროპის მესვეურებს უკრაინაში ომის გახანგრძლივება სურთ მოძველებული იარაღის გასასაღებლად და დამატებითი მოგების მისაღებად. **მათ მიერ პროვოცირებული ომების შედეგად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაუბედურებული და უსახლკაროდ დარჩენილი გალატაკებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ლტოლვილებად იქცევა და ლუკმაპურის საშოვნელად ისევ ამერიკა-ევროპის ქვეყნებში გაიქცევა.** იქ ჩასულ მილიონობით ლტოლვილს კი ეს ქვეყნები იაფ მუშახელად იყენებენ, რომლებიც არსებობის შესანარჩუნებლად და ფიზიკური გადარჩენისათვის ნებისმიერ შავ სამუშაოს ასრულებენ. სამწუხაროდ, ეს ხდება 21-ე საუკუნეში, რომელიც არაფრით განსხვავდება ძველი წელთაღრიცხვის მე-12-მე-9 საუკუნეების სპარტის საზოგადოებისაგან. მოგეხსენებათ, სპარტის საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვანი მეორე ჯგუფი, ანუ ჰილოტები იყვნენ დაპყრობილი მესიანელები, რომელთა რიცხვი 200 000-ს შეადგენდა. სპარტელებმა ისინი თავიანთ სასარგებლოდ მომუშავე ჰილოტებად, ანუ მიწის მუშებად აქციეს და ექსპლოატაციას უწევდნენ. **მეთოდი ახლაც იგივეა, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ, თუ მაშინ შუბითა და მშვილდ-ისრით იპყრობდნენ ქვეყნებს და დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას ძალის გამოყენებით აქცევდნენ მონებად, ახლა ეს მონები თავისი სურვილით გარბიან ამ ქვეყნებში და მონური შრომით ემსახურებიან მათ!**

**ხომ წარმოგიდგენიათ, იაპონიაში ბომბები სტალინს რომ ჩამოეყარა და ამდენი მშვიდობიანი მოსახლეობა დაეხოცა, რა ამბავი ატყდებოდა და რა ეპითეტებით შეამკობდნენ ბელადს. მაგრამ ის, რაც შეიძლება ამერიკისა და დასავლეთისათვის, არ შეიძლება რუსეთისათვის! ანგლოსაქსები ხომ „ცისფერსისხლიანი“ არისტოკრატები არიან, რუსეთი კი – „ჩამორჩენილი პლებეების“ ქვეყანა.**

**დასავლეთს დღემდე არ ასვენებს რუსეთის ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდების ჟინი. ეს ვითომ „რუსეთ-უკრაინის ომიც“ ხომ, ფაქტობრივად, „ამერიკა-ნატოს“ ომია რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც მის დასასუსტებლად და მისი ბუნებრივი რესურსების ხელში ჩასაგდებადაა პროვოცირებული.** უკრაინა კი, უბრალოდ, პოლიგონია და მისი სახელმწიფოებრიობა და ასიათასობით უკრაინელის სიცოცხლე სწორედ ამ ავანტიურას ეწირება.

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*



*იოსებ სტალინი:*

**ისინი რუსეთს ჯერ კიდევ ბარბაროსულ ქვეყნად და ნედლეულის ბელლად მიიჩნევენ!**

**პროფესორის სიტყვა ★**

**ისტორიკოსის თვალით ★**



# სვიმონ მასხარაშვილი: უკრაინისა და საქართველოს გარეშე რუსეთი იმპერიას ვერ შეკრავს!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი იმ საშინელი ომის მიზეზებზე საუბრობს, რომელიც წელიწადნახევარია, უკრაინას ანადგურებს:***

— სამწუხაროდ, მსოფლიოს რუსეთის ისტორია კარგად შესწავლილი არა აქვს და ამ ქვეყანასთან ურთიერთობაში სავალალო და მომაკვდინებელ შეცდომებს უშვებენ. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **ლოიდ ჯორჯი** ჯერ კიდევ 1919 წელს თემთა პალატაში აცხადებდა — ჩვენ უსინდისონი ვიქნებით, თუ პირველ მსოფლიო ომში ჩვენს ყოფილ პარტნიორებს მივაგდებთ, რათა ბოლშევიკებმა მათ თავები დაუჩეჩქვონ. ამიტომ ადმირალი **კოლჩაკი,** გენერალი **დენიკინი** და გენერალი **ხარკოვი** ჩვენს განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებენ!

**— უკრაინის სიდიდით მეორე ქალაქი — ხარკოვი ლოიდ ჯორჯს კაცი ეგონა?**

— დიახ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ **ლოიდ ჯორჯს** ქალაქი ხარკოვი რუსი გენერალი ეგონა! საგანგებო ბრძანებით, ინგლისის მეფე **ჯორჯ მეხუთემ „გენერალ ხარკოვს“** მიანიჭა დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საპატიო ჯილდო, წმინდა მიქაელისა და წმინდა გიორგის საპატიო ორდენი, რაც იმავდროულად „სერ“-ის წოდების მინიჭებასაც ნიშნავდა. ამით ეს ამბავი არ დასრულებულა... 1919 წელს ბრიტანელები რუსეთში ჩამოვიდნენ, ქალაქ ტაგანროგში, გენერალ **ანტონ დენიკინის** შტაბში მივიდნენ, ჩაიტანეს წმინდა მიქაელისა და წმინდა გიორგის ორდენი თავისი პატენტით და მოიკითხეს **„გენერალი ხარკოვი“.** უმალ გაირკვა, რომ ასეთი „გენერალი“ რუსეთში არ არსებობდა. მაშინ, 1919 წლის 31 აგვისტოს ბრიტანელები ჩავიდნენ ხარკოვში და ორდენი გადასცეს ცნობილ მონარქისტს, გენერალ-ლეიტენანტ **ვლადიმირ ზენონის ძე მაი-მაევსკის,** რომელიც წარმოშობით პოლონელი იყო და სწორედ მან აიღო ქალაქი ხარკოვი... აი, ეს არის რუსეთისადმი დასავლეთის ინფანტილური და ზერელე დამოკიდებულების კლასიკური მაგალითი.

**— საინტერესოა, რუსეთი თუ არის დასავლეთისადმი შეფასებებში ლოგიკური?**

— იგივე უბედურება რუსეთსაც ჭირს. იგი არათუ ევროპის, არამედ თავის ისტორიასაც არ უფრთხილდება! იყო დრო, როცა რუსეთში აღმერთებდნენ **ნიკოლაი კარამზინსა** და მის ისტორიას, ხოლო შემდეგ **სერგეი სოლოვიოვისა და ვასილი კლიუჩევსკის** მიერ დაწერილი ისტორიის ეპოქა დადგა. რუსეთის უბედურებაა, რომ ყოველი მომდევნო მეფე თუ იმპერატორი ისტორიის გადაწერას თავის სასარგებლოდ იწყებს! **სწორედ ისტორიის უგულებელყოფამ მიიყვანა რუსეთი და უკრაინა უდიდეს სამხედრო კონფლიქტამდე, რომელიც მესამე მსოფლიო ომის პრელუდიად იქცა.** დიახ, რუსეთ-უკრაინის ომს ღრმა ისტორიული ფესვები და მიზეზები აქვს!

**— დაასახელეთ ეს მიზეზები!**

— არ ვიცი, პუტინი რას ფიქრობს და როგორ სჯის, მაგრამ **უკრაინისა და საქართველოს გარეშე რუსეთი იმპერიას ვერ შეკრავს!** თავის დროზე **ზბიგნევ ბჟეზინსკიც** სავსებით სამართლიანად შენიშნავდა, რომ უკრაინის გარეშე რუსეთის, როგორც იმპერიის, პერსპექტივა ბუნდოვანი იყო.

ბევრი რუსეთ-უკრაინის ომის მიზეზებს ყირიმში ეძებს, ზოგი ამ საშინელებას „გოლოდომორს“ აბრალებს, მაგრამ არავის უფიქრია, შეესწავლა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ელიტის ანთროპოლოგია 1953 წლიდან ბელოვეჟის ხელშეკრულებამდე, როცა უზარმაზარი საბჭოთა იმპერია დაიშალა. შესაძლოა, ბევრს სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ დღიდან დაარსებისა, ყველაზე მეტი მართლმადიდებელი და არისტოკრატი სწორედ ბოლშევიკების პარტიაში იყო. მაგალითად, **ტროცკი** უმდიდრესი მიწათმფლობელის შვილი გახლდათ, დედით — ებრაელი და მამით — **თურქი. ლენინიც** არისტოკრატულ წრეს ეკუთვნოდა, ხოლო **ლევ კამენევი და გერშელ ზინოვიევი** მილიონერების შვილები იყვნენ. იგივე ითქმის ქართველ ბოლშევიკებზეც, რომელთა 99 პროცენტი — **სერგო ორჯონიკიძით** დაწყებული, **ფილიპე მახარაძით** დამთავრებული — არისტოკრატიასა და თავადაზნაურობას ეკუთვნოდა! ბოლშევიკური პარტიის ელიტა ისევე, როგორც რუსეთის იმპერიის „ვერხუშკა“, ინტერნაციონალური იყო. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის ელიტაც მრავალეროვანი გახლდათ, რომელშიც რამდენიმე პოლიტიკური ცენტრი არსებობდა.

**— მაინც რამდენი ცენტრი არსებობდა?**

— საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ისევე, როგორც საბჭოთა კავშირს, ოთხი პოლიტიკური ცენტრი ჰქონდა — **მოსკოვი, ლენინგრადი,**



# „1921 წელს „წითელი არმიის“ რიგითი ნიკიტა ხრუშჩოვი ქიზიყში ქართველებმა ისე სცემეს, თავ-ყბა გაუერთიანეს. სტალინის ფაქტორის გარდა ქართველებისადმი მისი ზიზღისა და სიძულვილის მიზეზი ესეც იყო!“










## „ხრუშჩოვი, მოსკალენკო, ბატიცკი და რუდენკო, რომლებმაც ბერიას ლიკვიდაციაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს, ყველანი უკრაინელები იყვნენ!“

**კიევი და თბილისი!** ამ ოთხი ცენტრიდან სამი — მოსკოვი, კიევი და თბილისი თავის თავში მოიაზრებდა არა მაინცდამაინც მოსკოველებს, კიეველებსა და თბილისელებს, არამედ რუსებს, უკრაინელებსა და ქართველებს. რაც შეეხება ლენინგრადს, პეტროგრად-ლენინგრადის ცენტრი მართლაც რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქში, სანკტ-პეტერბურგ-პეტროგრად-ლენინგრადში დაბადებული და გაზრდილი პერსონებით იყო დაკომპლექტებული. ლენინგრადის პოლიტიკურმა დაჯგუფებამ და ელიტამ არსებობა 1949-1950 წლებში შეწყვიტეს, როცა ე.წ. „ლენინგრადის საქმე“ აგორდა. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1964-1980 წლებში **ალექსეი კოსიგინი,** რომელიც რაღაც პერიოდის განმავლობაში **ლეონიდ ბრეჟნევს** ხელისუფლებას უყოფდა, სწორედ ლენინგრადის დაჯგუფებას ეკუთვნოდა და რომ არა გენერალ **მიხეილ გვიშიანის** ვაჟი, ფილოსოფოსი და სოციოლოგი **ჯერმენ გვიშიანი,** რომელიც **ალექსეი კოსიგინის** ქალიშვილის, **ლიუდმილას** ქმარი იყო, კოსიგინსაც დახვრეტდნენ. კოსიგინი გადარჩა, მაგრამ მარტო დარჩა და აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ამინდი ვერ შექმნა.

**— საბჭოთა პარტიული და პოლიტიკური ელიტის ქართული დაჯგუფება სტალინსა და ბერიას გადააყოლეს?**

— 1921 წელს საქართველოში „წითელ არმიას“ ხუთასი ქართველი ბოლშევიკი რომ მოუძღოდა, ხოლო **აბელ ენუქიძე, მიხეილ ოკუჯავა, სერგო ორჯონიკიძე, ალიოშა სვანიძე, მიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე** ბოლშევიკურ პარტიაში ამინდს ქმნიდნენ, მაშინ ხრუშჩოვი და მალენკოვი არაფერს წარმოადგენდნენ! სხვათაშორის, 1921 წელს „წითელი არმიის“ რიგითი **ნიკიტა ხრუშჩოვი** ქიზიყში ქართველებმა ისე სცემეს, თავ-ყბა გაუერთიანეს. სტალინის ფაქტორის გარდა ქართველებისადმი მისი ზიზღისა და სიძულვილის მიზეზი ესეც იყო... არც ის დაგვავიწყდეს, რომ 1923 წელს **მამია ორახელაშვილი** ლენინის მოადგილე გახლდათ. ერთი სიტყვით, ქართული ბოლშევიკური ელიტა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესი და გავლენიანი ძალა იყო, მაგრამ 1922 წლის მიწურულს „ნაციონალ-უკლონისტების“ სტალინთან დაჯახებამ და 30-იან წლებში სტალინის წინააღმდეგ მოწყობილმა შეთქმულებამ, **რაშიც ქართველები ნამდვილად მონაწილეობდნენ,** ბელადს ქართველების მიმართ უნდობლობა გაუჩინა.

### სიცოცხლის მიწურულს სტალინი ძველებურად თვით ბერიასაც კი აღარ ენდობოდა და ამის უამრავი ფაქტი არსებობს.

სწორედ ამით ისარგებლეს **გიორგი მალენკოვმა, სემიონ იგნატიევმა და ნიკოლოზ რუხაძემ** და 1951 წლის ნოემბერში ბელადს „შეუგდეს“ ე.წ. მეგრელების საქმე“, რასაც შედეგად მოჰყვა ბერიასთან დაკავშირებული ქართული პარტიული ელიტის განადგურება, ხოლო **1952 წლის ზაფხულში უკვე საკუთრივ ბერიას მიერ განხორციელდა მეოთხე რიგის რეპრესიები იმ ქართველების წინააღმდეგ, რომლებმაც „მეგრელების საქმე“ ააგორეს,** ანუ 1953 წლის 5 მარტის მდგომარეობით, **ლენინგრადის ელიტის** მსგავსად, ქართული **პოლიტიკური ელიტაც** განადგურებული იყო!

**— დაგვრჩა ორი — კიევური და მოსკოვური ცენტრები და ელიტები!**

— მოსკოვური ელიტა სინამდვილეში სულაც არ იყო მოსკოვური და რუსული და ის 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა. რაც შეეხება **უკრაინულ კლანს,** ბოლშევიკებს შორის ის ყველაზე სერიოზული გახლდათ. **რუსი ისტორიკოსის იური ჟუკოვის გამოკვლევით, 1925 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 35 პროცენტს უკრაინელები შეადგენდნენ.** ეს სტალინმა კარგად გამოიყენა და უკრაინის კომპარტიის გენერალურ მდივნად **ლაზარ კაგანოვიჩი** დანიშნა.

სწორედ სტალინმა წამოსწია წინა პლანზე უკრაინული ენა, მოითხოვა, რომ უკრაინული ენის არმცოდნე ცეკაში ვერ მოხვედრილიყო! ასე შექმნა ბელადმა **ახალი უკრაინული ელიტა,** რომელიც სტალინის მთავარ დასაყრდენად იქცა. სტალინმა **ტროცკი, ბუხარინი და კამენევი** სწორედ უკრაინულენოვანი უკრაინელების მეშვეობით გაანადგურა! ხრუშჩოვმა ერთი სიტყვა უკრაინული არ იცოდა მაშინ, როცა მისი ცოლი **ნინა კუხარჩუკი** კრაკოველი იყო და ძალიან განათლებული ქალი გახლდათ. სტალინი ნიკიტა ხრუშჩოვს „მიკიტას“ ეძახდა და სულ ეუბნებოდა — **„შენ უკრაინელი ხარ!“**

**უკრაინული კლანი** ძალიან ფართოდ იყო წარმოდგენილი საბჭოთა სამხედრო ელიტაში. **როკოსოვსკი, მალინოვსკი, სოკოლოვსკი, ვასილევსკი,** სუყველანი უკრაინელები იყვნენ! დღეს ირკვევა, რომ **კონსტანტინე როკოსოვსკი** პოლონური წარმომავლობის გახლდათ, თუმცა, ისიც ამტკიცებდა — უკრაინელი ვარო! საბჭოთა სარაკეტო მეცნიერებაში ერთადერთი **სერგო ბერია** იყო ქართველი, თორემ **ალექსანდრე კოროლიოვის** მეთაურობით, სუყველა უკრაინელი გახლდათ.

**ხრუშჩოვი, მოსკალენკო, ბატიცკი და რუდენკო,** რომლებმაც ბერიას ლიკვიდაციაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს, ყველანი უკრაინელები იყვნენ! 1957 წელს **მალენკოვს, შეპილოვს, კაგანოვიჩსა და მოლოტოვს,** ანუ მოსკოვის დაჯგუფებას, უკრაინული დაჯგუფების დამხობის მცდელობა ჰქონდა, მაგრამ **ხრუშჩოვმა** ძალაუფლება შეინარჩუნა და მთელი საბჭოთა პოლიტიკური ელიტა **მხოლოდ და მხოლოდ უკრაინელებით დააკომპლექტა.** კერძოდ, **ჟუკოვის** გაგდების შემდეგ თავდაცვის მინისტრად — **როდიონ მალინოვსკი,** ხოლო გენერალურ პროკურორად **რომან რუდენკო** დანიშნა.

1958 წელს ხრუშჩოვმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობაც შეითავსა და დაიწყო ახალგაზრდა უკრაინელების დაწინაურება. **ბრეჟნევი, კირილენკო და პოდგორნი** სწორედ ამ დროს დამკვიდრდნენ პოლიტბიუროში.

**— ეს ტენდენცია ბრეჟნევის დროსაც გაგრძელდა?**

— ცხადია! 1964 წელს, როცა გადატრიალება მოხდა და ხრუშჩოვი დაამხეს, ძალაუფლება აიღო სულით ხორცამდე უკრაინელემა **ლეონიდ ბრეჟნევმა.** 1982 წლის პოლიტბიუროს წევრთა სიას რომ გადახედოთ, განცვიფრდებით, რადგან 50 პროცენტზე მეტი უკრაინელია! უფრო მეტიც, რუსეთის პატრიარქობის მთავარი კანდიდატი **ფილარეტი** იყო, რომელიც უკრაინის ავტოკეფალიური ეკლესიის პირველი პატრიარქია. მოკლედ, **სტალინისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ საბჭოთა კავშირში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს უკრაინელებმა.** „კაგებეში“ ანდროპოვის მოადგილეები — **ცრიგუნი და ცინოვი,** რომლებიც ყველაფერს წყვეტდნენ, სწორედ უკრაინელები იყვნენ. ერთიც და მეორეც ძალიან უცნაურ ვითარებაში გარდაიცვალა, რასაც შედეგად მოჰყვა ბრეჟნევის გარდაცვალებაც და ხელისუფლებაში **ანდროპოვის** მოსვლა. როგორც ბრეჟნევის აპარატის უფროსი და ცეკას მდივანი **ივანე კაპიტონოვი** იგონებს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ლეონიდემ თქვა, რომ ის უნდა გადასულიყო კომპარტიის საპატიო თავმჯდომარედ და გენერალური მდივნის პოსტი დაეკავებინა **ვოლოდიმირ შჩერბიცკის,** რომელიც ასევე უკრაინელი იყო. ამ ამბიდან ცოტა ხანში, როცა შჩერბიცკი მოსკოვში არ იმყოფებოდა, ბრეჟნევი უცბად გარდაიცვალა და მთელი ძალაუფლება მომენტალურად ხელში აიღო გაცეკასმდივნებულმა **იური ანდროპოვმა.**


იური ანდროპოვი

> „სტალინისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ ანდროპოვი პირველი იყო, რომელმაც კრემლში უკრაინელებს ძალაუფლება წაართვა!“

**— ანუ ანდროპოვმა უკრაინულ კლანს ძალაუფლება წაართვა?**

— **დიახ, სტალინისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ ანდროპოვი პირველი იყო, რომელმაც კრემლში უკრაინელებს ძალაუფლება წაართვა!** ეს პოლიტიკა მერეც გაგრძელდა. კერძოდ, **გორბაჩოვმა** მოიშორა მინისტრთა საბჭოს უკრაინელი თავმჯდომარე **ტიხონოვი** და მის ნაცვლად დანიშნა რუსი **რიჟკოვი.** გორბაჩოვი აწინაურებდა მხოლოდ რუსებს და ამის ნათელი მაგალითია სვერდლოველი ლოთის — **ელცინის** დანიშვნა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. **ასე დაკარგეს უკრაინელებმა ძალაუფლება კრემლში და მათი გავლენა ჩერნობილის აფეთქებამ საბოლოოდ გაანულა.** მოკლედ, გორბაჩოვის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ უკრაინელებმა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში ძალაუფლებაც დაკარგეს და ჩერნობილის აფეთქებაც მიიღეს! **პარალელურად, გორბაჩოვმა მიტროპოლიტი ფილარეტიც ჩახსნა რუსეთის პატრიარქობის კანდიდატობიდან... ანუ უკრაინელები რუსეთში თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და მოსკოვი ხელში აიღეს ციმბირელებმა.**

ასე და ამრიგად, უკრაინელები და ქართველები, რომლებმაც **პეტრე პირველის, ეკატერინე მეორისა და სტალინის** იმპერია შექმნეს, რუსებმა „ჩახსნეს“. სწორედ ამის შედეგია ის უბედურება, რაც დღეს რუსეთს, უკრაინასა და საქართველოს შორის ხდება!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## ფიოდორ მარენკოვი წიგნში „ადვოკატის სიტყვა სტალინის დასაცავად“ ამტკიცებს, რომ იოსებ სტალინმა ხუთჯერ მოითხოვა პარტიის გენერალური მდივნის პოსტიდან გადადგომა. ცნობილია თუ არა, რამ გამოიწვია ეს მოთხოვნები და ვინ გამოვიდა ამის წინააღმდეგ?

ეს ფაქტი დამოწმებულია არა მარტო ფ. მარენკოვის წიგნში, არამედ მთელ რიგ სხვა ნაშრომებში. **1924 წლიდან 1953 წლის ოქტომბრამდე ი. სტალინმა** მართლაც არაერთხელ დასვა საკითხი პარტიის გენერალური მდივნის პოსტიდან გადადგომის შესახებ. უკანასკნელად ასეთი თხოვნა პარტიის **მე-19 ყრილობაზე** გაისმა. ზოგი მონაცემით, **ბელადმა** მაშინ პარტიის ხელმძღვანელის მოვალეობიდან გათავისუფლება ითხოვა და მთავრობის მეთაურის პოსტზე დარჩენას დათანხმდა, სხვა ვერსიით კი **სტალინის** თხოვნა ორივე პოსტს ეხებოდა. მან ეს იმით დაასაბუთა, რომ უკვე მოხუცდა და ძალა აღარ ჰყოფნის, რომ გიგანტურ პარტიას და მთელ საერთაშორისო მუშათა მოძრაობას უხელმძღვანელოს. **სტალინმა** მაშინ სურვილი გამოთქვა, რომ მართვის საჭესთან ახალი, ახალგაზრდა ძალები მისულიყვნენ, რომლებიც უფრო წარმატებით და ოპერატიულად გადაჭრიდნენ როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ბევრ საკითხს. **ბელადის** თხოვნა გადადგომის შესახებ ცკ-ის ყველა წევრმა მხურვალედ და ერთხმად უარყო. **სტალინმა** მდუმარედ მოისმინა თანამოსაგრეთა განცხადებები და ადგილიდან წამოძახილები: **„არავითარი გადადგომა! ნებას არ მოგცემთ! გთხოვთ, დარჩეთ!“**, მერე კი მოკლედ განაცხადა: **„რადგან პლენუმი წინააღმდეგია, მე ვრჩები და რასაც ცკ დამავალებს, უწინდებურად შევასრულებ.“**

მოვლენებს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ ამ ყველაფერს სულაც არ შეუშლია ხელი **„მოწაფეების“** და **„თანამოსაგრეებისთვის“**, **სტალინი** ყველა პოსტიდან გაეთავისუფლებინათ **1953 წლის მარტში,** როცა ის ჯერაც ცოცხალი იყო და როდესაც ისინი სასწრაფოდ ინაწილებდნენ სახელისუფლო პორტფელებს.

რაც შეეხება **ბელადის** დანარჩენ გადადგომებს, საქმის ვითარება ასეთი იყო. პირველად გადადგომის შესახებ **სტალინმა ლენინის** გარდაცვალებისთანავე განაცხადა, როდესაც საჯაროდ გამომზეურდა ე. წ. **„ანდერძი“**, რომელშიც **ლენინი „გენმდივნის პოსტიდან სტალინის გადაყენებას“** სთავაზობდა. ის ამ სურვილს იმით ასაბუთებდა, რომ **სტალინი,** მიუხედავად ყველა დადებითი თვისებისა, **„მეტისმეტად უხეშია“** და მიზანშეწონილად თვლიდა ნაკლებად უხეში და **„ჭირვეული“** ამხანაგით მის შეცვლას. სხვათაშორის, **ლენინის** ანდერძში **სტალინი** ბევრად უფრო რბილად იყო დახასიათებული, ვიდრე **„პროლეტარული ტაქტის“** სხვა პრეტენდენტები — **ტროცკი („არაბოლშევიკი“)**, **ზინოვიევი** და **კამენევი („ოქტომბრის რევოლუციის შტრაიკბრეხერები“)** და ა. შ.

თუმცა, ბოლშევიკ ბელადთა შორის **„ნაკლებად ჭირვეულის“** პოვნა არ მოხერხდა. და ცკ-ის პლენუმმა, **ი. სტალინის** განცხადების მოსმენის შემდეგ, აიძულა ის, სკპ (ბ)-ს ხელმძღვანელის პოსტზე დარჩენილიყო. თანაც საგულისხმოა, რომ განსაკუთრებით თავგამოდებით **სტალინის** გადადგომის წინააღმდეგ მისი ფარული მტრები **ზინოვიევი** და **კამენევი** და მთავარი აშკარა მეტოქე — **ტროცკი** გამოდიოდნენ. აქ გასაკვირი არაფერია. **ლენინის** სიკვდილის შემდეგ **ტროცკი** თავს **„მემკვიდრედ“** მიიჩნევდა, ხოლო **ზინოვიევი** და **კამენევი,** რომლებსაც ასეთივე პრეტენზია ჰქონდათ, გულუბრყვილოდ თვლიდნენ, რომ პარტიის აპარატის ხელმძღვანელობით **სტალინი,** ფაქტობრივად, ტექნიკურ მუშაკად იქცევა, მთავარ ხელმძღვანელ როლს კი ისინი შეასრულებენ. ცნობილია, რომ სამივე მწარედ შეცდა.

როდესაც ცხადი გახდა, რომ **ზინოვიევთან** და **კამენევთან** ერთად მუშაობა არ გამოდის, იმავე **1924 წლის 19 აგვისტოს სტალინმა** განცხადებით მიმართა ცკ-ს. ფართო მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილ ამ განცხადებას შემოკლებით გთავაზობთ:

**„ამხ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ პოლიტბიუროში ამხ. ამხ. ზინოვიევთან და კამენევთან ერთად წელიწადნახევრის განმავლობაში მუშაობამ ჩემთვის სრულიად ცხადი გახადა ამ ამხანაგებთან პატიოსანი და გულწრფელი ერთობლივი მუშაობის შეუძლებლობა... ამასთან დაკავშირებით გთხოვთ, ცკ-ის პოლიტბიუროს შემადგენლობიდან გასულად ჩამთვალოთ. ... გთხოვთ, გამანაწილოთ ან ტურუხანსკის მხარეში, ან იაკუტიის ოლქში, ან სადმე საზღვარგარეთ, რაიმე შეუმჩნეველ სამუშაოზე...“**

ცკ-მ ეს თხოვნაც ერთხმად უარყო.

მაგრამ გენმდივანს კვლავაც უშლიან ხელს მუშაობაში და იმ ხაზის გატარებაში, რომელსაც ის ერთადერთ სწორ კურსად მიიჩნევს. და **1926 წლის დეკემბერში** ის ცკ-ში გადადგომის შესახებ კიდევ ერთი განცხადებით შედის.

**„გთხოვთ, გამათავისუფლოთ გენმდივნის პოსტიდან. ვაცხადებ, რომ აღარ შემიძლია ამ პოსტზე მუშაობა, აღარ ძალმიძს ამ პოსტზე მუშაობა.**

*ი. სტალინი, 27. XII. 26 წ.“*

და კვლავ ერთსულოვანი **„მშრალი“** უარი ცკ-ის მხრიდან.

დაბოლოს, **1927 წლის** დასასრულს, ცკ-ის პლენუმის მსვლელობისას, რომელზეც კოლექტივიზაციის ჩატარება-არჩატარების საკითხზე დებატები მიმდინარეობდა, **სტალინი** კიდევ ერთხელ აცხადებს არა მხოლოდ გადადგომის შესახებ, არამედ გენმდივნის პოსტის საერთოდ გაუქმებას სთავაზობს. მის თხოვნას ამჯერადაც ცენტრალური კომიტეტის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა ბლოკავს.

სხვათაშორის, საბოლოოდ გენმდივნის პოსტი მისი მცდელობით მაინც გაუქმდა. **მე-18 ყრილობის შემდეგ სტალინი ცკ-ის ერთ-ერთ მდივნად ითვლებოდა ყოველგვარი ეპითეტის გარეშე.**

ზემოთქმული სრულიად აბათილებს **სტალინის** მაძაგებელთა ***(ტროცკი, ვოლკოგონოვი, როი მედვედევი, ანტონოვ-ოვსეენკო და სხვები)*** განცხადებებს, რომ **ი. სტალინმა** ძალაუფლების უზურპაცია მოახდინა.



კაგანოვიჩი, სტალინი, კალინინი, ვოროშილოვი

## მოსკოვში გამარჯვების 50 წლისთავის ზეიმზე მაშინდელმა პრეზიდენტმა ყველა სარდალი დაასახელა, სტალინის გარდა. რით იყო ეს გამოწვეული? ვინ უფრო სწორად აფასებს სტალინის სამხედრო ხელოვნებას – ხრუშჩოვი თუ მარშალი ჟუკოვი. რამ გამოიწვია საბჭოთა არმიის დეგრადაცია, რომელიც სტალინის დროს ძლევამოსილი იყო, ჩვენს დღეებში კი ვერც ავღანეთს გაუმკლავდა, ვერც პატარა ჩეჩნეთს.



გამარჯვების 50 წლისთავის დღესასწაულზე რუსეთის ხელმძღვანელობამ აღმაშფოთებელი ისტორიული უტაქტობა დაუშვა. უმაღლესი მთავარსარდლის, ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელ ომში ფაქტობრივი გამარჯვებულის გვარი პრეზიდენტ ელცინის გამოსვლაში მხოლოდ **„სტალინური რეპრესიების“** კონტექსტში გაისმა. მეტსაც გეტყვით. იუბილის აღსანიშნავად დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მოსკოვში გამოაგზავნა **უინსტონ ჩერჩილის**, როგორც გამარჯვებულთა დიდი სამეულის ერთ-ერთი მონაწილის ბიუსტი.

ლოგიკით, პასუხად ლონდონში **სტალინის** ბიუსტი უნდა გამგზავრებულიყო. არაფერი შეგეშალოთ. მოსკოვი ლონდონს ... **მარშალ ჟუკოვის** ბიუსტს უგზავნის. და მისივე, როგორც **„გამარჯვების მარშლის“** ძეგლს აღმართავენ წითელი მოედნის შესასვლელთან. არადა, **ჟუკოვი** მხოლოდ **სტალინის** ერთ-ერთი მარშალი იყო, რომელიც უმაღლესი მთავარსარდლის ნებას ასრულებდა და მის გენიალურ, გამარჯვების მომტან სტრატეგიას ახორციელებდა. ბუნებრივია, **სტალინის** მხედართმთავრული ნიჭის შეფასებაში მართალია **ჟუკოვი** და იმ ეპოქის სხვა ბრწყინვალე მარშლები, მაგალითად, **როკოსოვსკი** *(მას* ***სტალინი*** *ყველაზე მაღლა აყენებდა)*, **ვასილევსკი, ტოლბუხინი, მალინოვსკი** და სხვები, რომლებმაც თავიანთ მემუარებში **სტალინს,** როგორც მხედართმთავარს, უმაღლესი შეფასება მისცეს.



სამამულო ომში გამარჯვებულად **ჟუკოვის** მიჩნევა იგივეა, რაც ნაპოლეონის ომებში საფრანგეთის იმპერატორის ნაცვლად პირველობის **მარშალ მიურატისთვის** მინიჭება.

რატომ გაიცვალა **ჩერჩილზე ჟუკოვი?** პასუხი აშკარაა. **ჟუკოვი** რუსია, **სტალინი** კი, ასე ვთქვათ, კავკასიური ნაციონალობის პირი, ქართველი.

რაც შეეხება გამარჯვებული არმიის დეგრადაციას, ვფიქრობ, აქაც ყველაფერი ცხადია. **სტალინის** მიერ გამოჭედილი დიადი სახელმწიფოს დანგრევის შემდეგ რუსეთშიც და სხვა ყოფილ რესპუბლიკებშიც ყველაფერი დაქვეითდა და დაკნინდა. არმია გამონაკლისი არ ყოფილა (და ვერც იქნებოდა!).

სხვათაშორის, **სტალინს** ჩეჩნების გადასახლებაში ადანაშაულებენ. თუმცა, ეს აქცია უმტკივნეულოდ და უმსხვერპლოდ ჩატარდა. **„დემოკრატიული“** რუსეთი მეორე ათეული წელია, ჩეჩნეთს ეომება. და ამ ომს, რომელშიც რუსებიც და ჩეჩნებიც ათასობით იღუპებიან, ბოლო არ უჩანს.

## ხშირად მსმენია, რომ სტალინი მოსკოვის დაცვის დღეებში ნიკიტა ხრუშჩოვს თავში ჩიბუხს უკაკუნებდა. ჩემი აზრით, ეს თავად ნიკიტა ხრუშჩოვის გამოგონილი ტყუილია. თქვენ როგორ ფიქრობთ?



ბუნებრივია, ტყუილია, სრულიად ბოროტგანზრახული და ურცხვი. თან, უდავოდ, თავად **ნიკიტა ხრუშჩოვის** მიერ გავრცელებული — აქაოდა, საბრალო რას არ ითმენდა **„ტირანი“ სტალინის** ძალაუფლების ქვეშ. სხვათაშორის, ზღაპრები **სტალინის** ჩიბუხზე ძალზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

**სტალინი** დელიკატური ადამიანი იყო, გარშემო მყოფთა მიმართ ზედმეტის უფლება თავისთვის არასოდეს მიუცია, ძალიან იშვიათად იმაღლებდა ხმას, ყველა თანამოსაგრეს ***(უახლოესი მეგობრების მოლოტოვის, ვოროშილოვის და ორჯონიკიძის გარდა)*** მხოლოდ თქვენობით მიმართავდა სიტყვა **„ამხანაგო“-ს** დართვით. ხოლო თუ ზოგჯერ **„შენ“**-ზე გადავიდოდა, ეს განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიშანი იყო. რა უცნაურიც უნდა იყოს, ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც ის გამორჩეულად სწყალობდა, **ხრუშჩოვი** გახლდათ, და **მან მე-20 ყრილობაზე სრულად მიუზღა ყველა სიკეთისათვის სტალინს, რომელმაც ის არარაობიდან კაცად აქცია.**

რაც შეეხება მოსკოვის დაცვის პერიოდს, აქ ასეთი მნიშვნელოვანი შემთხვევაა დაფიქსირებული. იმ მომენტში, როდესაც გერმანელები დედაქალაქს 10-12 კმ-ზე მიუახლოვდნენ, **ხრუშჩოვი** *(იმ დროს მოსკოვის ქალაქკომის ხელმძღვანელი)* პანიკაში ჩავარდა: **„ამხანაგო სტალინ, გერმანელები დღეს-ხვალ მოსკოვში იქნებიან!“ სტალინი** ამას ყურადღებას არ აქცევდა და თავის საქმეს აკეთებდა. ხოლო **1941 წლის დეკემბერში,** როდესაც გერმანელები მოსკოვიდან **100 კმ-ზე** გარეკეს, **სტალინმა ხრუშჩოვს** ფანჯარასთან მისვლა და ქუჩაში გახედვა სთხოვა. ეს უკანასკნელი დაემორჩილა. მაშინ **სტალინმა** ღიმილით ჰკითხა, ხედავს თუ არა სადმე გერმანელებს.

**აი, ასე იყო საქმე. თუმცა, ჩემი აზრით, ცუდი არ იქნებოდა, იოსებ ჯუღაშვილს ნიკიტა ხრუშჩოვისთვის მართლაც ჩაეკაკუნებინა თავში, თანაც არა ჩიბუხით, არამედ რაიმე ბევრად უფრო მძიმე საგნით.**


2023 წლის 10 ივლისი. № 37 (205)

სარედაქციო კოლეგია

„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com

ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# ვანდალები

***ლეგენდარული და ოქრომრავალი კოლხეთის უძველესი რელიგიური და კულტურული ცენტრიდან, რომელსაც დღეს რატომღაც ვანი ჰქვია, ხოლო ადრე სურიონი ერქვა, ცუდი ამბები ისმის... ვანში ხელისუფლებას ვანდალები დაეპატრონნენ და რაიონის ცენტრში აღმართული 21-მეტრიანი წმინდა ჯვარი დაამხეს!***

ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ადგილობრივი ბანდიტებისა და ათას პარტიაში ნათრევი მედროვეების ფორმალური ლიდერი, **ვანდალების გამგებელი ალექსანდრე გოგორიშვილი,** რომელმაც ეს საჯაყი საქმე ქნა, აჯანყებულ ხალხს თავიდან იმით იშორებს, რომ ხელს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისკენ იშვერს — **ჯვრის დამხობა პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებაა, ჩვენ არაფერ შუაში ვართო!**

უფრო მეტიც, როგორც მეუბნებიან, ვანდალთა ვანელი ლიდერი **თავთხლე გოგორიშვილი და მისი ჩაფრები** ქალაქის ცენტრში უზარმაზარი ჯვრის მოშთობას ასე „ასაბუთებენ“ — **„ახვლედიანების გორასკენ მიმავალ უცხოელ ტურისტებს, სადაც მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს და განახლებული მუზეუმია, ამოდენა ჯვარი აფრთხობთ, აშინებთ და ამიტომ უკანასკნელ ხანს, როცა პრემიერ-მინისტრი გვსტუმრობდა, დავალება მოგვცა — ჯვარი აიღეთ და მის ნაცვლად ევროკავშირისა და საქართველოს დროშები აღმართეთო!**

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ **ირაკლი ღარიბაშვილი** მსგავს ბრძანებას არ გასცემდა და **ვანელი ვანდალების** ადგილობრივ გეიზერიხს — **ალექსანდრე გოგორიშვილს** ცოცხალი თავით არ ეტყოდა — **ჯვარი დაამხეთ და მის ნაცვლად საქართველოსა და ევროკავშირის დროშები აღმართეთო!**



**ვანში ვანდალებმა წმინდა ჯვარი დაამხეს და მის ნაცვლად ევროკავშირისა და საქართველოს პარტიული დროშების აღმართვას აპირებენ!**



**ეს ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ საბოტაჟსა და შეთქმულებას ჰგავს, რათა მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვიონ და ქვეყანაში კიდევ ერთი დაძაბულობის კერა შექმნან.**

ამიტომ მოვუწოდებთ პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილსა** და მაჟორიტარ დეპუტატ **გივი ჭიჭინაძეს,** რომელიც რესტორნიდან ვერ გამოჰყავთ, მიხედეთ **ვანდალების** მიერ იავარქმნილ **ვანის რაიონს** და მოაშორეთ მმართველობიდან ნაცსექტანტები, რომლებიც „ქართული ოცნების“ სახელს ეფარებიან!

შემთხვევა 2023 წლის 5 ივლისს მოხდა, როცა რაიონის ხელმძღვანელობამ უშველებელი „ამწეკრანები“ მოაყენა და ქალაქის ცენტრში ვანი-ბაღდათის ეპარქიის მწყემსმთავრის, **მიტროპოლიტ ანტონ ბულუხიას** მიერ ნაკურთხი ჯვარი დაამხო. **თავიდან ხალხს ეგონა — ხელისუფლება ჯვრის შეღებვას და მოწესრიგებას აპირებსო, მაგრამ, როცა ჯვარს კაუჭები გამოსდეს და შეარყიეს, ერთი ამბავი ატყდა.** ერთ-ერთი ადგილობრივი ბიზნესმენი და პატიოსანი კაცი, ღრმადმორწმუნე **ილია კაშია** მუხლებზე დაემხო და **ვანელ ვანდალებს** შეეხვეწა — **ჯვარს ნუ დაამხობთ, ამას კარგი ამბავი არ მოჰყვება, დაისჯებითო!** მაგრამ **ვანდალებმა,** რომლებიც მთელი ცხოვრება ისედაც დასჯილი არიან და აწ განსვენებული **როენას ბორდელის სექსმუშაკებივით** უკლებლივ ყველა პარტიული და ფულიანი ბოსის პოლიტიკურ საწოლში ნებივრობენ, განზრახვა სისრულეში მოიყვანეს და ჯვარი მაინც მოთხარეს.

მოკლედ, **მოსახლეობის საშინელი პროტესტის მიუხედავად, ვანდალების ვანში ჯვარი დაემხო!** არადა, ეს ის 21-მეტრიანი, საქართველოში გამორჩეული სიდიდის ჯვარია, რომელიც ჯერ კიდევ 2002 წელს ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორის **მამუკა ჩხაიძის** მიერ მართლმადიდებლური წესით დაპროექტდა.

ადგილობრივი სასულიერო პირები, განსაკუთრებით **მამა პეტრე, ვანელი ვანდალების** მიერ ჯვრის დამხობას მოსახლეობასთან ერთად აპროტესტებდნენ და დღესაც აპროტესტებენ. უფრო მეტიც, ხალხი მიტინგების ჩასატარებლად ემზადება და ხელისუფლებას აფრთხილებს — **ჯვარი ძველ ადგილზე აღმართეთ და ბოდიში მოიხადეთო!**

დღეს **ვანდალების** მიერ დამხობილი ჯვარი ქალაქ ვანში, ძველი ფოსტის გაუბედურებული შენობის წინ, მიწაზეა დაგდებული, რომელზეც ცხოველები გადი-გამოდიან და ასაქმებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზესტაფონელი, კერძოდ, საზანოელი ჩუბინიძეების ერთი შტო მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან ულამაზეს სოფელ უხუთში დასახლდა და **ვანის რაიონში** მოსული გვარი ვართ, მოქკავშირის საძაღლეთი იყო თუ სააკაშვილის გაერთიანებული ბორდელი, მიზეზთა და მიზეთა გამო, **ვანის ადგილობრივი ხელისუფლების აუგად ხსენებას ყოველთვის ვერიდებოდი და ახლაც ვერიდები! მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა გაჩუმება ღვთის გმობისა და ღალატის ტოლფასია. ეს ის შემთხვევაა, როცა ცენტრალური ხელისუფლების მიერ მოტანილი არაერთი ხელშესახები სიკეთე, მათ შორის, თუნდაც ჩემი სოფლის გზების მოასფალტება, გაზიფიცირება, ბაღის აშენება-კეთილმოწყობა და ევროსტანდარტების დონეზე საშუალო სკოლის მშენებლობის დაგეგმვა, ვიღაც რეგვენებისა და „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილი ნაციონალი „საბოტაჟნიკების“ გამო შესაძლოა, წყალში ჩაიყაროს!**

ჩვენ სააკაშვილსა და მის ხროვას ყველაფერთან ერთად იმის გამოც ვამათრახებდით, რომ ფერიის მთაზე ეკლესია დაამხო, ხოლო გლდანში წმინდა ტაძარს რუსული „ურალი“ დააჯახა. აქედან გამომდინარე, **ვანის გამგებელი ალექსანდრე გოგორიშვილი,** რომელსაც ორ ბატს ვერ მიაბარებ და სტაჟიანი ლოთია, ვინ გვიგდია, რომ მსგავსი **ვან**დალიზმი და თვითნებობა შერჩეს?

ასე მგონია, **ვანდალების** კბილებდაკრეჭილი ბელადი **გეიზერიხი,** რომელმაც რომი გაძარცვა და ქალაქში თუ რამ სიწმინდე იყო, ყველაფერი დაამხო, 477 წლის იანვარში კი არ მოკვდა, არამედ თავის ჯოგთან ერთად ბოსფორი და დარდანელი გამოიარა, მდინარე რიონს ამოუყვა, **ვანის გამგეობაში** შესახლდა და გაქანებული და ცხრა ღობეზე გადამხტარი ნაცსექტანტები გარშემო შემოიკრიბა, რომლებიც დღეს საქართველოს სიმბოლოდ გამოცხადებულ სააკაშვილის პარტიულ დროშებს აფრიალებენ.

არა **ვანის,** არამედ **ვანდალთა** მცირერიცხოვანი ჯოგის გამგებელს **ალექსანდრე გოგორიშვილს** და ნაცსექტანტთა იმ ხროვას, რომელიც სინამდვილეში რაიონს მართავს, შევახსენებთ, რომ **ვან**დალები ერთ-ერთი ძველი გერმანული ტომი იყო, რომლებიც თავიანთი ბელადის — გეიზერიხის მეთაურობით კართაგენიდან გემებით გამოვიდნენ, მდინარე ტიბრის ერთ-ერთ შენაკადს აუყვნენ და 455 წლის 2 ივნისს ყველასათვის მოულოდნელად და უბრძოლველად რომი დაიკავეს.

რომის მაშინდელი პაპი, კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი **ლეო პირველი** დიდი გეიზერიხის წინაშე წმინდა კრებულთან ერთად გამოცხადდა და ველურსა და ბარბაროსს სთხოვა — **რომს ნუ დაანგრევო!**

მანამდე სამი წლით ადრე, 452 წელს, **ლეო პირველმა** ჰუნთა უსასტიკესი ბელადის — ატილას შემოსევისგან იხსნა მშობლიური ქალაქი და სიტყვის ძალით მოახერხა, უკან გაეტრიალებინა მიზანთროპი, რომელიც მთელი ოცი წლის განმავლობაში ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოს არყევდა.

**მოკლედ, 455 წელს რომი გაულეტას გადაურჩა, მაგრამ ველურმა გეიზერიხმა მთელი ორი კვირის განმავლობაში — 2 ივნისიდან 16 ივნისის ჩათვლით, ქალაქი პირწმინდად გაძარცვა და ოდესღაც მსოფლიო იმპერიის დედაქალაქი ნათურქალს დაამსგავსა.**

## ვანელო ვანდალებო, ნუ დაემსგავსებით გეიზერიხს, რომელიც ისტორიაში იმით შევიდა, რომ რომი გაძარცვა.

**ვანელი ვანდალების** გამგებელო **ალექსანდრე გოგორიშვილო, ხათუნა გოგორიშვილმა თავის ნიფხავს დანიშნულება შეუცვალა, რადგან მასში მთელი მოქკავშირისა და ნაცსექტის მიერ გაყალბებულ საარჩევნო ბიულეტენებს მალავდა! ისე ნუ იზამ, შენს ნიფხავს ვანელებმა შეუცვალონ დანიშნულება და სულორში, კვინისწყალში ან რიონში სწორედ თავზე ნიფხავჩამოცმული მოგისროლონ!**

ერთი აუცილებლად უნდა ვთქვათ და ამით დავასრულებთ — **455 წლის ივნისში რომს პაპი ლეო პირველი დიდი გამოესარჩლა და გეიზერიხს ქალაქში ხალხი მაინც არ გააჟუჟუნა...**

2023 წლის 5 ივლისს, როცა **ვანდალები ვანში** წმინდა ჯვარს ამხობდნენ, **ვანი-ბაღდათის** მიტროპოლიტი, მეუფე **ანტონ ბულუხია** ქუჩაში გამოსული არავის უნახავს!

**იმ წყეულ დღეს არც ხალხს და არც ჯვარს გამომსარჩლებელი და დამცველი არავინ ჰყავდა!**

***დიტო ჩუბინიძე***



# შეთქმულება ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

**მიხედეთ ვანდალების მიერ იავარქმნილ ვანის რაიონს და მოაშორეთ მმართველობიდან ნაცსექტანტები, რომლებიც „ქართული ოცნების“ სახელს ეფარებიან!**




***რამდენიმე დღის წინათ რედაქციაში ჯერაც შუახანს მიუტანებელმა, მაგრამ თმა-წვერიანად გათეთრებულმა წარმოსადეგმა კაცმა შემოაბიჯა, რომელსაც ხელში სქელი საქაღალდე ეჭირა, სახეზე კი ერთი შეხედვისთანავე თვალში საცემი კაეშანი ეფინა. იგი თბილისის მკვიდრი გიორგი ვაშაკიძე აღმოჩნდა, 5 შვილის მამა, რომელსაც გასული წლის დეკემბერში დიდი ტრაგედია დაატყდა თავს — მოულოდნელად გარდაეცვალა უფროსი ვაჟი, 23 წლის ვახე ვაშაკიძე.*** *ჩემი შვილი უსამართლობამ და მოსამართლე* ***ნინო ჩახნაშვილის*** *უსინდისობამ იმსხვერპლა!* ***— გვითხრა გაუბედურებულმა მამამ, საქაღალდიდან დოკუმენტები ამოალაგა, ერთი ღრმად ჩაისუნთქა და მისთვის უმძიმესი ამბის მოყოლას შეუდგა:***

# გიორგი ვაშაკიძე:

# პირდაპირ ვადებ ხელს მოსამართლე ნინო ჩახნაშვილს, როგორც ჩემი შვილის მკვლელს!




— 2022 წლის 8 მარტს ჩემი ვაჟი **ვახე ვაშაკიძე** მეგობარ გოგოსთან — **თამთა ჩომახაშვილთან** ერთად მისივე ავტომანქანით სიღნაღში გაემგზავრა, სადაც მეგობრის — **ნიკა გოგაშვილის** ოჯახში სუფრაზე იყვნენ დაპატიჟებული. გზად ვახეს მისმა ნაცნობმა **გიორგი ღონღაძემ** დაურეკა და სთხოვა — ფული მასესხეო. ჩემმა შვილმა თანხა იმ პირობით გადაურიცხა, რომ დღის ბოლომდე აუცილებლად დაუბრუნებდა. საღამოს, როცა სიღნაღიდან თბილისში ბრუნდებოდნენ, **ვახემ** ღონღაძეს დაურეკა — მანქანაში საწვავის ჩასასხმელად თანხა მჭირდება და, როგორც შევთანხმდით, ვალი დამიბრუნეო, მაგრამ მისგან უარი მიიღო, თანაც, უხეში ფორმით. ამას მოჰყვა კამათი, ურთიერთგინება და **ღონღაძემ** ჩემი შვილი თბილისში, ვერაზე, დაიბარა საქმის გასარკვევად.

**— ღონღაძე ე.წ. კრიმინალური სამყაროს წევრია?**

— **ღონღაძე** არის დიჯეი, რომელიც ღამის კლუბებში უკრავს. ჩემმა შვილმა თავის მეგობარ **საბა ჭელიძეს** დაურეკა და სთხოვა, რომ ვერაზე, სოფიკო ჭიაურელის ქუჩაზე, გიორგი ღონღაძის სანახავად წაჰყოლოდა. საბას მოჰყვა მისი მეგობარი **ნუკრი აბესაძე,** რომელსაც ვახე არ იცნობდა. მოკლედ, მივიდნენ დათქმულ ადგილას, სადაც გიორგი ღონღაძესთან ერთად **ნიკოლოზ მარგიანი, გიორგი ხუციშვილი და ლაშა გაბადაძე** დახვდნენ. ისინი ვახესა და ღონღაძის საუბარში ჩაერივნენ, რაზეც ჩემმა შვილმა უთხრა — **მე აქ გიორგისთან სასაუბროდ მოვედი და თქვენთან საქმე არა მაქვსო!** ამას მოჰყვა შელაპარაკება, ატყდა ხმაური და **ლაშა გაბადაძემ** მოულოდნელად პისტოლეტი ამოიღო, რომელიც პირდაპირ შუბლზე მიადო ჩემი შვილის მეგობარ **საბა ჭელიძეს.** საბამ ხელი აუქნია და იმ წამსვე გასროლის ხმა გაისმა — ერთი, მეორე, მესამე... სულ 6 ტყვია გაისროლეს.

**— თქვენი შვილი და მისი მეგობრები დაიჭრნენ?**

— დიახ, გამოძიებით დადგენილია, რომ **გიორგი ხუციშვილის** მიერ ნასროლი ტყვია ჩემს შვილს მუცელში მოხვდა და მსხვილი და წვრილი ნაწლავები დაუზიანა. მუცლის ღრუში შემავალი და შინაგანი ორგანოების დამაზიანებელი ცეცხლნასროლი ჭრილობა ჰქონდა **ნუკრი აბესაძესაც,** ხოლო **ლაშა გაბადაძის** ნასროლმა ორმა ტყვიამ **საბა ჭელიძე** ბარძაყისა და წვივის არეში დაჭრა.

ვახესა და მის მეგობრებს ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონიათ, მხოლოდ შიშველი ხელებით და ერთი პატარა დანით ცდილობდნენ თავის დაცვას. ჩემმა შვილმა, მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილი იყო, შეძლო, **გიორგი ხუციშვილისათვის** რევოლვერი წაერთმია. როგორც მოწმეთა ჩვენებებით გაირკვა, დაჭრილი ვახე ხუციშვილს წართმეული პისტოლეტის ტარს ურტყამდა და არც კი უცდია, გაესროლა, მიუხედავად იმისა, რომ მჭიდში ტყვიები კიდევ იყო დარჩენილი.

აღსანიშნავია, რომ საქმე **გიორგი ღონღაძისა და ნიკოლოზ მარგიანის** ჩვენებებით გაიხსნა, რომლებმაც გამოძიებას დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს მომხდარის შესახებ, თუმცა, გამოძიებისათვის მიცემული ჩვენება სასამართლო პროცესზე თავიანთი მეგობარი ბრალდებულების სასარგებლოდ შეცვალეს. განაცხადეს — პოლიციაში დაკითხვის დროს არაფხიზელ მდგომარეობაში ვიყავით და ისიც კი არ გვახსოვს, ჩვენება ზეწოლის შედეგად მივეცით თუ არაო!

ჩვენების შეცვლისა და სასამართლოსათვის ცრუ ჩვენების მიცემის გამო **მარგიანისა და ღონღაძის** წინააღმდეგ დღეს სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და სასამართლო პროცესები მიმდინარეობს. **ღონღაძემ** ქვეყნიდან გაქცევა მოასწრო და მიმალულია, **მარგიანი** კი ჩემი შვილის გარდაცვალებიდან მეორე დღეს დააკავეს და გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოართვეს.

**— ხუციშვილი და გაბადაძე დანაშაულის ჩადენიდან რამდენ ხანში დააპატიმრეს და რა ბრალდება წარუდგინეს?**

— **გაბადაძე** მომხდარიდან მეორე დღეს დილომში აიყვანეს, **ხუციშვილი** კი მიმალვაში იყო და დაახლოებით ერთი თვის შემდეგ დააკავეს. ორივე მათგანს ბრალად ედებოდა სამი ადამიანის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება. პროკურატურა ითხოვდა, სასამართლოს ბრალდებულებისათვის 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ნინო ჩახნაშვილმა** გამაოგნებლად უსამართლო ვერდიქტი გამოიტანა — **ხუციშვილი და ღონღაძე წარდგენილ ბრალდებებში გაამართლა, მხოლოდ დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის ცნო დამნაშავედ და 3-3 წლით პატიმრობა შეუფარდა.**

**— „დანაშაულის შეუტყობინებლობა" საიდან და როგორ გამოიკვეთა?**

— მოსამართლე **ჩახნაშვილი** დაეყრდნო ბრალდებულ **გაბადაძისა** და დაცვის მხარის მოწმის — ვინმე **მაია ერისთავის** აბსოლუტურად ცრუ ჩვენებას, რომელიც ჭიაურელის ქუჩაზე მომხდარ კონფლიქტს მეექვსე სართულიდან ადევნებდა თვალს და თითქოს დაინახა, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შემთხვევით შეუერთდნენ „სხვა ბიჭები", რომლებსაც ცეცხლსასროლი იარაღები ჰქონდათ და სწორედ მათ ატეხეს სროლა.

**მოსამართლე ჩახნაშვილის** გადაწყვეტილებაში წერია:

*„ბრალდებისა და დაცვის მხარის მტკიცებულებების შეფასებისა და ურთიერთანალიზის შედეგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ* ***არ არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაარწმუნებდა სასამართლოს ბრალდებულების: ლაშა გაბადაძისა და გიორგი ხუციშვილის მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვასა და ტარებაში...*** *ასევე ზემოთ ხსენებული მტკიცებულებები არ აღმოჩნდა საკმარისი* ***ლაშა გაბადაძისა და გიორგი ხუციშვილის*** *მიერ სამი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის ჯგუფურად ჩადენაში დამარწმუნებელი, თუმცა, იმის გამო, რომ მათი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის — დანაშაულის შეუტყობინებლობის ყველა ნიშანს, შესაბამისად* ***უნდა გადაკვალიფიცირდეს მათ მიმართ წარდგენილი ბრალი...*** *თითოეულ ბრალდებულს უნდა განესაზღვროს* ***3 წლით თავისუფლების აღკვეთა,*** *რაც უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს..."*

**მოსამართლე ჩახნაშვილმა** ამ გადაწყვეტილებით არამხოლოდ კანონსა და სამართალს მიაფურთხა, არამედ ჩემი შვილის სიცოცხლე იმსხვერპლა და მთელი ოჯახი გაგვანადგურა! აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ვახეს გულის გაჩერება იმ საშინელმა სტრესმა გამოიწვია, რომელიც უსამართლობის განცდითა და შეურაცხყოფის შეგრძნებით იყო გამოწვეული!

**— ვახე განიცდიდა, რომ მოსამართლემ ბრალდებულებს მცირე სასჯელი მიუსაჯა?**

— არათუ განიცდიდა, ფსიქოლოგიურად იყო განადგურებული, მუდმივად ბორგავდა, ადგილს ვერ პოულობდა და მეუბნებოდა — **მამა, სულ იმას რომ ჩამჩიჩინებ, ცხოვრებაში ყესიერება და სამართლიანობაა მთავარი, აბა, სად არის სამართლიანობა და სამართალიო?** ჯერ მარტო იმის გამო იყო დათრგუნვილი, რომ დაჭრის შემდეგ ორი ოპერაცია გაუკეთეს და მსხვილი ნაწლავი თვეების განმავლობაში გარეთ ჰქონდა დატოვებული... წარმოიდგინეთ, 23 წლის ბიჭისათვის როგორი მძიმეა ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და მერე იმის გაცნობიერება, რომ, ვინც ეს დაგმართა, სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო!

სასამართლო პროცესზე ჩემი შვილი დაზარალებულის სტატუსით რომ იკითხებოდა, **ბრალდებული ხუციშვილი,** რომელიც ყოფილი პოლიციელია, ბინძურ, შეურაცხმყოფელ რეპლიკებს ესროდა და დედაც კი შეაგინა. მართალია, ვალში არც ვახე დარჩენია და პასუხი იქვე დაუბრუნა, მაგრამ ბავშვი გაოგნებული იყო იმის გამო, რომ **მოსამართლე ჩახნაშვილს** ხუციშვილისათვის შენიშვნაც კი არ მიუცია. მეტიც, გადაწყვეტილებაში ჩაწერა — **სასამართლო მხედველობაში იღებს საქმის განხილვის პროცესში ბრალდებულთა მიერ გამოვლენილ ეთიკურ ქცევასო!**

იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ხუციშვილის ადვოკატს — **ტარიელ ქაქაბაძეს** თავისი კლიენტის დაცვის სტრატეგია ბინძურ მეთოდებზე ჰქონდა აგებული, ჩემი შვილის, როგორც დაზარალებულის, დისკრედიტაციას, შეურაცხყოფას, წყობიდან გამოყვანას ცდილობდა და ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდა.

მოკლედ, პირდაპირ ვადებ ხელს **მოსამართლე ნინო ჩახნაშვილს,** როგორც ჩემი შვილის მკვლელს! ბავშვი, რომელიც კრიმინალების ტყვიით სიკვდილს გადაურჩა, **მოსამართლის მანტიაში გახვეულმა ბანდიტმა** უსამართლო განაჩენით მომიკლა!

ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ **მოსამართლე ჩახნაშვილმა** ბრალდებულების გამართლებაში ფული აიღო! ამ ვარაუდს მიმყარებს ის ფაქტიც, რომ სასამართლო პროცესების მიმდინარეობის პერიოდში ბრალდებული **ხუციშვილის** დედამ ბინა გაყიდა!

**— იქნებ პროკურატურამ მართლაც ვერ წარადგინა სასამართლოში მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც მოსამართლეს ბრალდებულთა მიერ დანაშაულის ჩადენაში დაარწმუნებდა?**

— ჩემი აზრით, გამოძიების პროცესში მართლაც იყო ხარვეზები და ვერც ყველა მტკიცებულების მოპოვება მოხერხდა.

## „მოსამართლე ჩახნაშვილმა არამხოლოდ კანონსა და სამართალს მიაფურთხა, არამედ მთელი ოჯახი გაგვანადგურა!"



ვაჩე ვაშაკიძე

მაგალითად, **საქმეში არ დევს იარაღი, რომლიდანაც ინციდენტის დროს ლაშა გაბადაძემ გაისროლა.** თქვეს, რომ პისტოლეტი რეგისტრირებული არ იყო და მისი იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა, თუმცა,

**ეჭვი მაქვს და გარკვეულ ინფორმაციასაც ვფლობ, რომ გაბადაძის მიერ გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი შეგნებულად გადამალეს, რადგან ერთ-ერთი მაღალჩინოსნის საკუთრება იყო.**

მიუხედავად ამისა, პროკურატურის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობა სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ **ხუციშვილი და გაბადაძე** ყველა წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ყოფილიყვნენ ცნობილი. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი სწორედ ამას ადასტურებს.

**— სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გააუქმა?**

— დიახ, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა — **გიორგი კერატიშვილმა, ვეფხია ლომიძემ და შალვა კაკაურიძემ** მოსამართლე ნინო ჩახნაშვილის მიერ გამოტანილი განაჩენისაგან რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილება გამოიტანეს.

აი, რა წერია სააპელაციო სასამართლოს განაჩენში:

> *„ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობა საკმარისია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულად მიჩნევისათვის, რომ **ლაშა გაბადაძემ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა (საბა ჭელიძის ეპიზოდი)...** კერძოდ, **ლაშა გაბადაძემ** 2022 წლის 9 მარტს, მოკვლის განზრახვით, არაერთი გასროლა განახორციელა **საბა ჭელიძის** მიმართ ამ ეტაპზე დაუდგენელი 9 მმ კალიბრის მქონე ცეცხლსასროლი იარაღიდან. მანვე ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება... **გიორგი ხუციშვილმა** ასევე ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა **(ვაჩე ვაშაკიძის ეპიზოდი)...** გიორგი ხუციშვილმა 2022 წლის 9 მარტს, მოკვლის განზრახვით, 9X18 კალიბრის მქონე ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა **ვაჩე ვაშაკიძეს** და დაუზიანა სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ორგანოები, მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება. მანვე ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება... **ლაშა გაბადაძესა და გიორგი ხუციშვილს,** დანაშაულთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროთ 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა“.*

**— პროკურატურის მოთხოვნა — ბრალდებულებს 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა შეეფარდებოდათ, არც სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა?**

— სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ განზრახ მკვლელობის მცდელობა ჯგუფურად არ ყოფილა ჩადენილი. განაჩენში წერია, რომ ბრალდებულებს ინციდენტის დროს *„ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოეშვათ მკვლელობის განზრახვა“* და *„მხოლოდ ის ფაქტი, რომ ორივე მათგანმა სროლა მოკლე ინტერვალით განახორციელა, ვერ დაედება საფუძვლად მკვლელობის მცდელობის ჯგუფურად ჩადენის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს“.*

პროკურატურას სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უზენაეს სასამართლოში აქვს გასაჩივრებული და არ არის გამორიცხული, გაბადაძესა და ხუციშვილს სასჯელი კიდევ უფრო დაუმძიმდეთ.

და მაინც, საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ჩახნაშვილის** გადაწყვეტილებასთან შედარებით, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების — **კერატიშვილის, ლომიძისა და კაკაურიძის** მიერ გამოტანილი განაჩენი სამართლიანობის ზეიმია, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ!

**— თქვენი შვილი თუ იყო კმაყოფილი სააპელაციო სასამართლოს განაჩენით?**

— ვაჩე ამას ვერ მოესწრო, რადგან 2022 წლის 17 დეკემბერს გარდაიცვალა, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კი 2023 წლის 5 მაისს გამოვიდა. **ჩემი შვილი ისე ჩაწვა მიწაში, რომ ვერ ეღირსა, დამნაშავე კრიმინალებს მისთვის ბოდიში მაინც მოეხადათ ნასროლი ტყვიისა და სასამართლო პროცესზე მიყენებული შეურაცხყოფის გამო, არადა, მათგან მხოლოდ ამას ვითხოვდით!** მიუხედავად ამისა, მჯერა, მისი სული სამართლიანობას იმქვეყნად იზეიმებს და მოვა დრო, როცა ყველა დამნაშავეს ღვთის წინაშე მოეკითხება.

და კიდევ: გარდა იმისა, რომ მოსამართლე **ნინო ჩახნაშვილმა** თავისი უსამართლო განაჩენით შვილი მომიკლა, გადაწყვეტილების გამოქვეყნების კანონით დადგენილი ორკვირიანი ვადაც დაარღვია და 2022 წლის 1 დეკემბერს გამოტანილი განაჩენი 2023 წლის 27 იანვრამდე არ გამოაქვეყნა, თუმცა, გამოქვეყნების თარიღად 2022 წლის 15 დეკემბერი მიუთითა, რის გამოც **იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ვუჩივლე, მაგრამ ჩემი საჩივარი დღემდე არ განუხილავთ!**

**ბოლომდე ვიბრძოლებ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ჩახნაშვილს მოსამართლის მანტია აღარ ეცვას! მასთან მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს – რატომ დამისაჯე შვილი სიმართლისთვის? ასეთი გარეწრების ადგილი სასამართლოში აღარ უნდა იყოს, თორემ ჩემნაირად კიდევ ბევრ ოჯახს დაღუპავენ!**

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***

**„ბავშვი, რომელიც კრიმინალების ტყვიით სიკვდილს გადაურჩა, მოსამართლის მანტიაში გახვეულმა ბანდიტმა უსამართლო განაჩენით მომიკლა!“**





# ოსებმა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად დავით სოსლანი გამოაცხადეს!

***ერთი ძველი ანეკდოტია: ოსს რომ ეკითხებიან, თვალზე წამწამი გკიდია და წერილი გინდა თუ სიხარულიო და იმან — „პასილკაცაო“! მოკლედ, ოსებმა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის თაობაზე რომელიღაც იუმორისტულ ტელეშოუში კი არ ილღიცინეს, ცხინვალში ლამის მთელი სამეცნიერო კონფერენცია ჩაატარეს!***

ცხინვალური სააგენტოების ცნობით, გასულ ორშაბათს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **სურატ ჯიჯითის** წიგნის პრეზენტაცია გაიმართა — **„ვინ არის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილი ავტორი“?**

ამ თავყრილობაზე წამყვანმა, ცხინვალელმა ლიტერატორმა, ვინმე **აზიატ ნანიევამ** ისაუბრა წიგნის ავტორის ცხოვრების გზასა და მოღვაწეობაზე, წიგნის შექმნის ისტორიაზე, შემდეგ კი ეჭვშეუვალი სიმტკიცით ბრძანა: **„ამ წიგნის წყალობით, ზუსტად ვიცით, ვინ არის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. მე არ მინახავს უფრო ზუსტი მტკიცებულება!“**

ანუ, თუ წიგნის ავტორი სახელწოდებაში კითხვის ნიშნით ერთგვარ დრამატურგიულ ინტრიგას მაინც აგდებს, ვინ არის „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილი ავტორიო? — **ქალბატონმა ნანიევამ** ბეჭედი დასვა — **ამიერიდან ჩვენ ზუსტად ვიცით, ვინც დაწერა „ვეფხისტყაოსანი“ და ამას წყალი არ გაუვაო!**

შემდეგ გადმოცემულია ე.წ. „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ოსური ლიტერატურის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელის, პროფესორ **ჰაცირ პლიევის** განცხადება — **ეს წიგნი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ცნობაა და ეს თემაც კიდევ უფრო დეტალურ შესწავლას საჭიროებსო,** ანუ ამ მიმართულებით ცხინვალელი მკვლევრები კიდევ უფრო დიდი შემართებით გააგრძელებენ მუშაობას — საქმე ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიო ლიტერატურის შედევრის **„ოსურ კუთვნილებას“** ეხება!

რაც შეეხება ამ წიგნის ავტორს **სურათ ჯიჯითს,** მან ასეთი გულის გამგმირავი მტკიცებულება დადო ცხინვალურ შეკრებაზე: **„ჩემს შემოქმედებაში მინდოდა ხალხისთვის მეთქვა, რომ პოემა „ვეფხისტყაოსანი“ დავით სოსლანმა დაწერა სოფელ რუსთაუდან“.**

რა თქმა უნდა, აქ უამრავი კონტრმტკიცებულება შეიძლება მოვიყვანოთ ამ სისულელის გასანეიტრალებლად!

მაგალითად, ასეთი: **სად მესხი მელექსე და სად ალანთა უფლისწული დავით სოსლანი?!**

ანდა: **სოსლანმა რაღა ქართულად დაწერა „ვეფხისტყაოსანი“, ბარემ თავის მშობლიურ ოსურ ენაზე დაეწერა...** იმისა არ იყოს, სომეხმა **მესროპ მაშტოცმა** სომხურზე უკეთესი ანბანი ქართველებს რომ „შეუქმნა“! მაგრამ ამ ელემენტარული კონტრარგუმენტების მოყვანაც კი მეუხერხულება, იმდენად იდიოტურია მთელი ეს **„სოსლან-ვეფხისტყაოსნიადა“!**

გასაგებია, რომ ძალიან ღიმილის მომგვრელია, როგორ ცდილობენ ცხინვალელი ოსები კავკასიონის ქედგადმოღმა თავიანთი არარსებული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის შესახებ უპრიმიტიულესი ზღაპრების რეალობად გასაღებას, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი ზღაპრებით გაბერილ ცხინვალის რეგიონში მცხოვრებთ მტკიცედ სჯერათ, რომ ისინი შიდა ქართლის უძველეს ქართულ მიწაზე კი არა, **„ძირძველ ოსურ მიწაზე ცხოვრობენ“!**

და მერე რა, თუ ამ „მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის“ პირობებში მათ ერთი ტაძარიც არა აქვთ, თუნდაც ერთი ოსური წარწერით!

აგერ, ჩვენ თვალწინ აზერბაიჯანელებმა სააკაშვილის მიერ გაყიდული დავითგარეჯი **„აზერბაიჯანის ალბანური კულტურული მემკვიდრეობის“** ძეგლად გამოაცხადეს, ქართველ მღვდლებს სალოცავადაც აღარ უშვებენ და იქ ჯარიც კი ჩააყენეს!

აღარაფერს ვამბობ სომხეთის მიერ მიტაცებულ **ლორე-ტაშირის უძველეს ქართულ ტაძრებსა** თუ ჩვენი „ისტორიული მეგობრის“ — **თურქეთის მიერ წალეკილ ტაო-კლარჯეთის სიწმინდეებზე!**

იქით კიდევ აფსუები იჩემებენ აფხაზეთის სამეფოს მემკვიდრეობას და ტომი, რომელსაც მშობლიურ ენაზე ზღვის სახელად „ამორე“ აქვთ, ერთმანეთს აფხაზთა მეფის ლეონ მეორის სახელობის სახელმწიფო ორდენებს ურიგებენ...

**მოკლედ, ყველა მეზობელმა ვერაგულად რაღაც წაგვგლიჯა და წაგვლიტა! და ახლა ეს „რაღაც“ უკვე „ვეფხისტყაოსანია“!**

წერილიც, სიხარულიც და „პასილკაცა“!

***გიორგი გიგაური***





# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

## რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

**„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის ახლახან გამოცემული მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში და იმ პერიპეტიებს ეხება, რომლებმაც განსაზღვრეს კიდეც უმძიმესი დღევანდელობა.**



დასაწყისი იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21, 22-30




## გია ხუხაშვილი:

## ბიძინაში იმხელა ძალა, ენთუზიაზმი და ქვეყნისთვის უანგარო თავდადება დავინახე, რომ თანამებრძოლობაზე უარი ვერ ვუთხარი!




**გია ხუხაშვილი** თავის მემუარებში **ბადრი პატარკაციშვილისა და ზურაბ ჟვანიას** გარემოცვაში თავისი ყოფნის კვალდაკვალ **ბიძინა ივანიშვილთან** დაკავშირებული ამბების გახსენებაზე გადადის. იგი თხრობას 2011 წლის შემოდგომიდან იწყებს, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ სააკაშვილის რეჟიმთან საბრძოლველად პოლიტიკაში მოდიოდა:

***„პოლიტიკური ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება თითქმის მთლიანად გამოფიტული, დაცლილი იყო რესურსებისაგან. მაქსიმალურად იყო უზრუნველყოფილი ბიზნესის პოლიტიკური ლოიალურობა ხელისუფლების მიმართ და უმკაცრესად კონტროლდებოდა ფინანსური ნაკადები, რომ, ემანდ, ვინმეს ოპოზიციისკენ არ გაეხედა. სპეცსამსახურები, არათუ მიმდინარე, პოტენციურ რისკებს პრევენციულად აზღვევდნენ და აკონტროლებდნენ.***

*საზოგადოებაში, რომელსაც ეს ყველაფერი არ მოსწონდა, გამეფებული იყო შიშის, უნდობლობის, უპერსპექტივობის და უიმედობის განწყობა.* ***პროტესტი მთლიანად იყო „შეყუჟული სამზარეულოებში და იქაც კი ხშირ შემთხვევაში ჩურჩულით გამოიხატებოდა“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 134).*

**ხუხაშვილი** დეტალურად იხსენებს იმ დღეს, როდესაც ბიძინა **ივანიშვილის** მხრიდან მისადმი ინტერესის თაობაზე გაიგო:

***„რვა ოქტომბერს დამირეკა ნაცნობმა, რომელიც გამოირჩეოდა ხელისუფლების მიმართ აქტიური ოპონირებით და მითხრა, რომ სასწრაფო საქმე ჰქონდა ჩემთან, ოღონდ ტელეფონით ვერ მეტყოდა.*** *ვეცადე, თავი ამერიდებინა შეხვედრისთვის, რადგან ვიცოდი, რომ ეს შეხვედრა დამატებით კითხვებს გამოიწვევდა ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ იმდენად დაჟინებული თხოვნა იყო, უარი ველარ ვუთხარი.*

***შეხვედრაზე მითხრა, რომ მას დაუკავშირდნენ ბიძინა ივანიშვილის სახელით და სთხოვეს ჩემი ტელეფონის ნომერი. მე ვუთხარი, რომ პრობლემას ვერ ვხედავდი და შემეძლო მიმეცა“*** *(იქვე, გვ. 136).*

და იქვე **ხუხაშვილი** იხსენებს, იმ მომენტისათვის რას წარმოადგენდა მისთვის **ბიძინა ივანიშვილი:**

***„იმ დროისთვის ბიძინა ივანიშვილი ჩემთვის ისევე, როგორც პრაქტიკულად მთელი საქართველოსთვის, ერთგვარი მითოლოგიური ფიგურა იყო, რომლის სურათიც კი არ მქონდა ნანახი. თუმცა ყურმოკვრით ბევრი მსმენოდა მისი ქველმოქმედების, კეთილი საქმეების შესახებ.***

***მიუხედავად ამისა, ვხვდებოდი, რომ საუბარი პოლიტიკაზე იქნებოდა, რადგან სულ ორიოდე დღით ადრე მან გამოაქვეყნა მოკლე მიმართვა, სადაც უკვე იგრძნობოდა გარკვეული კრიტიკული ნოტები ხელისუფლების მისამართით. თუმცა რაც ამის შემდეგ მოხდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი...“*** *(იქვე, გვ. 136).*

ჰოდა, მეორე დღეს, ანუ 2011 წლის 9 ოქტომბერს, **ხუხაშვილი** სოლოლაკში მდებარე ივანიშვილის შუშებიან ბიზნესცენტრს მიადგა:

***„მეორე დღეს მივედი შეხვედრაზე. რადგან არ ვიცოდი საიდან უნდა შევსულიყავი, უკანა გასასვლელს მივადექი მანქანით. ჭიშკარი გაიღო და აღმოვჩნდი უკაცრიელ ეზოში. გავუყევი ბიზნესცენტრის შენობას შესასვლელის ძებნაში. თან თვალით ცოცხალ ადამიანს ვეძებდი, რომ გზა მიესწავლებინა. ასე მივადექი მთავარ შესასვლელს, რომლის წინაც შევამჩნიე ერთი, არცთუ გამორჩეული გარეგნობის ადამიანი... სანამ ვკითხავდი, თუ როგორ უნდა მოვხვედრილიყავი ბიძინა ივანიშვილთან, თვითონ გამომეხმაურა. შინაურულად, შენობით მომმართა. მივხვდი, რომ სწორედ ეს იყო ჩემი მასპინძელი...“*** *(იქვე, გვ. 137).*

დანამდვილებით ძნელია იმის თქმა, მართლა ვერ იცნო **ხუხაშვილმა** ბიძინა ივანიშვილი თუ, უბრალოდ, მარტივი დრამატურგიული ხრიკი იხმარა, აქაოდა, ვერ წარმომედგინა, რომ თვითონ დამხვდა შესასვლელთანო!

საინტერესოა, როგორ აღწერს მემუარისტი **ბიძინა ივანიშვილის** პირად კაბინეტს, რომელშიც მასპინძელი შეუძღვა:

***„შემიძღვა თავის კაბინეტში, მინიმალისტურად, მოკრძალებულად მოწყობილ მცირე ოთახში, რომელშიც, სამუშაო და მოლაპარაკებების მაგიდებისა და კარადის გარდა, პრაქტიკულად არაფერი იყო.***

***ყველაფერში იგრძნობოდა იდეალური წესრიგი. ერთი ფურცელიც კი არ იყო უადგილოდ მიგდებული. გარემო დაცლილი იყო ყოველგვარი პომპეზურობის, სიმდიდრისა და ძლევამოსილების დემონსტრირებისგან, რასაც ხშირად მიმართავენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი იმისთვის, რომ ხაზი გაუსვან საკუთარ სტატუსს“*** *(იქვე, გვ. 137).*

**ხუხაშვილის** გადმოცემით, ბიძინა ივანიშვილი თავიდანვე უშუალობით გამოირჩეოდა და ეს მისთვისაც გადამდები იყო:

***„საუბარმა თავიდანვე უშუალო, გახსნილი და შინაურული სახე მიიღო. მას საერთოდ აქვს უნარი, შეხვედრის დროს სრულიად უცხო ადამიანს მოუხსნას შინაგანი და გარეგანი ბარიერი და ურთიერთობის საკუთარი უშუალო, მე ვიტყოდი, უბრალო სტილით გაჟღინთოს დიალოგი. ეს იმდენად შეუმჩნევლად ხდება, რომ ნელ-ნელა, შენდა უნებურად, გიჩნდება განცდა და სურვილი, გადაეწყო არაფორმალური, ფამილიარული მიმართვის ტალღაზე, მიმართო ,,შენობით და მთლიანად გაიხსნა ისე, როგორც დიდი ხნის მეგობართან. თუმცა მერე ხვდები, რომ ის, მთელი საუბრის განმავლობაში, ინარჩუნებს ინიციატივას და აძლევს დიალოგს მისთვის სასურველ მიმართულებას“*** *(იქვე, გვ. 137).*

მოკლედ, **ბიძინა ივანიშვილმა** ხუხაშვილს უთხრა — ქვეყანაში ისეთი მძიმე ვითარებაა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და ამიტომაც მოვდივარ პოლიტიკაშიო:

***„მითხრა, რომ ეს გადაწყვეტილება ერთ დღეში არ მიუღია. და რომ რამდენიმე წელია, შეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა ხელისუფლებასთან. ჰქონდა იმედი, რომ რაღაც შეიცვლებოდა, მაგრამ, რადგან ვეღარ ხედავს ამის სხვა პოლიტიკურ რესურსს, გადაწყვიტა, თვითონ იკისროს ეს მისია — გააერთიანოს და სათავეში ჩაუდგეს „რეალურ ოპოზიციას“, შექმნას დიდი კოალიცია და მიიღოს მონაწილეობა 2012 წლის არჩევნებში“*** *(იქვე, გვ. 139).*

ხუხაშვილმა, რა თქმა უნდა, მოუწონა ეს გადაწყვეტილება, მეტიც, პირდაპირ უთხრა — თქვენი პოლიტიკაში გამოჩენა შესაძლოა, ერთადერთი შანსია ქვეყანაში სასიცოცხლოდ აუცილებელი ცვლილებების დასაწყებადო!

**ივანიშვილმა** ხუხაშვილს ისიც გაუმხილა, როგორ შეარჩია მომავალი მოკავშირეები ამ პოლიტიკური გაერთიანებისთვის:

***„ბიძინამ მითხრა, რომ ბოლო სამი თვე ინტენსიურად უყურებს ტელევიზორს, რათა გააკეთოს არჩევანი, თუ ვისთან და რა ფორმით შეიძლება თანამშრომლობა, რას წარმოადგენს ესა თუ ის პოლიტიკური ძალა, პიროვნება თუ მედიასაშუალება. ჩამოუყალიბდა გარკვეული წარმოდგენა ყველაზე და ყველაფერზე და მას გამიზიარებს. დაასრულა იმით, რომ მე გამომარჩია და აქვს სურვილი, ერთად დავიწყოთ ეს საქმე...“*** *(იქვე, გვ. 140).*

მემუარისტი იხსენებს, რომ, როდესაც ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე მიდიოდა, რა თქმა უნდა, ელოდა რაღაც ტიპის თანამშრომლობის შემოთავაზებას, მაგრამ ვერც კი წარმოიდგენდა ასეთ მკვეთრ და მკაფიო საუბარს:

***„იმ მომენტში მასში იმდენი ძალა, ენთუზიაზმი და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის უანგარო, გულწრფელი თავდადება დავინახე, რომ მეუხერხულა კიდეც მშრალი უარით შემოფარგვლა. ამ შემთხვევაში ჩემი უარი უკვე ნიშნავდა იმას, რომ მე ადამიანმა, ვინც წლები შევალიე უკეთესი მომავლისთვის რეჟიმთან ბრძოლას, კაპიტულაცია გამოვაცხადე ზუსტად მაშინ, როდესაც ამისთვის რეალური ბრძოლის დრო დადგა“*** *(იქვე, გვ. 140).*

მოკლედ, **ხუხაშვილმა** ივანიშვილს უთხრა — პოლიტიკურ პროცესებში პირდაპირ არ ჩავერთვები, მაგრამ კოალიციის ჩამოყალიბებაშიც და პროცესების მართვაშიც ყველანაირად გვერდში დაგიდგებიო!

**გიორგი გიგაური**

**გაგრძელება იქნება**

## კახა საბახტარიშვილი:

# ლეიკოპლაკიის შემთხვევათა 30 პროცენტი აუცილებლად გადაიზრდება პირის ღრუს სიმსივნეში!

## „შარდის ბუშტის კიბოს ხშირად სწორედ ლეიკოპლაკიის გადაგვარება ან პოლიპი იწვევს!“



***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი ფართო საზოგადოებისთვის უცნობი და ერთი შეხედვით უსაფრთხო პათოლოგიის — ლეიკოპლაკიის შესახებ გვესაუბრება და გვაფრთხილებს, რომ ეს დაავადება, რომელიც, ფაქტობრივად, უსიმპტომოდ ვითარდება, კიბოსკენ არის მიდრეკილი:***

— არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ კუჭ-ნაწლავის გამართული მუშაობა ადამიანის ჯანმრთელობის საწინდარია. ისიც გვითქვამს, რომ საჭმლის მომნელებელი სისტემა პირის ღრუდან იწყება. ამიტომ პირის ღრუს შიდა ლორწოვანი გარსის მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ადამიანის ორგანიზმში ლორწოვანი გარსი თითქმის ყველგან გვხვდება. ეს არის სპეციალური უჯრედების თხელი შრე, რომელიც გარემოსა და ორგანიზმს შორის ერთგვარი ბარიერის ფუნქციას ასრულებს და ბაქტერიების, ვირუსებისა თუ უცხო აგენტების შემოჭრისგან გვიცავს. **არცთუ იშვიათად, სხვადასხვა მიზეზის გამო, პირის ღრუსა და ენის ლორწოვანი გარსი ზიანდება და ვითარდება ანთება.** ეს მიზეზები შესაძლოა, იყოს მექანიკური — კარიესი და უხარისხო პლომბები, დაზიანებული კბილები, არასწორად ჩასმული პროთეზები და ისეთი მავნე ჩვევები, როგორიც არის ლოყის შიდა ზედაპირის ან ენის კვნეტა, ასევე — უხეში საკვები. მსგავსი დაზიანებების მიზეზი შესაძლოა, იყოს თერმულიც... დარწმუნებული ვარ, ბევრმა არ იცის, რომ სიგარეტის ყოველი ნაფაზის დარტყმისას პირის ღრუში მყისიერად რამდენიმე ასეულ გრადუსამდე ტემპერატურა იქმნება, რაც, მართალია, მხოლოდ წამის მეათედის განმავლობაში ნარჩუნდება, მაგრამ ხშირი მოწევის შემთხვევაში პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დამწვრობას მაინც იწვევს. მსგავსი რამ ხდება ზედმეტად ცხელი ჩაის, ყავისა და სხვა საკვების მიღების შემთხვევაშიც. ყველა ზემოხსენებული მიზეზის გამო პირის ღრუში ვითარდება ლორწოვანი გარსის ანთება და თუ ის ქრონიკულ ხასიათს მიიღებს, **ლოყის შიდა ზედაპირზე ან ენაზე შესაძლოა, გაჩნდეს გარქოვანებული უბნები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში თეთრი ფერისაა და ლეიკოპლაკია ეწოდება.**

**— ლეიკოპლაკია სიცოცხლისთვის საშიში პათოლოგიაა?**

— **ლეიკოპლაკია** ბერძნული სიტყვაა და **„თეთრ ლაქას“** ნიშნავს. უმეტეს შემთხვევაში ის სახიფათო არ არის და უკვალოდ ქრება, მაგრამ ზოგჯერ მიდრეკილია კიბოსკენ, რაც ადამიანის სიცოცხლეს ფატალურ საფრთხეს უქმნის. თავიდან ლეიკოპლაკია უსიმპტომოდ ვითარდება. პირის ღრუში ლორწოვანი გარსის გარქოვანებული და თეთრი უბანი პაციენტმა შესაძლოა, ვერც კი იგრძნოს და სრულიად შემთხვევით გაიგოს, რომ ლეიკოპლაკია აქვს. ამ დროს გარქოვანებული კერა ლორწოვან გარსს არ ცდება და არც სიმაღლეში იზრდება. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ადამიანი მის არსებობას ვერ გრძნობს, **მაგრამ, თუ პაციენტმა პირის ღრუში გაჩენილ თეთრ ლაქას ყურადღება არ მიაქცია და მექანიკური ან თერმული ზემოქმედებით მისი გაღიზიანება გაგრძელდა, მაშინ ეს ლაქა ზემოთ აიწევს და მისი დაწყლულების ან ეროზიის საფრთხე გაჩნდება.** ეს გამოიწვევს პირის ღრუში ნახეთქებსა და წყლულებს, რომლებიც ცუდად ხორცდება და ყოველი ჭამა თუ სმა უდიდეს ტანჯვასთან და ტკივილთან იქნება დაკავშირებული. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა პირის ღრუს ან ენის კიბო!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე,

### როგორც კი პირის ღრუში ან ენაზე თეთრ, გარქოვანებულ უბანს შევნიშნავთ, მაშინვე მივმართოთ არა სტომატოლოგს, არამედ ონკოლოგს!

გვახსოვდეს, რომ ამ თეთრმა ლაქამ დასაწყისში ტკივილი არ იცის, მაგრამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, ლეიკოპლაკიის შემთხვევათა 30 პროცენტი აუცილებლად გადაიზრდება პირის ღრუს სიმსივნეში! განსაკუთრებით უნდა გაფრთხილდნენ სიგარეტის მწეველები... **ვინც სიგარეტს 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეწევა, 90 პროცენტს ლეიკოპლაკია აქვს. საკმარისია, ასეთმა ადამიანმა მოწევას თავი გაანებოს, რომ, დიდი ალბათობით, ლეიკოპლაკია უკვალოდ გაქრება.**

**— ლეიკოპლაკია მხოლოდ პირის ღრუში ჩნდება?**

— რაკი ადამიანს ლორწოვანი გარსი ბევრგან აქვს, შესაბამისად, ლეიკოპლაკიაც ყველა ამ უბანზე შეიძლება გაჩნდეს! ვინც ბევრ სიგარეტს ეწევა და ალკოჰოლსაც ხშირად ღებულობს, ყელისა და საყლაპავი მილის შიდა ლორწოვანი გარსი უზიანდება. **სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ლოთებს ხმა ჩახლეჩილი აქვთ.** ნიკოტინი საყლაპავი მილისა და ყელის ლორწოვან გარსს რომ აზიანებს, ეს საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ როცა ნიკოტინს ზემოდან ემატება ალკოჰოლი, ეს დაზიანება ერთი ათად იზრდება. სუფრასთან ალკოჰოლის თანხლებით ერთი ღერი სიგარეტის მოწევა, თავისი მავნე შედეგებით, სუფთა ჰაერზე ნახევარი კოლოფი სიგარეტის მოწევას უტოლდება! შესაბამისად, ქეიფის დროს, სუფრასთან ორი ღერი სიგარეტის მოწევა სიფხიზლეში ერთი კოლოფი სიგარეტის მოწევას უდრის!**თუ ადამიანს ყელში ან საყლაპავ მილში ლეიკოპლაკია გაუჩნდა და სიგარეტისა და ალკოჰოლის ერთდროულად მიღება გააგრძელა, დროთა განმავლობაში დაეწყება ტკივილები, სისხლის ამოხველება, გაუჭირდება ცივი და ცხელი საკვების მიღება და ყველაფერი დამთავრდება იმით, რომ ლეიკოპლაკია გადაიზრდება ყელის ან საყლაპავი მილის კიბოში.!**



**— კიდევ რომელ ორგანოში შეიძლება წარმოიქმნას ლეიკოპლაკია?**

— ლეიკოპლაკიური უბნები ძალიან ხშირად ვითარდება შარდის ბუშტში. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ საშარდე გზებში არცთუ იშვიათად იჭრება ინფექცია. აქედან გამომდინარე, შარდის ბუშტის ქრონიკული ანთებითი პროცესი აზიანებს შარდის ბუშტის ლორწოვან გარსს და გარკვეულ ადგილებზე შესაძლოა, გარქოვანებული ლეიკოპლაკიური უბნები წარმოიქმნას. **თავიდან ეს პათოლოგია სრულიად უსიმპტომოდ მიმდინარეობს, მაგრამ შემდეგ ადამიანი უჩივის სისუსტეს, ადვილად დაღლას, ხშირ შარდვას, შარდის ბუშტის დაუცლელობის შეგრძნებას და შარდის ნაკადის შესუსტებას.** თუ ადამიანმა ამ ჩივილებს ყურადღება არ მიაქცია, შესაძლოა, მოგვიანებით განვითარდეს შარდვის დროს ძლიერი წვა, ხოლო შარდში გაჩნდეს სისხლის წვეთები. **დროულად ჩატარებული ანტიბიოტიკური და ჰომეოპათიური მკურნალობის შედეგად ეს სიმპტომები იხსნება და ლეიკოპლაკიაც ქრება, მაგრამ, თუ პაციენტმა დააგვიანა, დიდია იმის საფრთხე, რომ შარდის ბუშტში წარმოქმნილი ლეიკოპლაკია შარდის ბუშტის კიბოში გადაიზარდოს!** საერთოდ, ვიცოდეთ, რომ შარდის ბუშტის კიბოს ხშირად სწორედ ლეიკოპლაკიის გადაგვარება ან პოლიპი იწვევს!

**— ლეიკოპლაკია ქალებში უფრო გავრცელებულია თუ კაცებში?**

— ადრინდელი სტატისტიკით, ლეიკოპლაკიის შემთხვევათა 80 პროცენტი კაცებზე მოდოდა. ეს გასაგებიც იყო, რადგან ქეიფი და სიგარეტი მათი ცხოვრების წესი გახლდათ, მაგრამ დღეს, როცა ე.წ. გენდერულმა პოლიტიკამ მთელი მსოფლიო თავდაყირა დააყენა, ხოლო სიგარეტი და ალკოჰოლი ქალისთვის ჩვეულებრივი რამ გახდა, ლეიკოპლაკიის შემთხვევები ორივე სქესში თითქმის გათანაბრდა. საერთოდ, ქალებში ყველაზე ხშირად საშვილოსნოს ყელის ლეიკოპლაკია გვხვდება. ეს პათოლოგია დიდი ხნის განმავლობაში არ ვლინდება, მაგრამ, თუ ქალი ყურადღებით იქნება, ლეიკოპლაკიას მაინც აღმოაჩენს.

**— როგორ?**

— **თუ ქალს სექსის დროს ტკივილი აქვს ან ინტიმურ ადგილებში ქავილი და წვა აღენიშნება, აუცილებლად უნდა მიაკითხოს ონკოგინეკოლოგს.** უმრავლეს შემთხვევაში საშვილოსნოს ყელის ლეიკოპლაკიის მიზეზი **პაპილომავირუსია,** რომელიც უსათუოდ საშვილოსნოს ყელის კიბოში გადაიზრდება. ამ მომაკვდინებელი საფრთხის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება საშვილოსნოს ყელის პაპილომავირუსის ვაქცინაციაა. თუ სქესობრივი ცხოვრების დაწყებამდე ქალი ამ ვაქცინაციას ჩაიტარებს, მაშინ ის პაპილომავირუსისგან და, შესაბამისად, საშვილოსნოს ყელის ლეიკოპლაკიისა და კიბოსგან ასი პროცენტით იქნება დაცული! ამიტომაც მივმართავ მშობლებს და განსაკუთრებით დედებს:

### როგორც კი თქვენი გოგონა 12-13 წლის გახდება, აუცილებლად აცერით პაპილომავირუსზე!

ამერიკის შეერთებულ შტატებში პაპილომავირუსზე გოგონებს კი არა, ბიჭებსაც კი ცრიან, რადგან იგი, როგორც წესი, სქესობრივი გზითაც გადადის! სანამ აცრას გამოიგონებდნენ, მედიცინაში წარმატებით იყენებდნენ ჰომეოპათიურ **„ტუიასა“ და „აციდუმ ნიტრიკუმს“.** ამ პრეპარატების მეშვეობით არამარტო პოლიპები, არამედ პაპილომავირუსიც დამიმარცხებია. რაც შეეხება პირის ღრუს ლეიკოპლაკიურ უბნებს, მის წინააღმდეგაც არსებობს ძალიან ეფექტური ჰომეოპათიური პრეპარატი, რომელიც სამიოთხი თვის განმავლობაში პაციენტს სრულად განკურნავს. სხვათაშორის, ამ ჰომეოპათიური პრეპარატის ლეიკოპლაკიის წინააღმდეგ გამოყენების შესახებ ინფორმაცია ჩემთვის ცნობილი გახდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრ **ნარენდრა მოდის** პირადი ჰომეოპათის სამეცნიერო შრომებიდან. ცნობისათვის, ინდოეთი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ჯანდაცვის სამინისტროს პარალელურად შეიქმნა ინდური, ანუ აიურვედური იოგასა და ჰომეოპათიური მედიცინის სამინისტრო. სწორედ ამ სამინისტროს დამსახურებაა, რომ თითქმის 1,5-მილიარდიან ინდოეთში, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკიდურეს სიღატაკესა და არაჰიგიენურ პირობებში ცხოვრობს, პრაქტიკულად გამქრალია უმძიმესი ეპიდემიები — ქოლერა, ტიფი, დიზენტერია და ა.შ.

**— რით ვუმკურნალოთ ლეიკოპლაკიას?**

— **პირველ რიგში, უნდა მოხდეს ლეიკოპლაკიური უბნის ბიოფსიური შესწავლა და ონკოლოგმა გაარკვიოს, ფიქსირდება თუ არა უბანზე ატიპური, ანუ კიბოს უჯრედები.** მათი არსებობის შემთხვევაში სახეზეა კიბოს საწყისი სტადია და ეს უბანი დაუყოვნებლივ უნდა მოშორდეს, რაც ხდება შემდეგი მეთოდებით: **ელექტროკოაგულაციით, ქიმიური კოაგულაციით, კრიოდესტრუქციით,** ანუ სიცივის გამოყენებით, **ლაზეროთერაპიით და რადიოტალღური თერაპიით,** სადაც მაღალი სიხშირის ელექტრული ტალღები გამოიყენება და ლეიკოპლაკიური უბნები უმტკივნეულოდ, უსისხლოდ და უკვალოდ რამდენიმე წუთის განმავლობაში ქრება.

გვახსოვდეს — ლორწოვან გარსზე არანაირი უხეში და გარქოვანებული უბანი არ უნდა ფიქსირდებოდეს. გარქოვანება იმას ნიშნავს, რომ რაღაც კერაზე ძველი უჯრედები არ იშლება და ახლის განვითარებას ხელს უშლის. ეს ერთი პრობლემაა, მაგრამ მეორე და ყველაზე საშიში პრობლემა ის გახლავთ, რომ, როგორც წესი, კიბოს უჯრედები არამარტო გადაგვარებული, არამედ ძველი უჯრედებისგანაც წარმოიქმნება. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ხანდაზმულ ადამიანებს კიბო ბევრად უფრო ხშირად ემართებათ, ვიდრე ახალგაზრდებს! ამდენად, რაც მეტი ახალგაზრდა უჯრედი გვექნება, კიბო მით უფრო ნაკლებად დაგვემართება!

**— ამ შედეგს როგორ უნდა მივაღწიოთ?**

— ძველ საბერძნეთში წესად ჰქონდათ ჭამის შემდეგ მარილის მცირე მწიკვის წუწნა. ასეთი რჩევა ძველ ქართულ სამედიცინო ტრაქტატებშიც გვხვდება. მეთოდი შემდეგში მდგომარეობს: **საკვების მიღებიდან 30 წუთის შემდეგ ენის წვერზე უნდა დავიყაროთ დაახლოებით 1 გრამი მარილი, გავაჩეროთ რამდენიმე წუთით და შემდეგ მარილიანი ნერწყვი გადმოვაფურთხოთ.** მარილის ასეთი მცირე რაოდენობა ორგანიზმზე ვერანაირ მავნე გავლენას ვერ მოახდენს, მაგრამ ამ პროცედურის შედეგად კუჭის წვენი რეფლექსურად გამოიყოფა, მოხვდება სისხლში და დაშლის არამარტო ძველ და დაუძლურებულ, არამედ ნიტრატებით, კიბოს გამომწვევი ნივთიერებებით და რადიაქტიური ნაერთებით სავსე უჯრედებს. რაც მთავარია, ეს ყველაფერი აბსოლუტურად არ იმოქმედებს ახალგაზრდა, ჯანმრთელ უჯრედებზე.

დღის განმავლობაში რამდენჯერაც შევჭამთ, ეს პროცედურა იმდენჯერ უნდა გავიმეოროთ! მარილი, რომელიც მავნეა, ამ გზით ორგანიზმში თითქმის არ მოხვდება, მაგრამ კუჭის წვენის სეკრეციას გაზრდის, რაც მოხუცებში ყოველთვის პრობლემაა. **კიბოსგან თავის დასაცავად ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური და მარტივი გზა სწორედ ეს არის!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „ქეიფის დროს სუფრასთან ორი ღერი სიგარეტის მოწევა სიფხიზლეში ერთი კოლოფი სიგარეტის მოწევას უდრის!“

ცნობილი ჟურნალისტი **გელა ზედელაშვილი** თავის ახალ რუბრიკაში ჩვეული ოსტატობით ა**ნაც**დგურებს მათ, ვინც **ნაც**რად ქცეული **ნაც**ების **ნაც**ადი და კარგად **ნაც**ნობი ხერხებით ცდილობს, დამალოს **ნაც**ხროვის **ნაც**ოდვილარი და **ნაც**მაცუნების უკურნებელი **ნაც**ირლობა.

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად





## ანგარიშვალდებული არა ვარო!

ვიფიქრე, სანამ მისი რაღაცნაირი პრესკონფერენციის „სიდიადეს“ არ ჩავწვდები, არაფერს ვიტყვი-მეთქი. ვნახე, გავისიგრძეგანე, აწონვაც ვცადე, ჩაწვდომაც, მაგრამ ჭკუის სასწავლი და სასარგებლო ვერაფერი გამოვიტანე. პირიქით, დავიბენი და გაღიზიანებულმა საკუთარ თავს არაერთხელ ვკითხე: **რათა, შვილო, რათა?!** რად გექცევა ბედი ეგრენაირად, რო ერთი ნორმალური „პღეზიდანი“ აღარ გეღირსა?

☺

მოკლედ, როგორი „ორიგინალური“ „პღეზიდანიც“ გვყავს, ისეთივე „ორიგინალური“ პრესკონფერენცია მოაწყო — ზოგი სცენაზე აიყვანა და იქ აბჟუტურა (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა), ზოგი კიდე ქვემოდან ალაპარაკა.

☺

**ამ ქალისა და ზოგიერთი ე.წ. ჟურნალისტი ქალის მარტო ყურება კი არა, მოსმენაც შეუძლებელია... თუ მაინც თავს გადადებ და მოსმენას დაიწყებ, 6 წუთის შემდეგ გეწყება ტვინის ტკივილი... 12 წუთის შემდეგ კი ვეღარ ხვდები, ეს მოჭერითი ტკივილია, შაკიკური შემოტევა თუ კლასტერული მოვლენა...** თუმცა, გამორთავ თუ არა ამ სიბოროტეს, ყველაფერი თავის ადგილზე დგება — აღარც ტკივილი, აღარც არაფერი და ცხოვრება კვლავაც მშვენიერია!

☺

დაწვრილებით ვერ მოგიყვებით, რაც ამან იკადრა... **ხან ბიძინა ივანიშვილს გაჰკრა კბილი, ხან — მთავრობას, ხან — მთავრობის მეთაურს, ხან — პარლამენტს და ბოლოს დაასკვნა — მე არავისთან ანგარიშვალდებული არ გახლავართო!**

დიახ, სწორედაც ასე ბრძანა, **არავისთან ანგარიშვალდებული არა ვარო...** გამოდის, არც ქართველ ხალხთანო... რეზიდენციასთან 100 კაცი რო მომივარდება ხოლმე, ეგ არაფერია, ეგ არ არი ქართველი ხალხიო... ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა ჩემ უკან დგასო...

☺

წარმოგიდგენიათ? — „პღეზიდანი“ აცხადებს, **არავისთან არა ვარ ანგარიშვალდებულიო.**

**ისე, პრინციპისა და პროტოკოლის ამბავია, თორემ ამისი ან ანგარიშვალდებულება ვის რაში სჭირდება, ან კიდე ჩიქორთული აზრები?**

## მილიონის დარდი

ეს განიერი გუბაზა ხო სუ გვეჩხუბება... გუშინაც დაგვყვირა: **უკრაინას ტრილიონ 200 მილიარდ დოლარს აძლევენ და ჩვენ კიდე ამ დროს ბამბას ვარჩევთ, რუსეთს ვუძვრებითო.**

ჰო, ტრილიონ 200 მილიარდი დოლარიო — იძახის განიერი გუბაზი და ეს კიდე, მარჯვნივ რო უზის, თავს უქიცინებს — მაშ, მაშ, სწორედაც რო ეგრეაო.

☺

რა ტრილიონ 200 მილიარდი, ბიჭო?

აშშ-ის მთელი ბიუჯეტი არის ტრილიონ 700 მილიარდი დოლარი!

გამოდიან ეს ევროპიელი თუ აშშ-ელი ჩინოვნიკები და იძახიან, 4 მილიარდსა და 14 ტანკზე მოვილაპარაკეთო, ხან — 22 ტანკზეო, ხან — 25-ზეო!

☺

**თქვე ჩვენისებო,** გინდათ — ტრილიონ 200 მილიარდი იყოს და გინდათ — 200 კვინტილიონი, განა სიცოცხლის ფასადა ღირს?

**როგორც ჩანს, განიერ გუბაზს თავისი მილიონის დარდი აქვს!**

☺

იცოდეთ, მერე გვიანი იქნებაო... მერე სიებს მოითხოვენ, ვინ თანამშრომლობდა რუსეთთანო... ჰოდა, ჩვენ არაფერი შეგვხვდებაო.

გეყურებათ?

სუ არაფერიიო!




## ნეკნებიც ხშირად დაუთვალეთ ხოლმე!

თუ ამის მოსუქებას ელოდებით, სათუოდ მეჩვენება მაი ამბავი, გიულდედულის დიეტით აეგრე დარჩება სასჯელის ამოწურვამდე და „ვივამედიდან“ პირდაპირ სახლში წავა!

არადა, მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, ვინმეს ისე მოეხადოს ციხე, კუტუსკაში საერთოდ არ იყოს ნაჯდომი... ისე კი, **ნეკნებიც ხშირად დაუთვალეთ ხოლმე, ემანდ არ გამაიძროს, კალმად არ იხმაროს, ახალი მემუარების წერა არ დაიწყოს.** ჰო, კიდევ 2004-ში პრეზიდენტად რომ დაიწყო მუშაობა, სახელმწიფო უწყებებში ჟურნალ-გაზეთების გამოწერა აკრძალა... შესაბამისად, რასაკვირველია, კითხვაც აკრძალა.

გამოვიდა და პირდაპირ განაცხადა, გაზეთები არ წაიკითხოთ, მანდ ცუდი რაღაცები წერიაო.

დაუჯერეს, მას მერე ნაცები, გნაცები, შმაცები და მათთან გათანაბრებული პირები ჟურნალ-გაზეთებს აღარ კითხულობენ.

მარტო ჟურნალ-გაზეთებს? აღარც წიგნებს!

ეს ჩემის კირაკოსიანი დროზე გადაიყვანეთ ზონაში, ნუთუ ვადა ისე უნდა ამოუწუროთ, რომ ციხეში ვერ იჯდეს? ხო უნდა თქვას — **ვიჯექი, საქმეებსაც ვარჩევდი და სიტუაციებსაც ვაყომარებდიო...** ამისი ზნე და ჩვეულება არ იცით? ისეთებს დაიბრალებს, კანონიერ ქურდებსაც შეშურდებათ!

## ლადარია, მგონი, ლატარიაში გვერგო!

Nodar Ladaria
1h ·

ინგლისური ენა საყოველთაო აუცილებლობაა. მასთან ერთად ადამიანს ყოველთვის სჭირდება კიდევ ერთი რომელიმე ენა...

არ მომთხოვოთ ამის დასაბუთება, მაგრამ მაქვს მყარი შეგრძნება, რომ მომავალში ასეთ ენად იქცევა უკრაინული.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის ბოლოს მითხრა ჩემმა გუმანმა, რომე **ნოდარ ლადარიას** თავის ქალა შიგნიდან ეფხანებაო და აჰა... აეგრე აგიხდეთ ყველაფერი კარგი.

ესე იგი, ამისი ნაფხანი ჭკუით, ადამიანმა ინგლისური უნდა იცოდეს, მაგრამ კიდევ საჭიროა ერთი საერთაშორისო ენა და ეს აუცილებლად იქნება **უკრაინული.**

დიახ!

არც ფრანგული, არც ესპანური, არც იტალიური, **მხოლოდ და მხოლოდ უკრაინული...** ოღონდ ეს **უკრაინული** უკრაინის გარდა კიდე სად უნდა გამოვიყენოთ, ლადარია არ გვეუბნება!

☺

იცით, რა მაინტერესებს?

**ადამიანს, რომელსაც თავის ქალა შიგნიდან ეფხანება და ორგანიზმში ასეთი ალიაქოთი აქვს, სტუდენტებთან მიიშვება?**

**არადა, იგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორობს და ბავშვებს ამახინჯებს!**

ეგეც საინტერესოა, ყველა დარტყმული და ყველა ავადმყოფი ე.წ. პროფესორი ილიას უნივერსიტეტში რატომ არის თავმოყრილი? ყველა, ვინც კი დედამ, ბებიამ და მეზობელმა დაწყევლა, იქ რატომ იღებს ხელფასს ჩვენი ბიუჯეტიდან?!

ნეტავ ამაზე იქ, ზემოთ, განათლების სამინისტროში, არავინ დაფიქრებულა?





## კამოს ბარე ათ შთამომავალს დააძლოზდნენ ესენი!



ირაკლი კობახიძემ 12-პუნქტიანი დავალების შესრულების თაობაზე პრესკონფერენცია გამართა, თითქმის მთელი დრო ევროპიელი პენსიონერების ფულით დაფინანსებულმა და კეზერაშვილის დაგეშილმა ქალებმა წაიღეს.

☺

**არავითარი ზრდილობა!**

**არავითარი შეგნება!**

**არავითარი კოლეგიალობა, რომ სხვამაც დასვას შეკითხვა!**

**არავითარი პროფესიონალიზმი, მხოლოდ დილეტანტიზმი და პარტიული მიდგომა!**

**არავითარი თავმდაბლობა!**

**არავითარი აზროვნება!**

☺

ირაკლი კობახიძის შეკითხვა: **თქვენ არ გაქვთ მორალური დისკომფორტი, რომ კეზერაშვილის ტელევიზიაში მუშაობთ?!**

პასუხი: **რა შუაშია კეზერაშვილი 12-პუნქტიან გეგმასთან?!**

☺

მართლა არ აწუხებთ, რომ ყაჩაღ კეზერაშვილს ემსახურებიან და თან ევროპიულს აწვებიან?! პირიქით, სიამოვნებისაგან ჟრუანტელი უვლით... თან იძახიან, კრიტიკული მედია ვართო! მედიები კი არა, უფრო უბორნიები არიან! იმდენი ფეკალი გადმოსდით, კამოს ბარე 10 შთამომავალს დააძლოზდნენ!

☺

დააკვირდით, სიცილიც კი რაღაცნაირი იციან — ხელოვნურად დაყენებული და ბოღმიანი... აი, ისე, ადამიანს გულში ბაღლამი რომ უტრიალებს და ფასონად მაინც იცინის ხოლმე.

ესენიც ეგრე არიან, გულღვიძლი ბოღმით აქვთ გამოჭმული და ფასონად მაინც იცინიან — გვაჩვენებენ, ძაან მხიარულად ვართ, თავებსაც კარგადა ვგრძნობთო!

☺

ჟურნალისტები არა, შემწვარი ჭირტალი, ესენი დაქირავებული ქოფაკები არიან!

# დედულის უთხარი - არაჟანი მოგიტანოს!

ვიცი, ახლა შენი გული რამდენიმე ნაწილად არის გაგლეჯილი. ერთი ნაწილი **პოლანდიაში** გდია, მეორე — **შიდა ქართლში,** მესამე — **სოლოლაკში,** მეოთხე — **ავლაბარში,** მეხუთე — **აჭარაში,** მეექვსე — **კანადაში,** მეშვიდე — **ოირდანიაში,** მერვე — **ჩუღურეთში,** მეცხრე — **უკრაინაში.**

რომელი ერთი ჩამოვთვალო, ბიჭო?



**გახსოვს, ბათუმში ერთ-ერთ მათგანს ძუძუ რო მოაჭამე და ქვეყნის მასხარად იქეც?**

როცა პრესაში დავწერე — **მიხომ ქალს ძუძუ მააჭამეთქო** — იმ ძუძუმოჭმული ქალის ბიძამ დამირეკა და კინაღამ ჯვარს მაცვა. **ეგე, ეხლა კიდე გაირკვა, რომ მართლა მოგიჭამნია და ფაქიზი გრძნობებიც გაგჩენია.** ზიხარ და ცრემლი ჩამოგდის, მენატრებაო, ჩემი დიდი სიყვარული მაგას ეძღვნებაო, მეტი არავისო.

☺

ეგრეც არ შეიძლება... **თუ გინდა, რო ცოლებთან ქცევის წესები ისწავლო, თურქულ სერიალებს უყურე. აი, მაგათ იციან, ცოლები რიგრიგობით როგორ დაახარისხონ და ვისთან როდის დაწვნენ.**

☺

ან ის თუ გახსოვს, ბობოყვათის რეზიდენციაში რეებსა სჩადიოდი? შენი შიშით დაბლა ქალები ვერ დადიოდნენ, მაღლა კიდე... თვითმფრინავში იგივე ქალები ვერა სხდებოდნენ. ყველას ჰქონდა შეგრძნება, რო დაბლა თუ არა, მაღლა მაინც მოიმასქნებდი.

**ისე კი, ვისაც მაღლა გადეეყარე, ყველანი მინისტრებად დანიშნე, ვისაც დაბლა შეეჩეხე — განყოფილებების გამგეებად გამწესე, ზოგი შინაურობაში გაათხოვე, ზოგს ბინები აჩუქე, ზოგს ცხოვრება მოუწყე...** ამიტომაც არი, რო დღემდე მოგჯღავიან!

☺

**მიხო, შე ჩათლახო!**

**რო იძახი, პოლიტიკაში მოვდივარო... თუ მოვედიო, რა გინდა ამ ბინძურ პოლიტიკაში?**

**იწექი მანდა... თავი მაიმკვდარუნე, 3-4 წელი ისე გაირბენს, ვერც კი გაიგებ... თუ რამე დაგიმატეს ან ზონაში გადაიყვანეს, არც მაგაზე იდარდო... იყავ და აკეთე ბალღები.**

კიდე კარგი, ამ ხელისუფლებამ ციხეები სანატორიუმებად აქცია, თორემ რა გეშველებოდა? დილა-საღამოს ლაჟზე აგხვედნენ ან დუბინკით ჩაგხვედნენ!

შენ კიდე წამოწოლილხარ და თან უკმაყოფილებას გამოთქვამ — მაწამებენ, მცემენ, მეტი აღარ შემიძლიაო...

გიჯობს — დედულის უთხარი, უკეთესი საჭმელები მოგიტანოს, უფრო არაჟანი, ერექციის ამაღლებს!



## ეს კაბა და ყელზე შემოხვეული პუჭპუჭები საქორწინოდ წავა?

**თქვენ რას გრძნობთ, არ ვიცი, მე კი გაოცებული ვარ:** რა სიამაყე, ორბისებური მზერა, ლერწამივით მიხვრა და მოხვრა... რამდენი გრაციოზულობა, მოხდენილობა, ელეგანტურობა, გრავიტაციულობა, ფუნდამენტურობა, ელექტრომაგნიტურობა, ენერგიულობა, იმპულსურობა, უწყვეტობა, კონცენტრაციულობა, სისტემურობა, კვანტურობა, ფარდობითობა... **ავაშმეეეე, რომელი ერთი ღირსება და დადებითობა ჩამოვთვალო?**

როგორი თვალ-მარგალიტი, ზურმუხტი, გიშერი და ბაჯაღლოულობა... შუშერული სტილის სამკაულები, რუბი, საფირონი, ალმასი, ბრილიანტი, ამეთვისტო, ლალი, ფირუზი და, ვინ მოსთვლის, კიდე რამდენი ძვირფასეულობა მიმოჰფენია მის მკლავ-ყელ-ყურ-მკერდსა.

☺

არა, მართლა გულწრფელად მაინტერესებს — ეს კაბა და ყელზე შემოხვეული პუჭპუჭები საქორწინოდ წავა?

არ მოგერიდოთ... პირდაპირა თქვით!




## მამის გული

თურმე, შესაძლებელი ყოფილა, ადამიანი **მამადაც** გეკუთვნოდეს, **ძმისწულადაც** და **ბიძაშვილადაც დედის მხრიდან!**

☺

ეს მამა, ძმისწული თუ ბიძაშვილი დედის მხრიდან გუშინ ჰუტაანთ უბორნიაში მიუწვევიათ სალაქლაქოდ და ამანაც ილაქლაქა — გადით ქალაქში, კარგად შეიყნოსეთ, ირგვლივ დენთის სუნი ტრიალებსო... თანაც საზოგადოება აღშფოთებულია, მესამე პრეზიდენტს სულს რო ხდიანო.

ყურებს არ დავუჯერე — რა დენთი, რი საფანტი, რომელი ატმი კურკა? გადავახვიე, ისევ ეგრე თქვა — ქალაქში დენთის სუნი დგასო.

**იცით, რატომ ვართ ჩვენ ამ წუთას მიჩმორებულ მდგომარეობაშიო?** — ეკითხება **ეკა მიშველაძეს ჩალაძე,** ანუ სააკაშვილის მამაც, ძმისწულიც და მამიდაშვილიც დედის მხრიდან.

**რატომო?** — ჩაეკითხა ეკა და შეჰყარა წარბები კავკასიონის ქედებივით.

**იმიტომაო, რომეო...** ბოლო ნაპერწკალი ჯერ არ ანთებულაო... იცოდეთ, მალე აინთება და მე მეშინია, სიტუაცია კონტროლიდან არ გავიდესო. არა, ნუ... **მამის გული მაინც სუ სხვა არი, წინასწარ გრძნობს და განიცდის არასახარბიელო მოვლენების განვითარებას!**



## ჩარუმ-ჩათლახი

კაცი ომშია და მაგაზე ისეთი არაფერი თქვაო! ჯერ ერთი, ეს კაცი არ არი და, მეორეც, ომში არ იყო, მაგრამ მაინც ჩათლახურად იქცეოდა — მოსკოვში სცენაზე ტატრაყუნა დატანტალებდა და თან დაგვცინოდა, ლამის მთელ რუსეთს ჩვენზე ახარხარებდა! იცით, ამასთან და ამისთანებთან როდის უნდა გაგვეწყვიტა ყველანაირი ურთიერთობა? როცა **დამპალ სააკაშვილს,** პუტინის დავალებით, უკრაინის მოქალაქეობა აღუდგინა და „პამოშნიკად“ დაისვა! უფრო მეტიც, აქედან გახვეტილი ნაგავი გულზე აიტატა და ზოგიერთი კრიმინალი გვერდითაც მოილაგა!

☺

ჯერ იყო, ელჩი გაიწვია... **იგორ დოლგოვი** ცოტა ნორმალური ჩანდა, ალბათ, უკადრებელი ვერ იკადრა და მის ნაცვლად, **მაწაუკი კასიანოვი** დაგვიტოვა.

წამოვიდა და წამოვიდა ომის დაწყების შემდეგ პრეტენზიები... მიუხედავად იმისა, რომ ჰუმანიტარული დახმარებების მხრივ მთელ მსოფლიოში პირველი ადგილი დავიკავეთ, მაგათი გული მაინც ვერ მოვიგეთ.

თავიდან პირდაპირ თქმას ვერ ბედავდნენ — თქვენი ჰუმანიტარული დახმარება ფეხებზე გვკიდია, ჩვენ მეორე ფრონტის გახსნას ველოდებითო... თუმცა, მოგვიანებით კამპანია გაგვიჩაღეს — **სისხლი დაღვარეთ, რუსეთი შეაწუხეთ, მარტო ჩვენი ბავშვები და მოხუცები ხომ არ უნდა იხოცებოდნენ, დროა, აფხაზეთსა და ცხინვალში გაისეირნოთო!**

ბოლოს ერთი გაქსუებული გამოჩხრიკეს, **ვინმე არახამია,** რომელსაც ყველას დასანქცირება დაავალეს, ვინც კი ომზე უარი თქვა. იბოდიალა ამ გაქსუებულმა ოკეანის გაღმა, **ხატია დეკანოიძესთან** შეთანხმებული სიები ატარა, ყურადღება არავინ მიაქცია და ბოლოს ჭორები დაყარა, **საქართველოში პრემიერ-მინისტრად მოვდივარო.** ეს იყო არიფებზე გათვლილი ჭორი.

ჰა, ჰა, ჰა! სად მოდიხარ, შეჩემა, ვისთან მიდიხარ, ეს სახელმწიფოა თუ „პრახადნოი დვორი“, ვინ გიშვებს?!

☺

რაღა დაგიმალოთ და... ჩვენს ქვეყანაში ძვირადღირებული ჯიპებით შემოსული უკრაინელებიც მაგარი უმადურები აღმოჩნდნენ! მერე დეზერტირები ისე გაბრიყვდნენ, „ნაციონალების“ მიტინგებზეც კი დაიწყეს სიარული.

ყველაფერს თავი დავანებოთ, ერთი მადლობა არავის დასცდენია, უკრაინელობა დიდ პატივად გაიხადეს და აქეთ დაიწყეს პრეტენზიების წამოყენება — ამ ომში რატომ არ მონაწილეობთო.

**რუსი?!**

**ველარ გავიგე, პუტინს გამოქცეული რუსი უფრო სანდოა თუ დეზერტირად ჩამოხეტებული უკრაინელი?** არ ვგულისხმობ ბავშვებსა და მოხუცებს, მე ვლაპარაკობ კუნთმაგარ ბიჭებზე, შავ-შავი ჯიპებით რომ დათარეშობენ!

☺

ბიძინა ივანიშვილი, ფაქტობრივად, დაასანქცირეს, საკუთარი ანგარიშები გაუყინეს, ათასნაირი ბინძური ჭორი აუგორეს, სადღა არ უჩივლეს და მაინც ვერ გადაიბირეს, მეორე ფრონტი ვერ გაახსნევინეს. წარმოგიდგენიათ, როგორი ნერვები და გამძლეობა უნდა გქონდეს, რომ ამდენ შემოტევას გაუძლო?!

☺

**მისაფურთხებელმა ვოლოდიმირმა** ჩვენი ელჩი უკრაინიდან გამოაძევა, 48 საათი მისცა და თან სააკაშვილის თავი მოითხოვა. არადა, ეგ ჩარუმ-ჩათლახი ვერც სააკაშვილს წაიყვანს აქედან, ვერც მეორე ფრონტს გაგვახსნევინებს რუსეთის მიმართულებით, ვერც სანქციებს დაგვაწესებინებს რუსეთში მცხოვრები მილიონი ქართველისთვის, ვერც საკუთარ ქვეყანას აგვარევინებს.

☺

ისე კი, მაინტერესებს, **ჩარუმ-ჩათლახი** დეფისით იწერება თუ ერთი სიტყვაა?




## ქართველი პო-დოლ-იაკები

**უყურებთ ამათ სიმტკიცეს, სიმხნევესა და შეუპოვრობას?**
**ხედავთ, როგორა დგანან ლომთა ბოკვრებივით?**
**ფეხები თუ არ დადგი მხრების სიგანეზე,**
**მრისხანება თუ არ გამოსჭვივის შენი**
**გამომეტყველებიდან და „საროჩკაც“**
**თუ არ შემოიფლითე, რაა მამული?!**

☺

**ვერ შეაჩერებთ!**

ოდეს ყოფილა დედამიწის ზურგზე, მრისხანე რაინდები ქვებით, კვერცხებით, პომიდვრებით, აგურებითა და კიტრებით შეეჩერებინოთ?
**რამდენჯერაც კიტრს ესვრით, იმდენჯერ გაჯიქდებიან, იმდენჯერ ჟინი მოერევათ და პენსიონერებს 400 ლარის ნაცვლად 500 ლარს დაჰპირდებიან.**

☺

ისე კი, გამიგონია, ცემა-ტყეპამაც მიჩვევა იცის, დროთა განმავლობაში კანი სქელდება, მერე რომ გადააძრო და უფრო სასარგებლო საქმეში გამოიყენო. როგორც ექსპერტები ამბობენ, **კურკუმალ** ხაბელიტოს ტყავი უკვე სადოლედ არი გამზადებული და არც იქაურ პო-**დოლ**-იაკს ეჭყანება მომავალი!

# შეთქმულება მიტროპოლიტის წინააღმდეგ?

# „თაგვის წამლით“ პატრიარქებსაც კლავდნენ!“

*დასაწყისი მე-4–5 გვერდებზე*

**თვა-გამგეობის შესახებ მიღებული დადგენილება და არ აღდგება ავტოკეფალიის უდიდესი მონაპოვარი — საკათალიკოსო საბჭო.** წინამორბედი პატრიარქებიც სარგებლობდნენ ერთპიროვნული მართვის უფლებით, მაგრამ არცერთ მათგანს ეს ეკლესიისა და სამღვდელოების ინტერესების წინააღმდეგ არ გამოუყენებია. როცა **დავით მეხუთეს** ჰკითხეს — ხომ არ მოგაცილოთ კერატიშვილი? — უპასუხებია: **ეშმაკია თქვენში შესული და გამეცალეთო!**

დიახაც — **დასმენა, ბეზღება, ცრუმოწმეობა და უდანაშაულო ადამიანის ციხეში გამომწყვდევა ეშმაკის მანქანებაა, სხვა არაფერი!!!**

### მართალია, მტრებმა არ მომცეს ეკლესიაში დიდხანს მოღვაწეობის საშუალება და ყველაზე საუკეთესო წლები ციხეში გამატარებინეს, მაგრამ იმ მძიმე და გაუსაძლის პერიოდში მე მაინც შევძელი, ვყოფილიყავი ნეტარხსენებული პატრიარქების გვერდით დიდ და ეროვნულ საქმეში.

**მე მძიმედ განვიცდი, რომ იმთავითვე საეკლესიო ინტრიგებისა თუ ქიშპობის შუაგულში აღმოვჩნდი და ორი პატრიარქის ხელში გამოზრდილმა ტრაგიკულად დავასრულე მოღვაწეობა.** მავანნი ამბობდნენ და ახლაც ამბობენ, თითქოს მე ვინმეს პატრიარქობაში ვეცილებოდი. ღმერთია მოწამე, მე, როგორც მოქმედი მღვდელმთავარი, პასუხისმგებლობას ვგრძნობდი ღვთისა და ეკლესიის წინაშე და ყოველთვის საკუთარი პოზიცია მეკავა ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას. ნუთუ ეს უნდა გამხდარიყო დევნისა და ციხეში ჩემი გაგზავნის საფუძველი? **მე მხოლოდ ისეთი პატრიარქის გვერდით მინდოდა მემოღვაწევა, რომელიც ეკლესიაზე მაღლა არ დააყენებდა საკუთარ თავს, შეძლებდა, ფრთხილად და მოზომილად ეზიდა მთელი სიმძიმე ეკლესიისა და არ გახდებოდა ხელისუფლების ყურმოჭრილი მონა-მორჩილი.**

პოპულისტურმა საეკლესიო განახლებამ ისტორიული ფესვების გარეშე და ეროვნული ცნობიერების არქონამ დაამახინჯა ეკლესიის, როგორც ცოცხალი სხეულის, შინაგანი და გარეგანი სახე. გნებავთ, სიონის საკათედრო ტაძარს რა დამართეს! იგი ხომ მოკლეს. განა შეიძლებოდა მისი ხელის ხლება? ნახეთ, დეკანოზ **მარკოზ ტყემალაძის** წიგნში, **რა იყო სიონი და რა არის იგი დღეს! ხოლო ვილაც-ვილაცების საამებლად საპატრიარქოში გამართული ბანკეტები სხვა არა არის რა, თუ არა დაცინვა შიმშილისგან ღონემიხდილი ხალხისა, რომელიც თავის უკანასკნელს მაინც ეკლესიას სწირავს.**

### გაურკვეველი პირების ხელშია ჩაგდებული ეკლესიები და მათი შემოსავლები. არ მოქმედებს საეკლესიო სამართალი და სასამართლო, სამღვდელოების დიდი ნაწილი ფულის კეთებაზეა გადასული, არ ისმის ქადაგება, სექტანტობამ იძალა მთელს საქართველოში და ასე ნელ-ნელა ხელიდან გვეცლება მრავალჭირნახული დედაეკლესია.

დღეს აღარ მოსწონთ გადაკეთებული სიონი და სურთ, კათედრა სხვაგან გადაიტანონ, იმაზე კი აღარავინ ფიქრობს, რომ სულ მალე **მადლი** მხოლოდ საპატრიარქოს გაზეთს-ღა თუ შემორჩება სათაურად!

**„რაი სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს?“**




ღამემ გაიარაო — ამაგმა ჩაიარაო...
ქართული ანდაზა

**ასავალ დასავალი**

1996 წლის 29 ოქტომბერი - 4 ნოემბერი № 24 (116) ფასი 50 თეთრი

***გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 1996 წლის 21-ე ნომერში დაბეჭდილმა წერილმა — „შეთქმულება მიტროპოლიტის წინააღმდეგ?“ საზოგადოების უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მასში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქებთან — ეფრემ მეორესა და დავით მეხუთესთან ყველაზე დაახლოებული პირი, თავის დროზე მიტროპოლიტი, ქორეპისკოპოსი, სასულიერო სემინარიის რექტორი და საეკლესიო კალენდრების შემდგენელ-რედაქტორი, დღეს კი პატივაყრილი მაღალმეუფე გაიოზ კერატიშვილი 1978 წელს საქართველოს საპატრიარქოში დატრიალებული ამბების შესახებ საუბრობდა. რედაქციაში არ წყდება სატელეფონო ზარები; მოდიან ადამიანები, ვინც სხვებზე ერთი მისხლით მეტად იცის საეკლესიო ცხოვრების მაშინდელი ასავალ-დასავალი.***

... ქალბატონმა **ჟუჟუნა ვარძელაშვილმა** რამდენიმე დღის წინ დამირეკა და მოკრძალებით მთხოვა შეხვედრა...

საოცრად სიმპათიურმა ქალბატონმა ამბის თხრობა შორიდან დაიწყო, მშვიდი ინტონაციით მიყვებოდა თავისი ოჯახის ეკლესიურობის შესახებ: **„... ბებიაჩემი დღედაღამ სიონში იყო... კალისტრატე ცინცაძეც მახსოვს, გრძელ თეთრ წვერს ატარებდა, უწმინდესი კაცი იყო...“**

თავდაპირველად ვერ მივხვდი, რა კავშირი უნდა ჰქონოდა ქალბატონ ჟუჟუნას **გაიოზ კერატიშვილთან** და, ცოტა არ იყოს, უინტერესოდ ვუსმენდი, მაგრამ მოულოდნელად გაჩუმდა და ხანმოკლე პაუზის შემდეგ დამაჯერებლად მითხრა: **„პირადად ვიცნობ გაიოზ კერატიშვილსა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს... თქვენთან კი იმის სათქმელად მოვედი, რომ გაიოზი აბსოლუტურად მართალია, ჯერ კიდევ ილიას სემინარიის რექტორობის პერიოდში დადიოდა ხმა მისი კათალიკოსად კურთხევის შესახებ... გაიოზის თავს დამტყდარი უბედურება ეროვნულ ტრაგედიად უნდა იქნეს აღქმული, რამეთუ საქმე ერის სულიერების გადამრჩენ მამებს ეხებათ.**

**... საოცარია სასულიერო პირის სისხლის სამართლის კოდექსით გასამართლება და საკათალიკოსო საბჭოს ადათ-წესების უარყოფა...“**

ქალბატონი ჟუჟუნა გაჩუმდა, წასასვლელად მოემზადა და გამომშვიდობებისას მირჩია, სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით ფილოსოფოსისა და რელიგიათმცოდნე **დავით ბეგეშიძისათვის** მიმემართა, რომელიც ამ ამბების მომსწრე და თვითმხილველი ყოფილა...

ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ბატონი **დავით ბეგეშიძის** მოძებნა არ გამჭირვებია. თუმცა, ჩემი ვინაობა და მისვლის მიზეზი გაიგო თუ არა, მაშინვე დამიყვავა: **ნურაფერს მკითხავთ, შვილო, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რამეთუ ათას ნაწილად დახლეჩილ ეკლესიას ძველის გახსენება უარესად დაანაწევრებს და საეკლესიო პირებს ერთმანეთს წაჰკიდებს. დადგება სიმართლის თქმის დრო და შთამომავლობა თვითონ გაარჩევს მტყუან-მართალს...**

შევატყვე, მოსაუბრე ამაზე მეტს არაფერს იტყოდა, არადა, მისგან „ხელცარიელი“ წამოსვლა ნამდვილად არ მსურდა და უცებ თავში გამიელვა — **თუ არა ბატონ დავითს, როგორც რელიგიის ფილოსოფიის მკვლევარს, დანამდვილებით სხვას ვის უნდა სცოდნოდა საზოგადოებაში გავრცელებული ჭორი, თითქოსდა საქართველოს ბევრი პატრიარქი „თაგვის წამლით“ ყოფილიყოს მოკლული...**

ბატონმა დავითმა ჩემს კითხვაზე ხელები მრავლისმთქმელად გაასავსავა და მოგუდული ხმით თქვა: **არაფერი მსმენია, არაფერი ვიცი, არაფერი მკითხოთ!** თუმცაღა, მისი რეაქცია და სიტყვები იმის ნათელი დასტური იყო, რომ **„თაგვის წამალმა“,** როგორც ბინძურ მკვლელობათა კოდურმა სახელწოდებამ, თხემით ტერფამდე შეძრა უხვად ინფორმირებული თანამოსაუბრე.

ამის შემდეგ, მცდელობის მიუხედავად, ფილოსოფოსთან საუბარი ვერაფრით ავაწყვე და ხელმეორე შეხვედრის იმედით დავემშვიდობე...

ჩვენი მეორე შეხვედრა თავად ბატონი **დავით ბეგეშიძის** სურვილით მოხდა... ამჯერად საუბარი იმით დაიწყო, რომ იგი სხვებზე უკეთ იცნობს საქართველოს პატრიარქთა მოღვაწეობის ამსახველ მასალებს, მათ შორის, **ბურუსით მოსილ ისტორიებს.** და მაინც, მათ გამხელას რატომღაც კვლავ მოერიდა და საქართველოს ეკლესიის კათედრის მცხეთიდან თბილისში გადმოტანისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ საკათალიკოსო საბჭოს გაუქმების საკითხებით შემოიფარგლა.

**„.... ბოლო დროს იმდენი ჭორი გავრცელდა მცხეთიდან საქართველოს ეკლესიის კათედრის თბილისში გადმოტანის შესახებ, რომ ვერ გამიგია, სად მთავრდება მონაჩმახი და სად იწყება სინამდვილე, მაგრამ ისეთ ტყუილს რა ვუთხარი, სადაც სიმართლის პატარა ნაპერწკალიც არ იქნება (?!)**

**... მცხეთაში საქართველოს ეკლესიის კათედრას თავისი ბრწყინვალე ისტორია აქვს, სწორედ ის აღიქმება საქართველოს ერთიანობის იდეალად. ვფიქრობ, მისი თბილისში გადმოტანა დიდი დანაშაული იქნება (!)**

**... რაც შეეხება 1937 წელს საკათალიკოსო საბჭოს წმინდა სინოდით შეცვლის ფაქტს, ამას ცოტა ღრმა ანალიზი სჭირდება. ზოგი თვლის, რომ ყოველივე ეს ერთპიროვნულად, კათოლიკოსის მიერ იყო გაკეთებული, მაგრამ მაშინ უმძიმესი წლები**

## კვირგვინოსნები

**გოგი ქიქინაძე**
*დირიჟორი*



12-13 წლის წინ ერთი ამბავი ატყდა, **პირდაპირ დევნიდნენ მათ, ვინც რუსეთში გადიოდა, არტისტებსაც გადასწვდა მთავრობა.** ატეხეს კივილ-წივილი და ამ დროს **ქართული მაღაზიები გატენილი იყო რუსული პროდუქციით,** რომელიც ქართულ პროდუქციაზე იაფი ღირდა. ქართულ პროდუქციას ღუპავდნენ და **მილიონი უნამუსო ფინანსური კონტაქტი ჰქონდათ თვითონ მთავრობისა და პარლამენტის წევრებს რუსეთთან.**

„კვირის პალიტრა“

**ბიძინა გიორგობიანი**
*ყოფილი პოლიტპატიმარი*



რანაირად უნდა მოხდეს დეპოლარიზაცია, როდესაც **ერთ მხარეს** არის ხელისუფლება, რომელიც ყველანაირად ცდილობს, **ომში არ ჩაერთოს საქართველო და მეორე მხარეს** — ჯგუფი, რომელიც ცდილობს, **რამენაირად ააყიროს ქვეყანა.**

„იმედინიუსი“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიციის **პრიორიტეტები ნამდვილად არა აქვს დალაგებული** და თუ მან ეს არ გამოასწორა სასწრაფოდ, **ძალიან გაუჭირდება 2024 წლის არჩევნებზე „ოცნებისთვის“ წინააღმდეგობის გაწევა.**

„ახალი თაობა“

**გიორგი კობერიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



**ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის აფეთქება** იქნება ღია ტერორისტული აქტი და დანაშაული კაცობრიობის წინაშე, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება **ადამიანების მასობრივად განადგურება.** ამიტომაც ვფიქრობ, რომ **რუსეთში თვითმკვლელები არ არიან** და ატომური იარაღის გამოყენებაზე ლაპარაკს უფრო პოლიტიკური დანიშნულება აქვს.

„კვირის პალიტრა“

# „კირიონის მკვლელობის გახსნით ნათელი მოეფინება გაიოზ კერატიშვილის ტრაგედიასაც!“

იდგა და საჭირო იყო გონივრული პოლიტიკის გატარება, რათა გადარჩენილიყო საქართველოს ეკლესია... ჩემი ღრმა რწმენით, საკათალიკოსო საბჭოს გაუქმების ნამდვილ მიზეზს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაკვლევთ, როცა საქართველოს ყველა კათოლიკოს-პატრიარქის მოღვაწეობის ისტორია ხელახლა დაიწერება და... ამით ბევრი „შავი წერტილი“ გაიხსნება, მეტიც — კირიონის მკვლელობის გახსნით ნათელი მოეფინება გაიოზ კერატიშვილის ტრაგედიასაც. მაგრამ ეს ძნელი საქმეა, და, რომ იტყვიან, „სამკალი ფრიად არს, მუშაკნი მცირედ...“

ბატონმა **დავით ბებეშიძემ** საუბრის დასასრულ სინანულით აღნიშნა: **„... ეკლესიას დახმარება სჭირდება და არა განქიქება. საკეთებელი ბევრია, ერთს დავასახელებ მხოლოდ: განა გვეკადრება, რომ, მიუხედავად არაერთი შეძახილისა, თითქმის არავინ გამოგვეხმაურა კირიონის მკვლელობისათვის ფარდის ახდის აუცილებლობაზე? ამ ფარდის ახდით კი, როგორც უკვე ვთქვი, ბევრი რამ გახდება ნათელი მართლმადიდებელი ეკლესიის მეოცე საუკუნის საიდუმლოებით მოცული ისტორიიდან“.**

## P.S.

საუბრის შემდეგ უამრავი კითხვა გამიჩნდა და ვერაფრით მივხვდი, თუ ვის არ აძლევს ხელს **კირიონის მკვლელობის** გახსნა; რატომ გაურბიან ადამიანები იმის ხმამაღლა თქმას, რომ საქართველოს ესა თუ ის პატრიარქი თავისი წერით არ მომკვდარა და მათი მზე იარაღის თუ **„თაგვის წამლის“** გამოყენებით ჩააქრეს...

ყველაზე საგანგაშო მაინც ის არის, რომ **ბოროტებასთან წილნაყარი სულწაწყმენდილნი დღესაც არ იშლიან თავისას და... სულ რამდენიმე დღის წინათ პატივაყრილი და ნაპატიმრალი მაღალმეუფე გაიოზ კერატიშვილიც მოიწამლა (?!)**. და, ალბათ, უფრო მკაცრ ზომებს მიიღებდნენ მის გასაქრობად, იმ სენსაციური წერილის ამბავი რომ სცოდნოდათ, რომელიც „სუკის“ არქივებს შემთხვევით გადაურჩა და რომლითაც მიტროპოლიტი გაიოზი ამტკიცებს 1978 წელს მის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში ცხუმ-აფხაზეთის საკათედრო ტაძრის მაშინდელი წინამძღვრის **ნიკოლოზ მახარაძის** აქტიურ მონაწილეობას.

და კიდევ, **გაიოზ კერატიშვილმა ნიკო მახარაძის** პრეტენზიულ განცხადებას, თითქოსდა ილია მეორის დანიშვნა სულიწმიდის მეშვეობით მოხდა, სულიწმიდით სპეკულირება და რელიგიური პრიმიტივიზმი უწოდა (?!)

***ვანო პავლიაშვილი***

მკითხველს წარმოვუდგენთ **ნიკოლოზ მახარაძის „დონოსს“ გაიოზ კერატიშვილის წინააღმდეგ,** რომელიც იმხანად საქართველოს ეკლესიის მეორე პირის განკვეთისა და დაპატიმრების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.






## კვირგვინოსნები



**გურამ სარალიძე**
ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის სტიქაროსანი

**აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდი“** თავის მრავალრიცხოვან წევრებთან ერთად მყარად იზიარებს ხელისუფლების, ეკლესიისა და საზოგადოების დიდი უმრავლესობის განწყობას და მისწრაფებას, **წინ აღუდგეს ეროვნული იდენტობისა და რწმენის საწინააღმდეგო იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებას!**

საქართველო არასოდეს გახდება უღმერთოთა ქვეყანა, არასდროს უღალატებს ღვთიურ მრწამსს და ამ განსაცდელსაც გაუძლებს!



მეუფე ქრისტეფორე:

# არსებობს ძალიან სერიოზული ეჭვი იმის შესახებ, რომ პატრიარქი დავით მეხუთე დევდარიანიც სწორედ საწამლავის საშუალებით მოიშორეს და მოკლეს!

***ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, მიტროპოლიტი ქრისტეფორე წამალაიძე პატრიარქის მოსაყდრე მეუფე შიო მუჯირის მოწამვლის ფაქტს ეხმიანება და აცხადებს, რომ საპატრიარქოში შხამი ყოველთვის ჰქონდათ, რომელიც არსად ჩანდა. დიდი მეუფე, რომელიც ერთხანს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სულიერი მოძღვარიც იყო, მიიჩნევს, რომ სოდომისტები ყოველ დროსა და ეპოქაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ის ძალადობა და იერიში, რასაც გარყვნილი ელ-გე-ბე-ტელები საქართველოში ე.წ. „პრაიდისა“ და პარადის ჩასატარებლად მიმართავენ, ისტორიას არ ახსოვს:***

— რაც **მეუფე შიოს** დამართეს და რაც დღეს საპატრიარქოში ხდება, გასაკვირი სულაც არ არის. კარგად მახსოვს, როცა სარწმუნოებისა და სიმართლისთვის დევნილი **მეუფე ამბროსი ქათამაძე** სამშობლოში დაბრუნდა და სიონსა და სამებაში დაიწყო სიარული, ეროვნული მოძრაობის ცნობილი ჯარისკაცისა და ბატონი ზვიად გამსახურდიას უერთგულესი თანამებრძოლის **ბია ფერაძის** თანდასწრებით სამჯერ გავაფრთხილე — **მაგათთან ნუ დადიხარ, თორემ მოგკლავენ-მეთქი!** არ გასულა დიდი ხანი და საღ-სალამათი, კლდესავით კაცი, რომელსაც არაფერი აწუხებდა და სახლში გაზს საერთოდ არ ხმარობდა, „გაზით გაგუდული“ იპოვეს! არ დამიჯერა სულგანათლებულმა და მოხდა ის, რისიც მეშინოდა — მოკ-



საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დავით V

გაგრძელება 29-ე გვერდზე



# ვინ ჩაფრინდა 1990 წლის 28 ოქტომბერს შევარდნაძესთან საქართველოდან?

## იგორ კვესელავა:

# შევარდნაძემ გამსახურდია გროზნოში ვერ მოკლა, ამიტომ აუცილებელი გახდა მისი საქართველოში ჩამოტყუება!



***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საუბარს აგრძელებს და აცხადებს, რომ გროზნოში დევნილი ზვიად გამსახურდია 1993 წლის 24 სექტემბრის ნაცვლად საქართველოში 1993 წლის ივლისში უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ პრეზიდენტის გამომგზავრება დღემდე გაურკვეველი მიზეზების გამო ორჯერ გადაიდო:***

— ზვიად გამსახურდიას განმაქიქებლებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს **კიტა ბუაჩიძეს,** რომელიც ეროვნული მოძრაობის მდევნელის უმძიმესი სენისაგან ვერაფრით განიკურნა. ის **კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების** პიროვნული მოძულე იყო და საქართველოს პირველი პრეზიდენტის თითოეულ ცნობილ მომხრეს დამამცირებელი, მის მიერ შეთითხნილი და ყურით მოთრეული ეპითეტებით ამკობდა.

**— ბატონო იგორ, მაგალითად, ვის როგორ მოიხსენიებდა კიტა ბუაჩიძე?**

— **კიტა ბუაჩიძე** თემურ ქორიძეს „ქორთაველს“ უწოდებდა, **გურამ პეტრიაშვილს** — „პეტრიწონელს“, **ნოდარ წულეისკირს** — „წულელს“, ხოლო **მუხრან მაჭავარიანს** — „მაჭრელს“... უფრო მეტიც, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობამ ბუაჩიძეს ისე აუბნია თავგზა, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტის სასწრაფოდ გაუქმება მოითხოვა. კიტა ბუაჩიძე ამქვეყნიდან ისე წავიდა, რომ არავის და მითუფრო ზვიად გამსახურდიას წინაშე არაფერი მოუნანიებია.

ბუაჩიძის ბინძურ ლაშქრობას **კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების** წინააღმდეგ აღფრთოვანებით ბანს აძლევდა გაურკვეველი დისიდენტური წარსულის მქონე პიროვნება, ვინმე **თეიმურაზ ჭანტურიშვილი.** ზვიად გამსახურდიას განქიქების კამპანია პირველი პრეზიდენტის მკვლელობის შემდეგაც არ შეწყვეტილა. ასე, მაგალითად, გერმანიაში საქართველოს ელჩის **კოტე გაბაშვილის** უბინძურესი წერილები იბეჭდებოდა, სადაც ზვიად გამსახურდია და ზვიადიზმი „ქართულ ფაშიზმად“ იყო გამოცხადებული, რომელიც უნდა ამოეძირკვათ! **კოტე გაბაშვილიც და მისი შვილი — გოკაც ცოცხლები არიან და თუ თავს მართლებად თვლიან, გამოვიდნენ და ამ ბრალდებებს უპასუხონ!**

სწორედ კოტე და გოკა გაბაშვილები მიაწერდნენ ზვიად გამსახურდიას ლოზუნგს — **„საქართველო ქართველებისათვის!“** ჩვენ ვთქვით და დავასაბუთეთ, რომ მსგავსი რამ ზვიად გამსახურდიას არსად და არასოდეს უთქვამს და ეს ლოზუნგი წარმოადგენდა **გიორგი ჭანტურიას** „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ საპროგრამო და ერთ-ერთ უმთავრეს იდეოლოგიურ პოსტულატს... ლოზუნგი — „საქართველო ქართველებისთვის!“ — ნაციონალისტურია, ზვიად გამსახურდია კი ნაციონალისტი არ ყოფილა, პატრიოტი იყო! სხვათაშორის, ზვიად გამსახურდია და მისი მოძრაობა არასოდეს ქცეულან მულტფილმებისა და გასართობი შოუების გმირებად. ედუარდ შევარდნაძისგან განსხვავებით, ზვიადი „დარდუბალას“ პერსონაჟად ვერავინ გამოსახა! ფაქტია, სწორედ „დარდუბალამ“ მოუღო შევარდნაძეს ბოლო და უდიდესი როლი ითამაშა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ვიდრე შევარდნაძე და მისი მომხრეები ზვიად გამსახურდიას დაამხობდნენ, მათ საქართველოს უცნობი დილემა მოახვიეს თავს — „ეროვნული იდეა, როგორც ერის წინსვლისა და განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი!“

**— ამ უკუღმართი იდეის გახმოვანება საქართველოში ვინ გაბედა?**

— ეს იდეა ჯერ კიდევ 1989 წელს შემოაგდო კრემლმა და მას უმალ დაუჭირეს მხარი **გორბაჩოვმა და შევარდნაძემ.** ეს იყო **„ქართული კოსმოპოლიტიზმის“** პირველი მეტასტაზი, რომელსაც შევარდნაძემ მოაყოლა მეორე მეტასტაზიც — **„პროვინციული ფაშიზმი“.**

საერთოდ,

**ქართული ეროვნულობისა და პატრიოტიზმის წინააღმდეგ ისე გეგმაზომიერად არავის უბრძოლია, როგორც შევარდნაძეს.**

ზემოხსენებული ბოროტი იდეის შემოგდებით კრემლი ცდილობდა საქართველოს არევას, სეპარატისტული მოძრაობების გაძლიერებას და ზვიად გამსახურდიას, როგორც ეროვნული ლიდერის, განქიქებას! ყალბი და ბოროტი იდეის შემოგდების ფონზე შევარდნაძის დაფინანსებითა და ხელდასხმით გამოჩნდნენ ე.წ. ექსპერტები, რომლებიც „ასაბუთებდნენ“, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა შესაძლებელი იქნებოდა, არა ზვიად გამსახურდიას, არამედ კრემლიდან ედუარდ შევარდნაძის დაბრუნების პირობებში! ამ იდეის აპოლოგეტი გახლდათ ედუარდ შევარდნაძის ძველი მოკავშირე და მიხეილ გორბაჩოვის სტუდენტობის დროინდელი მეგობარი, ფილოსოფოსი **მერაბ მამარდაშვილი.** სამწუხაროდ და საუბედუროდ, ჩვენი კონფორმისტული ელიტა, „წითელი ინტელიგენცია“, რასაც მათ ზვიად გამსახურდია სამართლიანად უწოდებდა, მთლიანად დაექვემდებარა ამ მოწოდებას და ჩადგა შევარდნაძის სამსახურში. დიდი ხანია, ვეძებ და ვერ მოვიპოვე 1990 წლის 28 ოქტომბრის თბილისი-მოსკოვის თვითმფრინავის უკანასკნელი რეისის მგზავრთა სია...

**— რით არის ეს სია საინტერესო?**

— როცა აშკარა გახდა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული ძალების გამარჯვება, საქართველოს „წითელი ინტელიგენცია“ იმავე საღამოს მოსკოვში გაფრინდა. სწორედ იმ დღეს შეიქმნა შევარდნაძის მეთაურობით ახალი „შულავერის მთავრობა“, რომელმაც წელიწადნახევარში საქართველოს ეროვნული ხელისუფლება დაამხო. ვეძებ სიას და მინდა, დავადგინო, ვინ ჩაფრინდა 1990 წლის 28 ოქტომბერს შევარდნაძესთან საქართველოდან? ზვიად გამსახურდია ფიქრობდა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკას უნდა განესაზღვრა. ზვიადის შემდეგ შევარდნაძეც, სააკაშვილიც, ბიძინაც და დღევანდელი ხელისუფლებაც მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ პირიქით — ქვეყნის საშინაო პოლიტიკა უნდა განსაზღვროს საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორებმა, რაც შეცდომაა! **აი, ამიტომაც ინგრევა და ნადგურდება საქართველო და ამიტომაც გვაიძულებენ სოდომისტთა პარადებისა და ე.წ. პრაიდების გამართვას!**

**— ბატონო იგორ, გენერალი თენგიზ ეპიტაშვილი იგონებს, რომ 1992 წლის 7 მარტს, როცა შევარდნაძე მოსკოვიდან თბილისში ჩამოიყვანეს, თბილისის აეროპორტში მის წინააღმდეგ მზადდებოდა ტერაქტი, რომელიც მან აღკვეთა. როგორ ფიქრობთ, ეპიტაშვილი მართალს ამბობს?**

— **თენგიზ ეპიტაშვილი** ძალიან საინტერესო პიროვნება იყო, რომელიც შევარდნაძეს თბილისის აეროპორტში დახვდა, **ჯაბა იოსელიანთან** ერთად ხელკავი გამოსდო და მანქანაში ჩასვა. როგორც სუკის ცნობილი გენერალი, აწ განსვენებული **თენგიზ ეპიტაშვილი** იგონებს, 1992 წლის 7 მარტს თბილისის აეროპორტში ედუარდ შევარდნაძის ფიზიკური ლიკვიდაცია მართლაც იგეგმებოდა, თუმცა, ეს ყველაფერი მაინც მონაჭორი მგონია. აი, რას წერს გენერალი ეპიტაშვილი:

> *„1992 წლის 28 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიყავი, საკუთარ კაბინეტში ვმუშაობდი, როცა მოსკოვიდან „ვეჩე“-თი ჩემმა მეგობრებმა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგარეო დაზვერვის თანამშრომლებმა მაცნობეს: — თენგიზ ვასილიჩ, ედუარდ აბროსოვიჩი 7 მარტს მოფრინავს თბილისში. ჩვენთვის ცნობილია, რომ დედაქალაქის აეროპორტში იგეგმება ტერაქტი შევარდნაძისა და მისი გარემოცვის გასანადგურებლად. გთხოვთ, მიიღოთ ზომები!“*

ეპიტაშვილი იქვე აზუსტებს, რომ თბილისში შევარდნაძის თვითმფრინავს კბილებამდე შეიარაღებული ადამიანთა ჯგუფი ელოდა. მათ ლაინერი აეროპორტში დაჯდომისთანავე უნდა აეფეთქებინათ, რაც გახდებოდა საქართველოში ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომის დაწყების ნიშანი. ამას კი ქვეყნის ორ ნაწილად გაყოფა და საბოლოოდ დაქუცმაცება მოჰყვებოდა.

**— კი მაგრამ, ეპიტაშვილი მაშინ რას წარმოადგენდა?**

— გენერალი თენგიზ ეპიტაშვილი, როცა რუსმა კაგებეშნიკებმა მოსკოვიდან დაურეკეს და შევარდნაძეზე მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ გააფრთხილეს, ხუნტის მიერ დანიშნული საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის **როман გვენცაძის** მოადგილე იყო. ამდენად, შევარდნაძის მოსკოვიდან თბილისში გამომგზავრება და საქართველოში მისი უსაფრთხოდ „მეორედ მოსვლა“ თავიდან ბოლომდე კონტროლდებოდა რუსეთის სპეცსამსახურე-



შევარდნაძის „მეორედ მოსვლა“ საქართველოში. 1992 წლის 7 მარტი

**„შევარდნაძის მოსკოვიდან თბილისში გამომგზავრება და საქართველოში მისი უსაფრთხოდ „მეორედ მოსვლა“ თავიდან ბოლომდე კონტროლდებოდა რუსეთის „კაგებეს“ საგარეო დაზვერვის უმაღლესი ჩინოსნების მიერ!“**

# „შევარდნაძისგან განსხვავებით, ზვიადი „დარდუბალას" პერსონაჟად ვერავინ გამოსახავს!"




ბის, კერძოდ, „კაგებეს" საგარეო დაზვერვის უმაღლესი ჩინოსნების მიერ. მთელ ამ ამბავში საინტერესო ის გახლავთ, რომ **გენერალმა ეპიტაშვილმა, რომელსაც დაგეგმილი თავდასხმის ადსაკვეთად ერთი კვირის ვადა ჰქონდა, მოსალოდნელი ტერაქტის ორგანიზატორთა იდენტიფიკაცია, როგორც თავად ირწმუნება, უმოკლეს დროში მოახდინა.** ბევრ მათგანს, რომელთა შორისაც პროფესორები და ძალიან განათლებული ადამიანები იყვნენ, გენერალმა თითი დაუქნია — ბატონ ედუარდს თმის ერთი ღერი არ უნდა ჩამოუვარდესო! როგორც ეპიტაშვილი იგონებს, იმ ჯგუფიდან ერთ-ერთმა უთხრა — ბატონო თენგიზ, გავა დრო და ამ ნაბიჯს მწარედ ინანებთო! გენერალი თენგიზ ეპიტაშვილი ისე მოკვდა, შევარდნაძის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერაქტის ორგანიზატორებსა და მონაწილეებზე კრინტი არ დაუძრავს. მან ეს საიდუმლო სამარეში ჩაიტანა, თუმცა, თავის მემუარებში ერთი რამ გარკვევით აღნიშნა — **მე ედუარდ შევარდნაძეს არაფერს ვაყვედრი, მაგრამ მის გადარჩენას დღესაც ვნანობ!** სხვათაშორის,

**ედუარდის ფიზიკური ლიკვიდაციის მიზნით ზვიად გამსახურდიას მომხრეები, პრეზიდენტის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, მოსკოვში აპირებდნენ სამხედრო ოპერაციის მომზადებას.**

ამ საქმეში ჩართული იყვნენ ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეებიც, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

**— მაინც მინდა მივუბრუნდეთ 1993 წლის სექტემბერში საქართველოში ზვიად გამსახურდიას დაბრუნებას! როგორ ფიქრობთ, რისთვის ჩამოვიდა გამსახურდია და იყო თუ არა მისი ჩამოსვლა შეცდომა?**

— ერთი ვერსიით, ზვიადი ჩამოვიდა აფხაზეთის გადასარჩენად! მეორე ვერსიით, იგი ჩამოიტყუეს. მაინც მგონია, რომ მისი ჩამოსვლით ყველაზე მეტად შევარდნაძემ ისარგებლა — დაშალა ფრონტი, ჩააბარა სოხუმი, რაც ომის დაწყებისთანავე ჰქონდა განზრახული და ყველაფერი ზვიად გამსახურდიას დააბრალა! არსებობს დოკუმენტები, რომ აფხაზეთის ომის დაწყებამდე შევარდნაძე ელაპარაკა **ბეიკერს** და ამერიკის სახელმწიფო მდივნისგან მიიღო თანხმობა, რათა სოხუმში ზვიადისტების წინააღმდეგობა მოესპო. ამის შემდეგ ამერიკელების მიერ გათამამებული შევარდნაძე მოსკოვში შეხვდა **ელცინს** და რუსეთის პრეზიდენტს აფხაზეთში თავისი განზრახვის შესახებ მოახსენა. **ელცინმა** შევარდნაძეს პირობა მისცა, რომ რუსეთი ნეიტრალიტეტს დაიცავდა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ იგი **არძინბასაც** შეხვდა და სეპარატისტებს ყველანაირ დახმარებას დაჰპირდა. აი, სწორედ ამ თამაშებს შეეწირა აფხაზეთი. რაც შეეხება ზვიადის საქართველოში ჩამოსვლას, ადრე ვთქვით, რომ ეს იყო ზვიად გამსახურდიას მესამე მცდელობა, დაბრუნებულიყო სამშობლოში, რომელიც წარმატებით დასრულდა. მანამდე ზვიადი ვერა და ვერ ჩამოვიდა.

**— რატომ?**

— ეს საკითხი ბურუსით არის მოცული. საერთოდ, ზვიად გამსახურდიას გროზნოში ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს აწვდიდნენ, — მომხრეების ნაწილი ეუბნებოდა, რომ კბილებამდე შეიარაღებული 2-ათასკაციანი რაზმი მის გამოჩენას ელოდა, ხოლო ნაწილი არწმუნებდა, რომ საქართველოში მისი ჩასვლა სახიფათო იყო. გამსახურდია გროზნოდან საქართველოში 1993 წლის ივლისში უნდა ჩამოსულიყო. ის გამოემშვიდობა ყველას, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდა თვითმფრინავში, რადგან პრეზიდენტმა ბორტი მალევე დატოვა. როგორც ჩანს, მან მიიღო ინფორმაცია, რომ შევარდნაძის ხალხი ელოდებოდა და ინფორმაცია მისი ჩამოსვლის შესახებ გაყიდული იყო. ანალოგიური რამ მოხდა მეორე მცდელობის დროსაც...

მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ შევარდნაძემ ზვიად გამსახურდია საქართველოში განგებ შემოიტყუა, მერე ალყაში მოაქცია და მოაკვლევინა. დიახ, შევარდნაძემ ზვიად გამსახურდია გროზნოში ვერ მოკლა, ამიტომ აუცილებელი გახდა მისი საქართველოში ჩამოტყუება, რათა მის სალიკვიდაციოდ შექმნილ შტაბს განზრახვა სისრულეში მოეყვანა! ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გარეშე შევარდნაძე ხელისუფლებას ვერ იმყარებდა.

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

*დასაწყისი 27-ე გვერდზე*

ლეს! არაერთხელ მითქვამს და საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 1983 წელს, როცა მარგვეთის ეპარქიის მმართველი ვიყავი, თერჯოლის რაიონის სოფელ ბარდუბანში, **დემურ ბარდაველიძის ოჯახში მომწამლეს** და სიკვდილს შემთხვევით გადავურჩი. მე და ჩემი მძღოლი საჭმელს არსად ვჭამდით, ერთი ქვაბი გვქონდა და ჩვენს ხორციელ საზრდოს იმაში ვამზადებდით. რამდენჯერ დაგვპატიჟეს, რამდენჯერ სუფრები გაგვიშალეს, მაგრამ არავის ვეკარებოდით. **ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ბარდუბანში სწორედ დემურ ბარდაველიძის ოჯახში დავთანხმდი პურისჭამას და იმავე დღესვე მე და ჩემი მძღოლი უმწვავესი სტენოკარდიული შეტევით საავადმყოფოში აღმოვჩნდით.** დემურ ბარდაველიძის მეუღლე ბარდუბნის ეკლესიის ოცეულის თავმჯდომარე იყო და სწორედ ამიტომ დავყაბულდი მის ოჯახში პურობას, რაც კინაღამ სიკვდილის ფასად დამიჯდა.

**— მეუფე ქრისტეფორე, მაინც რა გახდა თქვენი მოწამვლის მიზეზი?**

— მიზეზი ის გახდა, რომ **იმ პერიოდში მე, მეუფე ამბროსიმ და მეუფე შიო ავალიშვილმა ეკლესიაში ჩაბუდებულ ჰომოსექსუალებს ძალიან შევუტიეთ,** რაც, როგორც ჩანს, მავანს არ ესიამოვნა. სხვათაშორის, როგორც მოგვიანებით გავარკვიე, **დემურ ბარდაველიძის ახლო ნათესავი, ისიც გვარად ბარდაველიძე, მაშინდელი რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატში მუშაობდა.** ეს სამსახური კი თავიდან ბოლომდე კონტროლდებოდა საბჭოთა უშიშროების მიერ. აქედან გამომდინარე, **„კაგებემ" ძალიან კარგად იცოდა, ვის ოჯახში უნდა გაგვეტეხა პური და რა მოჰყვებოდა ამ ამბავს...** ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი, **მეუფე შიო ავალიშვილიც** მოწამლეს... სამწუხაროდ, მეუფეს ჩემსავით არ გაუმართლა და გარდაიცვალა. მეუფე შიო **პატრიარქის ქორეპისკოპოსი** იყო.

**— მეუფე შიო ავალიშვილი რატომ მოწამლეს?**

— **მეუფე შიოც,** ანუ **„მართალი შიო",** როგორც ჩვენ მას დღემდე მოვიხსენიებთ, ჰომოსექსუალების მხილების გამო მოკლეს. ამ გათახსირებული და გარყვნილი სოდომისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ძირითადად სწორედ ჩვენ ვაქტიურობდით და სამივე მოგვინელეს და გაგვანადგურეს — **მეუფე ამბროსი** მოკლეს, **მეუფე შიო** მოკლეს, ხოლო მე ეკლესიიდან განმდევნეს და დღემდე დევნილობაში ვარ!

**მიუხედავად იმისა, რომ სინოდალურმა კომისიამ ყველაფერში გამამართლა და ჩემი უდანაშაულობა დაადასტურა, ეპარქიას მაინც არ მაძლევენ და მღვდელმსახურებას ჩემი სახლის სხვენში, ე.წ. „სხვენის ეკლესიაში" ვეწევი.**

მე ხომ ვიცი, მაგრამ, როგორც ჩემთვის ცნობილია, **მეუფე შიო ავალიშვილის**




# მეუფე შიოს გარდა, პატრიარქობის რეალური პრეტენდენტები არიან მეუფე დანიელი და მეუფე დიმიტრი!

ოჯახის წევრებიც დარწმუნებული არიან და ეჭვი არ ეპარებათ, რომ მეუფე შიო მოწამლეს.

**— კიდევ ვინ მოწამლეს და ვის შეასვეს დარიშხანი?**

— მოწამლეს, მაგრამ მაშინ ჩემსავით შემთხვევით გადარჩა აწ უკვე განსვენებული ეპისკოპოსი **ილარიონ სამხარაძე.** მეუფე ილარიონიც ებრძოდა ჰომოსექსუალებს, ამხელდა ეკლესიაში ჩაბუდებულ სოდომისტებს და იყო ალესილი მახვილი, რომელიც, ჩემი ინფორმაციით, **დავით მეხუთე დევდარიანის** გარდაცვალების შემდეგ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უნდა გამხდარიყო. მეუფე **ილარიონ სამხარაძე** კასპის რაიონში, ახალქალაქში, გარიყულაში ცხოვრობდა და საცოდავად აღესრულა. სადაც კი რამე თავშესაფარს ნახავდა, იქ ათევდა ღამეს და ცხოვრობდა უკიდურეს გაჭირვებაში.

დანამდვილებით ვიცი, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი **დავით მეხუთე დევდარიანის** გარდაცვალების შემდეგ სწორედ მეუფე **ილარიონ სამხარაძე** უნდა გამხდარიყო. ამის შესახებ რელიგიის საქმეთა რწმუნებულის ერთ-ერთმა გავლენიანმა ხელქვეითმა ქართულ პრესაში ღიად ისაუბრა და განაცხადა — ჩვენ ვიცოდით, რომ ანდერძის თანახმად, სწორედ მეუფე ილარიონი უნდა გამხდარიყო პატრიარქი, მაგრამ, როცა **დავით მეხუთე დევდარიანის** სეიფი გავხსენით, განცვიფრებული დავრჩით, რადგან იქ გარკვევით ეწერა, რომ პატრიარქი უნდა გამხდარიყო არა ეპისკოპოსი **ილარიონ სამხარაძე,** არამედ **მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილიო!** სხვათაშორის, არსებობს ძალიან სერიოზული ეჭვი იმის შესახებ, რომ პატრიარქი **დავით მეხუთე დევდარიანიც** სწორედ საწამლავის საშუალებით მოიშორეს და მოკლეს!

**— კიდევ ვის მოშთობას აპირებდნენ საპატრიარქოში საწამლავით?**

— ფაქტია, რომ **დეკანოზი გიორგი მამალაძე,** რომელიც დღეს დაპატიმრებულია, ციანიდის საშუალებით ვიღაცის მოკვლას გეგმავდა. ეს აშკარად გამოჩნდა... ვინ უნდა მოეწამლა მამალაძეს და საბოლოოდ რას ემსახურებოდა მისი ჩანაფიქრი, ღმერთმა იცის. ფაქტია, რომ საპატრიარქოს ტაბუ ადევს და იქაურ საქმეებში არავის ახედებენ.

**თვით ის ფაქტი, რომ მეუფე შიო მუჯირის მოწამვლის ფაქტი ორი კვირის დაგვიანებით გახმაურდა და გამოძიება დღემდე არ არის დაწყებული, იმას მიანიშნებს, რომ საპატრიარქო ჩაკეტილი სტრუქტურაა!**

**— 8 ივლისს სოდომისტები ლისის ტბაზე ე.წ. „პარადის" ჩატარებას აპირებდნენ, რასაც დიდი ეიფორია და გაწევ-გამოწევა მოჰყვა. გარყვნილთა ე.წ. „პრაიდი" ჩაიფუშა... რას იტყვით მომხდარზე?**

— ეს ე.წ. **ლგბტ პრაიდები** და, საერთოდ, სოდომისტების გააქტიურება ემსახურება ერთ რამეს — საქართველოში უნდა მოხდეს დაპირისპირება, ატყდეს შინაომი, რომელსაც გარე ძალები კიდევ უფრო გააძლიერებენ და გააჭიანურებენ. საბოლოო ჯამში ამას შედეგად უნდა მოჰყვეს ამ მიწიდან, ღვთის მიერ ნაბოძები სამოთხიდან, ქართველების განდევნა. **სოდომისტები ყოველ დროსა და ეპოქაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ისეთი ძალადობა და იერიში, რასაც ლგბტ გარყვნილები საქართველოში ე.წ. „პრაიდისა" და პარადის ჩასატარებლად მიმართავენ, ისტორიას არ ახსოვს.**

**ღმერთმა სოდომი და გომორი დააქცია და დაღუპა და ერი და ხალხი, რომელიც სოდომიის დაკანონებასა და ლეგალიზაციას ესწრაფვის, განადგურებისაკენ არის მიდრეკილი.**

ღმერთი ყველას გაანადგურებს და დაღუპავს — არამარტო სოდომისტებს, არამედ მათ ფარულ მხარდამჭერებსაც, რომლებიც გარყვნილების პოპულიზატორებს ფულს აძლევენ და აქეზებენ!

8 ივლისს ხალხმა ივაჟკაცა და სოდომისტები ლისის ტბიდან გაყარა, მაგრამ სად იყო ეკლესია? **როცა მთელი ერი ფეხზე დადგა, ბერი სად იყო?** 8 ივლისს ლისის ტბაზე ქართველი ხალხის გვერდით რამდენიმე სასულიერო პირი კი არა, მთელი წმინდა სინოდი უნდა ყოფილიყო!

**— მეუფე ქრისტეფორე, საპატრიარქოში შხამი ახლა რატომ გამოჩნდა?**

— შხამი საპატრიარქოში ყოველთვის ჰქონდათ, მაგრამ არ ჩანდა! ახლა შხამი იმიტომ გამოჩნდა და მეუფე **შიო მუჯირი** იმიტომ მოწამლეს, რომ პატრიარქის მდგომარეობა ძალიან მძიმეა. **ფაქტია, რომ კათოლიკოსის მდგომარეობა კრიტიკულია, იგი ძალიან მოხუცდა და, ფაქტობრივად, უძლურებაშია.** აქედან

***გაგრძელება 31-ე გვერდზე***











# მიხეილ ცაგარელი:

# მთვარე და მიწათმოქმედება

*— მთვარის რომელ ზოდიაქოს ნიშანში გავლის პერიოდია საუკეთესო ბალჩეული კულტურების დასარგავად და, კერძოდ, მთვარის რომელ ფაზაშია რეკომენდებული კენკროვნების დარგვა და რატომ? რა შემთხვევაში მოგვცემს ადრეულ, წვნიან მოსავალს ჭარხალი, სტაფილო, კარტოფილი, სალათი და როდის გაიზრდება უფრო კარგად ის მცენარეები, რომელთა ფოთლებსაც საჭმელად ვიყენებთ? მთვარის რომელ ზოდიაქოს ნიშანში გავლისას არ ღირს მცენარეების მორწყვა და ერთ და ორწლოვან ბალახოვნებთან აგროსამუშაოების ჩატარება, ანდა, პირიქით როდის შეეწყობა ხელი მარცვლოვნების — ნამიან ნიადაგში, ხოლო ბალახის გაზონებზე დარგვას? რომელ ზოდიაქოს უწოდებენ ყვავილების ნიშანს და რატომ არის მთვარის ამ ნიშანში გავლის დრო მშვენიერი ვაზის, ხეების, ნებისმიერი ყვავილის დარგვა-გადარგვისთვის, ხილისა და კენკროვნების გასაყინად ანდა მსხმოიარე ნაყოფის მქონე ხეების გასხვლისა და მყნობისთვის? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* **მიხეილ ცაგარელი** *გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი მთვარის ზეგავლენასა და კავშირზე მცენარეებთან და მიწის დამუშავებასთან მიმართებით, კერძოდ კი, იმის შესახებ, თუ რა და რა აგროსამუშაოების შესრულებაა რეკომენდებული მთვარის ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში მოძრაობისას?**

— **4. მთვარე კირჩხიბში. კირჩხიბი ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ ნიშანს წარმოადგენს, მაგრამ ნიადაგის მაღალი ტენიანობის გამო ამ პერიოდში არ არის რეკომენდებული ტანმაღალი ხეების დარგვა, ხეხილისა და ბუჩქოვანი მცენარეების გასხვლა, ზამთრისთვის კონსერვების, მურაბებისა და კომპოტების დამზადება. ნიშანდობლივია ისიც, რომ კირჩხიბის ზოდიაქოში მთვარის გავლისას დარგული მცენარის თესლი უხარისხო იქნება.** ასევე არ ღირს ბოლქვოვანი მცენარეების მოსავლის აღება, რათა ნაყოფი ზედმეტად წყლიანი არ იყოს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დროს დარგული მცენარეული კულტურები ნელა იზრდება და ძალიან ნაზია. ფესვთა სისტემა კარგად ვითარდება, მაგრამ ფაქიზია. ნაყოფი წვნიანობით გამოირჩევა და ამიტომ დიდხანს არ ინახება. ამ დროს ასევე არ ღირს იმ ხეებისა თუ სხვა მცენარეების დარგვა, რომლებიც ზამთარს გრუნტში გაატარებენ, რადგან მდგრადობა სიცივისა და ყინვის მიმართ მნიშვნელოვნად შემცირებული ექნებათ. **სამაგიეროდ, მთვარის კირჩხიბის ნიშანში გავლის პერიოდი საუკეთესო დროა ბალჩეული კულტურების დასარგავად, რადგან მათ საშუალო სიმაღლისა და უმეტესად მიწაზე გართხმული ღერო აქვთ.** ამ დროს ტენის მოყვარული მცენარე კარგად ითვისებს როგორც წყალს, ისე ორგანულ თუ მინერალურ სასუქს, უხვ მოსავალსაც იძლევა, მაგრამ დიდხანს შენახვისთვის არ არის განკუთვნილი. აღსანიშნავია ისიც, რომ **მთვარის ალმავალ ფაზაში მისი კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშანში გავლისას დარგული ბადრიჯანი, წიწაკა, ტანდაბალი პომიდორი განსაკუთრებით დიდი ზომისანი იზრდებიან. მთვარის დაღმავალი ფაზის დროს კი განსაკუთრებით სასიკეთოა კენკროვნების დარგვა**. ნიშანდობლივია ისიც, რომ ადრეულ მოსავალს იძლევა **კირჩხიბის ნიშანში** მთვარის გავლისას დარგული ჭარხალი, სტაფილო, კარტოფილი, ფურცლოვანი სალათი. ეს დრო ასევე სასიკეთოა მცენარის ფოთლოვანი სისტემის მოსარწყავად, თესლის დასალბობად. ამ პერიოდში განსაკუთრებით კარგად იზრდებიან ის მცენარეები, რომელთა ფოთლებიც საჭმელად გამოიყენება. მაგალითად, სალათი, ისპანახი, კომბოსტო და ა.შ. ამ დროს **მთვარის ალმავალ ფაზაში** შესაძლებელია აგრეთვე გაზონების გაკაფვა-გაკრეჭა, ერთწლიანი ბოსტნეული კულტურებისა და ყვავილების ჩითილების გრუნტში გადარგვა, ხოლო **მთვარის დაღმავალ ფაზაში** მიწის ზევით მობინადრე მავნებლებთან და პარაზიტებთან ბრძოლა და იმ „ცოცხალი“ მცენარეული ღობის გასხვლა, რომელიც შემდგომ განში უნდა გაიზარდოს.

**5. მთვარე ლომში. ლომი მშრალი და უნაყოფო ნიშანია, ამიტომ მთვარის ამ ზოდიაქოს ნიშანში გავლისას მცენარის მორწყვა სასურველ შედეგს არ მოიტანს. ამ დროს ასევე არ არის რეკომენდებული ერთ და ორწლიან ბალახოვან მცენარეებთან აგროსამუშაოების ჩატარება, რადგან შესაძლოა, ფესვები დაუზიანოთ და მცენარე დაიღუპოს.** ამ დღეებში შხამიქიმიკატების გამოყენებაც არ ღირს, ხოლო ნატურალური სასუქი მხოლოდ ტენიანი ნიადაგის შემთხვევაში უნდა მიეწოდოს. სამაგიეროდ, **ამ პერიოდში ხელი შეეწყობა** (მთვარის დაღმავალ ფაზაში) **ბუჩქოვანი და ხეხილოვანი მცენარეების გასხვლას და** (მთვარის აღმავალ ფაზაში) **მარცვლოვნების — ნამიან ნიადაგში და ბალახის გაზონებზე თესვას.** შესაძლებელია ასევე იმ ბოსტნეულისა და ხეხილოვანი მცენარეების დარგვა, რომელიც ბევრ წყალს არ ითხოვს. გარდა ამისა (მთვარის აღმავალ ფაზაში), კარგია პიონების, გიორგინების და ფართოფესვიანი მრავალწლიანი მცენარეების გადარგვაც.

**6. მთვარე ქალწულში. ქალწული ყვავილების ნიშანია და ამ პერიოდში დარგული მცენარე კარგად ყვავილობს, თუმცა, ნაყოფსა და თესლს მცირე რაოდენობით იძლევა, ამიტომ ნაკლებპროდუქტიულს უწოდებენ.** ამ დღეებში არ არის მიზანშეწონილი ხეების გასხვლა, ბუჩქების ფორმირება, მყნობა და თესლის დალბობა. ამ დროს დამზადებულ კონსერვსა და მურაბას შესაძლოა, ობი მოეკიდოს. **სამაგიეროდ, ეს მშვენიერი პერიოდია ვაზის, ხეების, ნებისმიერი ყვავილის დარგვა-გადარგვისთვის, ოღონდ მთვარის დაღმავალი ფაზის დროს. კარგ მოსავალს მოგვცემს ამ პერიოდში დათესილი მწვანილი და უხვი ნაზარდი ექნება გაზონის ბალახსაც. ეს დრო ასევე სასიკეთოა მიწის კულტივირებისთვის, ბარვა-მოხვნისთვის და სასუქის შესატანად. ამ პერიოდში შესაძლებელია შემოდგომის ყვავილების დარგვა, ხილისა და კენკრის გაყინვა.** კარგი დროა ასევე ბაღის მრავალწლიანი ყვავილების გასაყოფად, გადარგვისთვის, კენკროვნებისა და მსხმოიარე ნაყოფის მქონე ხეების გასხვლისთვის, მყნობისა და გადარგვისთვის. ამ დროს დარგული ხე გამოირჩევა სიმაღლითა და გამძლეობით. შემოდგომაზე (მთვარის დაღმავალ ფაზაში) რეკომენდებულია მიწაში მყოფ მავნებლებთან და პარაზიტებთან ბრძოლა, ნაკელისა და კომპოსტის ერთ მთლიან მასად დაგროვება.

*რუბრიკას უძღვება*
**მარინა მერკვილაძე**

## 10 – 16 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ფარულად მოქმედებას მოერიდეთ და ოჯახური საქმეების მოგვარებას მეტი დრო დაუთმეთ. სამომავლო გეგმის დაზუსტება გაგიადვილებთ მიზნის მიღწევას. კარგი პერიოდია ახალი საკითხების შესასწავლად. თუ არ გარისკავთ, შესაძლოა, ფინანსური მდგომარეობაც გაიუმჯობესოთ. დახმარებას ხანში შესული ადამიანი გაგიწევთ. შესაძლოა, ახალი სიყვარული გეწვიოთ. მოგზაურობისას მეტი სიდინჯე და დაკვირვება გმართებთ.

**კურო** (21.04-20.05)
ენერგიული იქნებით. თქვენი ორგანიზატორული უნარი იმატებს. შესაძლოა, შემოსავალიც გაიზარდოს. სახლის ინტერიერის განახლება, რემონტი ან ახალი შენაძენი სიტუაციას გააუმჯობესებს. ამის მიუხედავად, ჯობს, გადაადგილებების რაოდენობა შეამციროთ და არ გარისკოთ. სასიყვარულო სფეროში კი მნიშვნელოვანი ცვლილება არ არის მოსალოდნელი.

**ტყუპი** (21.05-22.06)
საქმისადმი კონსერვატიული მიდგომა წარმატებას მოგიტანთ. სარისკო ფინანსური ოპერაცია ან ხელშეკრულების დადება კი ჯობს, გადადოთ. ნუ იკამათებთ, რათა ნერვიულობა აიცილოთ. ოჯახში სიტუაცია პირდაპირ დაუკავშირდება თქვენს შინაგან მდგომარეობას, ამიტომ პოზიტიურად განეწყვეთ. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ხშირად დაისვენეთ და ნურსად გაემგზავრებით.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
შეეცადეთ, სარფიანი საქმე ინტუიციურად იგრძნოთ და ხელსაყრელი წინადადებები გააანალიზოთ. ამგვარად წარმატებულადაც იმოქმედებთ და გავლენიანი და შეძლებული ადამიანების ყურადღებასაც მიიპყრობთ. გადაადგილებები და ურთიერთობები სტიმულს მოგცემთ შემოქმედებითობის გამოსავლენად, ცოდნის მიღება და ინფორმაციის გაცვლა გაგიადვილდებათ. საქმიანი განწყობის გამო შესაძლოა, რომანტიკულმა განწყობამ იკლოს.

**ლომი** (23.07-23.08)
გაუთვალისწინებელი მოვლენები იძულებულს გაგხდით, შეიცვალოთ საქმიანობის სფერო, პროფესია ან სამუშაო თუ საცხოვრებელი პირობები. ფინანსები დაზოგეთ და ხარჯიც აკონტროლეთ. იმატებს ტრავმების ალბათობა, ამიტომ გადაადგილებები შეამცირეთ და ყოველ წვრილმანს დაუკვირდით. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები და იმპულსურად ნუ იმოქმედებთ, რათა არ გაანაწყენოთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
თქვენი ენერგიულობა და კომფორტისა და სტაბილურობის მოთხოვნილება გაიზრდება. ახალი გეგმებისა და პროექტების განხილვას მეტ დროს დაუთმობთ. კრიტიკულ მომენტში ოჯახის წევრები დაგეხმარებიან. ეს კვირა ხელს შეუწყობს გადაადგილებებს, ახალი კონტაქტების დამყარებასა და ცოდნის გაღრმავებას. ინტუიციას უსმინეთ, რათა თქვენი ცდუნება ვერავინ შეძლოს. სასიყვარულო ურთიერთობაში კი მოსალოდნელია სასიამოვნო სიურპრიზი.

## 10 – 16 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
საინტერესო შეხვედრებისა და ახალ ადამიანებთან დაახლოების პერიოდია, თუმცა, ახალი საქმის დაწყება ან ხელშეკრულების დადება რეკომენდებული არ არის, რადგან სხვისი აზრის გათვალისწინებას არ ისურვებთ. მეუღლესთან ან შეყვარებულთან დაძაბულობა დამატებით ყურადღებას ითხოვს, მით უფრო, რომ ეს შესაძლოა, ჯანმრთელობაზეც აისახოს. დაძაბულობისგან განმუხტვისათვის სასიკეთო იქნება ბუნების წიაღში გასეირნება ანდა სასიამოვნო მუსიკის მოსმენა.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ბოლო ხანებში თქვენს ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები გარშემო მყოფთათვის შესამჩნევი გახდება. თავდაჯერებული იქნებით, რის გამოც ადვილად მიუახლოვდებით დასახულ მიზანს. მიუხედავად ამისა, შემოსავლის სწრაფად გაზრდა გაგიჭირდებათ, რაც ახალი სამსახურის მოძიებისკენ გიბიძგებთ. მოგზაურობა და გადაადგილებები ურთიერთობებზე დადებითად იმოქმედებს. კარგი იქნება, თუ სასიყვარულო ურთიერთობაშიც ცვლილებას შეიტანთ და განაახლებთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ენერგია იკლებს, ამიტომ თავისუფალ დროს დაისვენეთ. ეცადეთ, არ ინერვიულოთ, თუკი ყველა თქვენი ოცნება დროულად ვერ განხორციელდება. ხრიკებსა და სარისკო მოქმედებას ერიდეთ. სამსახურში კონფლიქტმა, შესაძლოა, რეპუტაცია შეგირყიოთ. საეჭვო ადგილებს მოერიდეთ და სხვის საქმეებში ნუ ჩაერევით, რათა ყველაფერში თქვენ არ დაგადანაშაულონ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ხანგრძლივ მოგზაურობასა და ახალი სასიყვარულო კავშირის დამყარებას მოერიდეთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ცხოვრებისეული მოვლენები ნელ-ნელა დარეგულირებას იწყებს და ზოგჯერ ამგვარი სწრაფი ტემპი დამღლელი მოგეჩვენებათ. შეხვედრები და კონტაქტები უფრო საქმიანი ხასიათის იქნება. გაურკვეველ სიტუაციებში კითხვების დასმა და რჩევის მიღება ნუ მოგერიდებათ. მოგზაურობების რაოდენობა იკლებს, თუმცა, ეს გეგმების განხორციელებას ხელს არ შეუშლის. სასიყვარულო ურთიერთობაში კი შესაძლოა, კითხვები გაჩნდეს, რომლებსაც სასურველია, პასუხი დროულად გაეცეს.

**მერწყული** (20.01-18.02)
შესაძლოა, საქმიანობა ანდა სამსახური შეიცვალოთ. საქმეში კარგი მიღწევები გექნებათ, მაგრამ ეცადეთ, არავინ დაამციროთ და არ დაჩაგროთ, რამეთუ ეს ურთიერთობებზე უარყოფითად აისახება. შინაგანი დაძაბულობა კი ცუდი განწყობისა და აგრესიის საბაბი გახდება. ბინის კეთილმოწყობა ოჯახის წევრებთან ურთიერთობას გააუმჯობესებს. მოგზაურობისა და სწავლისთვის არახელსაყრელი პერიოდია. ასევე მოსალოდნელია შეყვარებულთან დროებით განშორება.

**თევზები** (19.02-20.03)
ინტელექტუალური, შემოქმედებითი და ფიზიკური აქტიურობა მოგემატებათ. კარგია იმიჯის შეცვლა, რადგან ამაზე დიდწილად იქნება დამოკიდებული კარიერული აღმასვლა. ნაკლებად კონფლიქტური იქნებით და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება გაგიადვილდებათ, რის გამოც, შესაძლოა, სამსახური, პირადი ცხოვრება ან სასიყვარულო ურთიერთობა რადიკალურად შეიცვალოთ. მოგზაურობისას კი ეცადეთ, სხვათა გავლენას არ დაექვემდებაროთ და კანონი არ დაარღვიოთ.


## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**10,11, 14 და 16 ივლისი**

3 ივლისი – სავსემთვარეობა, პიკი – 15.41 საათზე;
17 ივლისი – ახალმთვარეობა, პიკი – 22.33 საათზე.



**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

*574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90*

**მისამართი:** დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

## 10 ივლისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 05.35 საათზე, ჩადის 20.37 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 00.32 საათზე, ჩადის 13.39 საათზე (მთვარის 22-ე დღე გრძელდება. მე-4 ფაზა იწყება 05.49 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა **მარსი** გადაინაცვლებს **ქალწულის** ზოდიაქოში (27 აგვისტომდე), რაც ადამიანებში გააძლიერებს წესრიგისა და სისუფთავისკენ მიდრეკილებას, დისციპლინას, შეუპოვრობას, პასუხისმგებლობას, წვრილმანთა დანახვის უნარს, პრაგმატულად მოქმედებას. ამ პერიოდში სასურველია, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოთ ჯანმრთელობას და უფრო ტაქტიანი იყოთ ურთიერთობისას. დღეს კი არ არის სასურველი ხალხის მასაში ყოფნა, ნევროზულობა, კამათი, ახალი საქმის დაწყება, ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, ხელშეკრულების დადება, სტომატოლოგიური პროცედურები, წესების დარღვევა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, სწრაფად შესრულებადი საქმეების, სპორტული ინვენტარის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია თავი, გრძნობათა ორგანოები, სისხლძარღვები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სარდიონი. **პოზიტიური** დღეა ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 11 ივლისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 05.36 საათზე, ჩადის 20.36 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (04.08) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 00.55 საათზე, ჩადის 14.50 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 01.04 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 04.12 საათიდან 05.08 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **ლომის** ზოდიაქოში (29 ივლისამდე), რაც გაამახვილებს კეთილშობილებას, შემოქმედობითობას, არტისტულობას, ორგანიზატორულ მონაცემს, ლიდერობას, კომუნიკაბელურობას და ასევე სიზარმაცეს, დიქტატორობას, სულსწრაფობას, უყაირათობასაც. დღეს და ხვალ ეცადეთ, სხვათა ზეგავლენას არ დაექვემდებაროთ. შესაძლებელია ქრონიკული დაავადების გამწვავებაც. ჯიუტი და აგრესიული ნუ იქნებით. ტრავმული დღეა. არ არის სასურველი სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, გარისკვა. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, ვაჭრობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, მარგალიტი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 12 ივლისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 05.37 საათზე, ჩადის 20.36 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 01.19 საათზე, ჩადის 15.59 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 01.14 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს **მთვარის აღმავალი კვანძი** გადაინაცვლებს **ვერძის,** ხოლო **დაღმავალი კვანძი — სასწორის** ზოდიაქოში, რაც ნიშნავს აქტიურად მოქმედების, ბოროტებასთან გაბედულად ბრძოლის, სამართლიანობის დამკვიდრების პერიოდის დაწყებას. მოსალოდნელი კონფლიქტის დაკონსერვება შეუძლებელი გახდება და ყოველივე საბოლოოდ გადაწყდება. დღეს კი ზედმეტად ამაყი ნუ იქნებით, სხვათა აზრს პატივი ეცით. ინტუიცია მოიმატებს, რაც მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. შესაძლებელია ფინანსური საკითხების გადაწყვეტა. ამავდროულად, ტრავმული დღეა, ყურადღება გმართებთ. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მშენებლობისთვის, ვაჭრობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად. არ არის სასურველი სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, კისრის მკვეთრი მოძრაობა, ცივი და გაზიანი სასმელების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, მარჯანი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 13 ივლისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 05.38 საათზე, ჩადის 20.35 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.41) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 01.48 საათზე, ჩადის 17.08 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 01.27 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.11 საათიდან 11.41 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ეცადეთ, ემოციები გააკონტროლოთ და ოჯახის წევრებთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ, სტრესული სიტუაცია არ შექმნათ. კარგი დღეა სახლის რემონტისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, საქმიანი შეხვედრების ან მიმოწერისთვის, კონფერენციებისა და აუქციონებისთვის, ინტერვიუებისთვის. სასიკეთოა ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის მკურნალობა. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი, საიდუმლოს გამხელა, უჰაერო სივრცეში ყოფნა, ახალი საქმის დაწყება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ჰიაცინტი, ლაბრადორიტი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 14 ივლისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 05.38 საათზე, ჩადის 20.35 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 02.22 საათზე, ჩადის 18.14 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 01.46 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ფუჭ საუბარზე დროს ნუ დახარჯავთ. ახლობლებთან კამათსაც მოერიდეთ. ურთიერთობისას ხასიათცვალებადობა მოიმატებს. კარგი დღეა ინფორმაციის გაცვლისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მშენებლობისთვის, საქმიანი შეხვედრა-მიმოწერისთვის, სწავლისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, ხელშეკრულებისა და კონტაქტის დასადებად. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი თანამშრომლის მიღება, უჰაერო სივრცეში ყოფნა, სიმძიმეების აწევა, საბუთებზე ხელმოწერა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ხელები, მხრები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ქარვა, ლაბრადორიტი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

## 15 ივლისი, შაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 05.39 საათზე, ჩადის 20.34 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (21.22) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 03.02 საათზე, ჩადის 19.15 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 02.14 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.35 საათიდან 21.22 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს დასვენებასა და ბუნებასთან კავშირს მეტი დრო დაუთმეთ, პრობლემის მოგვარებაში ჭკვიანი ადამიანების რჩევა დაგეხმარებათ. ურთიერთობისას მოერიდეთ ფლირტს, მერყეობას, სულსწრაფობას. ასევე მოერიდეთ უარყოფით ემოციასა და კონფლიქტს, ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ. დღეს და ხვალ განსაკუთრებული აუცილებლობის გარდა წამლებისა და ცხიმიანი საკვების მიღებასაც მოერიდეთ. კარგი დღეა საბანკო ოპერაციებისთვის, მშენებლობისთვის, სწავლისთვის, საქმიანი შეხვედრა-მიმოწერისთვის, სავაჭრო გარიგებებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, საკომუნიკაციო აპარატურის (ტელეფონის, ტელევიზორის, კომპიუტერის), საკანცელარიო ნივთების შესაძენად. არ არის სასურველი საიდუმლოს გამხელა, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა-შეღებვა, უჰაერო სივრცეში ყოფნა, სიმძიმის აწევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები, მკერდი, კუჭი. **ქვები:** ტოპაზი, სერდოლიკი, ბერილი, აკვამარინი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## 16 ივლისი, კვირა

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 05.40 საათზე, ჩადის 20.34 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 03.51 საათზე, ჩადის 20.07 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 02.56 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს შეეცადეთ, ხვალინდელი ახალმთვარეობის წინა დღეს თქვენი ქმედებანი თქვენს სიტყვებს შეესაბამებოდეს. აურა დასუსტებულია, ამიტომ შესაძლოა, ხასიათცვალებადობამ და დეპრესიამ იჩინოს თავი. კარგი დღეა კულინარიული საქმიანობისთვის, შემოქმედებისთვის, ფოტოგრაფირებისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ვაჭრობისათვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა, სამკურნალო მცენარეების შეგროვება, სანტექნიკური სამუშაოების შესრულება, სახლის მშენებლობის დაწყება, სასმელ-საჭმლის ხარისხიც შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** მთვარის ქვა, ზურმუხტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.



მეუფე ქრისტეფორე:

# რაც დრო გავა და პატრიარქის ჯანმრთელობა დამძიმდება, საპატრიარქოში შხამი სულ უფრო და უფრო ხშირად გამოჩნდება!

*დასაწყისი 27-ე გვერდზე*

გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ **მეუფე შიო მუჯირი** პატრიარქის მოსაყდრედ არის დადგენილი, ბევრს აქვს ცდუნება და იმის მოლოდინი, თავად გახდეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. მოკლედ, **საპატრიარქოში კათალიკოსის ტახტის დასაკავებლად ბრძოლა დიდი ხანია, დაწყებულია და ამიტომ რა გასაკვირია, საქმეში საწამლავიც ვარიეს!** აშკარაა, რომ ვიღაცას **მეუფე შიოს** მოშორება და პატრიარქის ტახტზე თავისი კანდიდატურის გაყვანა სურს. იცით თქვენ, რომ მე მაგათთან არავითარი ურთიერთობა არ მაქვს, მაგრამ, როგორც ვიცი, რამდენიმე პიროვნებას პატრიარქობა სურს!

**— შეგიძლიათ დაასახელოთ, ვის სურს პატრიარქობა?**

— მეუფე **შიო მუჯირის** გარდა, პატრიარქობის რეალური პრეტენდენტები არიან — **მეუფე დანიელი და მეუფე დიმიტრი!**

**— ფოთელ მიტროპოლიტს, მეუფე გრიგოლ ბერბიჭაშვილს პატრიარქობა არ სურს?**

— **ფოთელ მიტროპოლიტს** შესაძლოა, ამბიცია აქვს, მაგრამ ეს პიროვნება კომპრომეტირებულია და არ მგონია, პატრიარქის ტახტის დასაკავებლად რამე შანსი ჰქონდეს! მანდ ერთი ამბავიცაა — **იმ ადამიანებს, რომლებიც საპატრიარქოში ათეული წლების განმავლობაში ყველაფერს აკონტროლებენ, ძალიან უნდათ, ახალ პატრიარქად ისეთი პიროვნება დაადგინონ, რომელსაც ადვილად მართავენ.** აქედან გამომდინარე, რაც ხდება, ჩემთვის გასაკვირი სულაც არ არის! რაც დრო გავა და პატრიარქის ჯანმრთელობა დამძიმდება, საპატრიარქოში შხამი სულ უფრო და უფრო ხშირად გამოჩნდება! **ერთი რამ ფაქტია — ეკლესია გასაწმენდია!** სულგანათლებულ ბატონ **ზვიად გამსახურდიას** ძალიან ხშირად უთქვამს ჩემთვის — **თუ ეკლესია არ გაიწმინდა, ერის გადარჩენაზე ლაპარაკი ზედმეტიაო!**

**— ამას ზვიად გამსახურდია როდის ან რატომ გეუბნებოდათ?**

— ამას ზვიადი ხშირად მეუბნებოდა, რადგან იცოდა, ეკლესიაში რაც ტრიალებდა. ზვიადს ეკლესიაში არ უშვებდნენ, მისთვის ტაძარში შესასვლელი გზა გადაკეტილი ჰქონდათ! ბოლოს და ბოლოს, არ უნდა გავსწორდეთ? რატომ უნდა ვიყოთ რამდენიმე ეპისკოპოსი და მღვდელი ეკლესიის გარეთ, ვინმემ იცის და მეტყვის? არაფერი დაგვიშავებია და რას გვერჩიან? **საპატრიარქოში განჩინებები ისე გამოაქვთ, არავის იბარებენ და არც არავის არაფერს ეკითხებიან... საპატრიარქო ერის სინდის-ნამუსი და ცხონების გზაა და უნდა გაიწმინდოს!**

**— კიევ-პეჩორის მონასტრის ლავრიდან უკრაინის ხელისუფლების მიერ მღვდლების გამოყრასა და ლავრის ჭიშკრის შედუღებას როგორ აფასებთ?**

— პრეზიდენტი ზელენსკი მართული კაცია! ის არც თავის თავს ეკუთვნის და არც ქვეყანას. **მიმაჩნია, რომ ზელენსკი მართლმადიდებლობის მტერია და მისი ბინძური ცოდვების გამო დღეს მთელი უკრაინელი ერი იტანჯება!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## საეკლესიო კალენდარი

**10 ივლისი, ორშაბათი.** **ღირსისა გიორგი მთაწმიდელისა;** ღირსმოწამისა ლუკა იერუსალიმელისა, მოწამებრივ აღსრულებულისა; მღვდელმოწამისა კირიონ II-ისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა; ღირსისა სამსონ უცხოთშემწყნარებელისა; მართლისა იოანა მენელსაცხებლისა; ღირსისა სევეროს ხუცისა.

✝ **11 ივლისი, სამშაბათი. აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოწამეთა უვერცხლოთა და სასწაულმოქმედთა კვიროსისა და იოანესი;** ღირსისა პავლე მკურნალისა. ღმრთისმშობლის ხატისა „სამხელიანი“.

✝ **12 ივლისი, ოთხშაბათი. წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა პეტრესი და პავლესი.** გრიგოლისა, ჰერაკლიელი დარედესტოსელი მიტროპოლიტისა; ღირსისა პაისისა, ათონელისა.

✝ **13 ივლისი, ხუთშაბათი. კრება დიდებულთა და ყოვლადქებულთა ათორმეტთა მოციქულთა:** პეტრესი, ძმისა მისისა ანდრიასი, იაკობ ზებედესი, ძმისა მისისა იოანესი, ფილიპესი, ბართლომესი, თომასი, მათესი, იაკობ ალფესისა, იუდა იაკობისასი, სიმონ მოშურნესი და მატათასი; კეთილმორწმუნისა დინარა დედოფლისა. **სვეტიცხოვლობა.**



**12 ივლისი: პეტრე - პავლობა**

✝ **14 ივლისი, პარასკევი. სასწაულმოქმედთა უვერცხლოთა კოზმა და დამიანესი, რომში წამებულთა;** მოწამისა პოტიტე ყრმისა; ღირსისა პეტრე პატრიკყოფილისა; ნერსესი, სომხეთის მთავარეპისკოპოსისა.

✝ **15 ივლისი, შაბათი. დადება პატიოსნისა სამოსლისა ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა ვლაქერნას;** იუბენალისა, იერუსალიმელი პატრიარქისა.

✝ **16 ივლისი, კვირა. ღირსისა გიორგი ღმერთშემოსილისა, დაყუდებულისა, ღირსი გიორგი მთაწმიდელის მოძღვრისა;** მოწამისა იაკინთესი; მოწამეთა: დიომიდესი, ევლამპისა, ასკლიპიოდოტესი და გოლინდუხტისა; მოწამეთა მოკისა და მარკოზისა; ღირსისა ალექსანდრესი, „მღვიძარეთა“ სავანის დამაარსებელისა; ანატოლისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; **გერგეტის სამებობა.**

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ღრუბელი; 6. ღორჯო; 12. მიომა; 13. ფიურერი; 14. ისაკაძე; 15. რევიუ; 16. დრელი; 17. რიტმიკა; 18. ორიგამი; 22. ბანქო; 23. ფასი; 25. მაწონი; 26. ასამბლეა; 27. კისტა; 29. რურუა; 30. რამინი; 33. არმანი; 34. პალმა; 35. ნეაპოლი; 36. კარაქი; 38. ლიმიტი; 41. კასია; 42. ტო; 43. ბარათი; 46. ნინია; 47. მირანდა; 48. რიგა; 50. ლებარდე; 51. გონიო; 54. აპოლონი; 58. მურწა; 59. ფიზიკა; 62. ნაკლი; 63. ანატომია; 64. საკე; 65. რუბენსი; 66. დერბი; 67. მორისონი; 68. რეტი.

შვეულად: 1. ღვინო; 2. ულაყი; 3. ეკალა; 4. იმედი; 5. მონეტა; 6. ღარიბი; 7. რევანში; 8. ოფურო; 9. ლუსტრა; 10. ბერიმორი; 11. კირასირი; 19. რესურსი; 20. გუმბათი; 21. მალდინი; 23. ფარვანა; 24. სარკომა; 25. მარაკანა; 27. კაპიკი; 28. სოლისტი; 31. მარენგო; 32. ნექტარი; 37. იო; 38. ლამპა; 39. მარგო; 40. ტანგო; 43. ბალი; 44. რუბლი; 45. თერგი; 48. რემა; 49. გორდა; 51. განედი; 52. ნიკორა; 53. ონიქია; 55. პონსო; 56. ლიტრი; 57. ნამყო; 59. ფარი; 60. ზებუ; 61. კინო; 64. სირ.

**დელიბიანკარაპირამიდასიგარაჟირაფინადიმისია**
**გულივერისკოლაფსიქედანიელადამიმინოტავრიალი**

| ფრანგი კომპოზიტორი | გველის სახეობა | გეომეტრიული ფიგურა | თამბაქოს ნაწარმი | აფრიკული გრძელკისერა ცხოველი | წვეულება | ფილმი „შინდლერის... |
|---|---|---|---|---|---|---|

| ინდოეთის დედაქალაქი | კასიოს საყვარელი (ოტელო) | საფარიკაო იარაღი | ფრიგიის მეფე | რიაზანოვის ფილმი | წმენდილი შაქარი | საგანგებო დავალება |
|---|---|---|---|---|---|---|



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. წვიმის „წყარო“; 6. თევზის სახეობა; 12. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 13. ასე უწოდებდნენ ჰიტლერს გერმანიაში; 14. ქართველი მევიოლინე; 15. საესტრადო წარმოდგენა; 16. სახვრეტელა ხელსაწყო; 17. მოძღვრება რიტმის შესახებ; 18. ქაღალდის კეცვის ხელოვნება; 22. კარტი; 23. რისამე ღირებულება; 25. მჟავედ შედედებული რძე; 26. საერთაშორისო ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება; 27. პარკის მსგავსი სიმსივნე; 28. ქართველი ფალავანი; 30. ვისის სატრფო (ლიტ.); 33. იტალიელი დიზაინერი; 34. ქოქოსის ხე; 35. ქალაქი იტალიაში; 36. ცხოველური საკვები ცხიმი; 38. ზღვრული ნორმა; 41. ბიზანტიელი პოეტი ქალი; 42. ბიჭო! — თბილისური ჟარგონი; 43. პატარა წერილი; 46. კოლუმბის ხომალდი; 47. პლანეტა ურანის თანამგზავრი; 48. ლატვიის დედაქალაქი; 50. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 51. სადურგლო სახაზავი; 54. ხელოვნების, სინათლის ბერძნ. ღმერთი; 58. ერთგვარი თევზი; 59. საბუნებისმეტყველო მეცნიერება; 62. წუნი, ზადი; 63. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმის აგებულებას; 64. ბრინჯის არაყი; 65. ფლამანდიელი ფერმწერი; 66. ცხენების დოღი; 67. ჯგუფ „დოორსის“ წევრი; 68. თავბრუ.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ყურძნის მათრობელა სასმელი; 2. მამალი ცხენი; 3. ერთგვარი სამხლე მცენარე; 4. ქართული ტელევიზია; 5. ლითონის ფული; 6. ხელმოკლე, უქონელი ადამიანი; 7. სამაგიეროს გადახდა დამარცხებისათვის; 8. იაპონური აბანო; 9. ჭაღი; 10. ჰოლივუდის მსახიობი დრიუ ...; 11. მძიმე კავალერიის მხედარი (ძვ.); 19. რისამე მარაგი; 20. კონუსისებრი თაღი, რომლითაც გადახურულია შენობა; 21. იტალიელი ფეხბურთელი; 23. ღამის პეპელა; 24. ავთვისებიანი სიმსივნე; 25. სტადიონი რიო დე ჟანეიროში; 27. მანეთის ერთი მეასედი; 28. სოლოს შემსრულებელი მუსიკოსი; 31. ალ. მაკედონელის ცხენის სახელი; 32. ყვავილების ტკბილი წვენი; 37. ჰერას ქურუმი ქალი (მით.); 38. სანათი მოწყობილობა; 39. თეიმურაზ ხევისთავის ცოლი (ლიტ.); 40. წყვილთა ცეკვა; 43. კურკოვანი ხილი; 44. რუსული ფულის ერთეული; 45. მდინარე ჩრდილოეთ კავკასიაში; 48. ცხენების ჯოგი; 49. მოკლე უვადო ხმალი; 51. მანძილი ეკვატორიდან პოლუსებისაკენ; 52. ქართული ხორცპროდუქტების ფირმა; 53. ფრჩხილის ბუდის ანთება; 55. სინთეზური წითელი საღებავი; 56. მოცულობის საზომი ერთეული; 57. წარსული დრო; 59. ძველი საომარი იარაღი; 60. კუზიანი ხარი; 61. ხელოვნების დარგი; 64. მიმართვა მეფისადმი საფრანგეთში.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ჟ. სვიფტის პერსონაჟი | საშუალო სასწავლებელი | ადამიანის სულის განსახიერება ბერძნ. მით-ში | მწერალი ... ჭონქაძე | ედემის ბინადარი | მეფე მინოსის ურჩხული | ამერიკელი მოკრივე |
|---|---|---|---|---|---|---|

| ამურის სამიზნე | ფილმი – „.... უბნის მელოდიები“ | გონების დაკარგვა | გარეული მტრედი | ძველი საბერძნეთი | დანელიას ფილმი | უკრაინული ავტო | ვივიენ ... |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2023 წლის 10 – 16 ივლისი №31 (1495)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლღინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

